CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი 17 მარტი, 2009 წელი. №58 (2096) | ფასი 1 ლარი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

იხილეთ განართი

The New York Times

A Moral State, No Religion Required

The Coveted Currency

ოპოზიციური ქრონიკა

A3

მილიონერი დიდ ეკრანზე

A11

24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი აი
ჩვენის საადაზღვეო ჯგუფი

ჩვენ არჩევანი გვაქვს

გვჭირდება ცოდნა, რომ სწორი გზა ავირჩიოთ, ძალა და რწმენა, რომ ეს გზა განვვლოთ და დაბრკოლებებს არ შევუშინდეთ

მაია ჭალაგანიძე

ინტერვიუ "თავისუფლების ინსტიტუტის" გამგეობის თავმჯდომარესთან ლევან რამიშვილთან.

- 2004 წელს, ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში თქვით, რომ ჩვენ გვჭირდება ტერიტორიული მთლიანობა, მაგრამ არა ყველაფრის ფასად. იგულისხმებოდა დემოკრატიული ტრანსფორმაციის, რეფორმების პროცესი და სხვა. დღეს რას იტყვით?

- საბჭოთა კავშირის ავღანეთში ინტერვენციის შემდეგ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც რუსეთი შეიჭრა სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. ამიტომ, ისტორიული პარალელები შეიძლება საგულისხმო იყოს. ბოროტების იმპერიისგან გათავისუფლების წარმატებული ორი სცენარი არსებობს. ერთი ავღანური და მეორე - აღმოსავლეთ ევროპული.

გაგრძელება A4 გვერდზე

აგვისტოს ომი რუსეთმა დაიწყო

დევიდ ჯ. სმიტი
სპეციალურად "24 საათისთვის"

ვინ იყო პირველი 2008 წლის აგვისტოს ომში - ამაზე ახლებური ხედვა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტად ვლადიმირ პუტინის ყოფნის დროს მისმა მთავარმა ეკონომიკურმა მრჩეველმა ანდრეი ილარიონოვმა ბოლოდროინდელ პუბლიკაციაში მოგვაწოდა. ეს ომი რუსეთ-საქართველოს კონფლიქტში დიდი ხნით ადრე დაგეგმილი სამხედრო ფაზა იყო. თუმცა, საქართველოში და უცხოეთშიც, არასწორი წარმოდგენის გამო, ჯერ კიდევ გრძელდება იმის მტკიცება, რომ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პირველმა წამოიწყო სკანდალი. როგორც არ უნდა ეცადოს მავანი ამ დეზინფორმაციის გავრცელებას იმ ხალხში, ვინც საქმის არსს კარგად არ იცნობს, წინამდებარე მასალა მაინც გამოდგება იმისთვის, რომ რეალობა ახლაც და შემდეგშიც აშკარა გახდეს.

იერიშამდე თვეებით ადრე, რუსეთმა მოამზადა ლოგისტიკა და ქართულ ტერიტორიაზე აფხაზეთში "სამშვიდობოების" სტატუსით შენიღბული და მძიმე ტექნიკით შეიარაღებული სამხედროები განათავსა. პროვოკაციებმა კიდევ უფრო იმატა აფხაზეთსა და მოსკოვის მიერ მართულ მეორე სეპარატისტულ რეგიონში - სამხრეთ ოსეთში.

რუსეთის შემადგენლობაში მყოფ ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში 58-ე არმიამ წამოიწყო სწავლებები საქართველოში შეჭრის სიმულაციური თამაშის ფორმით. როკის გვირაბთან, რომლითაც რუსეთი საქართველოს უკავშირდება, ე.წ. "მოხალისეებმა" მოიყარეს თავი.

გაგრძელება A3 გვერდზე

24 საათი | The New York Times Articles selected for 24 საათი | Weekend

1 მარტიდან

საცალო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება.

მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც.

ასეთ შემთხვევაში ხელმოწერის ფასები შესაბამისად იქნება:

1 წლით ———————— 52 ლარი;
6 თვით ———————— 26 ლარი;
3 თვით ———————— 13 ლარი;
1 თვით ———————— 4 ლარი.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალეკო ლომიძე;

CMYK - 1

"საარჩევნო კოდექსის" რეფორმირებაზე მუშაობა იწყება

მიმდინარე კვირიდან "საარჩევნო კოდექსის" რეფორმირებაზე მუშაობა დაიწყება. სამუშაო ჯგუფში რვა პოლიტიკური პარტიის: "ნაციონალური მოძრაობის", "ქრისტიან-დემოკრატების", "დემოკრატიული პარტიის", პოლიტიკური გაერთიანების "ჩვენ თვითონ", "ქართული დასის", "ლეიბორისტების", "ეროვნულ-დემოკრატების" და ასევე არასაპარლამენტო პარტია "მრეწველების" წარმომადგენლები შედიან. "საარჩევნო კოდექსის" რეფორმირებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს "გაერთიანებული ოპოზიციის" შემადგენლობაში შემავალმა პარტიებმა. როგორც ისინი აღნიშნავენ, ჯერ პრეზიდენტი სააკაშვილი უნდა გადადგეს და სწორედ ამის შემდეგ უნდა დაიწყოს "საარჩევნო კოდექსის" შეცვლაზე მუშაობა. რაც შეეხება "ახალ მემარჯვენეებსა" და "რესპუბლიკელებს", მათ კოდექსის რეფორმირების საკუთარი გეგმა აქვთ. **ჯი-ეიჩ-ენი**

ინციდენტი საბერიოში

სოფელ საბერიოში 16 მარტს მთელი ღამის განმავლობაში სროლის ხმა ისმოდა. არსებული ინფორმაციით, დაპირისპირება რუსებსა და ჩეჩნებს შორის მოხდა. სოფლის მცხოვრებლების განცხადებით, რუსებმა სროლა მას შემდეგ დაიწყეს, რაც ჩეჩნებს სოფლებიდან საკვები პროდუქტის გამოტანა მოსთხოვეს, რასაც ეს უკანასკნელნი არ დაემორჩილნენ. რუს ოკუპანტებსა და ჩეჩნებს შორის დაპირისპირება რამდენიმე საათს გაგრძელდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

აფხაზი სეპარატისტები სამხედრო წვრთნებს განაგრძობენ

დღეს, 17 მარტს, სეპარატისტულ აფხაზეთში სამხედრო წვრთნა იწყება. აფხაზური მხარის ინფორმაციით, სამხედრო წვრთნებს სეპარატისტთა ე.წ. თავდაცვის სამინისტრო ჩაატარებს. წვრთნა ორდღიანი იქნება და იგი 18 მარტს დასრულდება. "საშტაბო-სამობილიზაციო სწავლებები ჩატარდება თემაზე: სამხედრო მმართველობის ორგანოების, გაერთიანებების, სამხედრო ნაწილების და კომისარიატების მშვიდობიანი დროდან სამხედრო დროზე გადასვლა და სრულ საბრძოლო მზადყოფნასთან შესაბამისობაში მოსვლა," - იუწყება აფხაზური მხარე. მათივე ინფორმაციით, 1-დან 16 აპრილის ჩათვლით "წებელდის" პოლიგონზე აფხაზეთის ე.წ. შეიარაღებული ძალების არტილერისტები და სოხუმის სამხედრო სასწავლებლის კურსანტები გაიწვრთნებიან. სეპარატისტთა ე.წ. თავდაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ სამხედრო სწავლებები "აფხაზეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების 2009 წლის მომზადების პროგრამის ფარგლებში იმართება". **ჯი-ეიჩ-ენი**

გამწვანების მასშტაბური აქცია

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრ გოგა ხაჩიძის ინიციატივით, დაიწყება გამწვანების მასშტაბური აქცია. მინისტრის ინიციატივით, გაზაფხულის დადგომასთან ერთად დაიწყო ახალი პროექტი "დარგე ხე!", რომლის მიზანია გამწვანების ყველაზე მასშტაბურ აქციაში დედაქალაქის მოსახლეობის აქტიური ჩართვა. "თუ კაცი არ მიდის ნერგთან, მაშინ ნერგი მიდის კაცთან", - შეიძლება ასეც დაერქვას ამ აქციას. ერთი თვის განმავლობაში სადაც ამ მანქანას დაინახავთ, გააჩერეთ, მოითხოვეთ ნერგი. ჩვენი თანამშრომლების დახმარებით ყველას შეგეძლებათ გაამწვანოთ თქვენი ეზო, ქუჩა. ადამიანმა უნდა ააშენოს სახლი, შექმნას ოჯახი და დარგოს ხე. ნებისმიერ მსურველს გარემოს დაცვის სამინისტრო ხის დარგვაში უანგაროდ ეხმარება," - განაცხადა გარემოს დაცვის მინისტრმა. ერთი თვის განმავლობაში ქალაქში სპეციალური მანქანა იმოძრავებს, რომელზე განთავსებული ბილ-ბორდიც მოსახლეობას გამწვანების აქციის შესახებ მიაწვდის ინფორმაციას. სამინისტროს თანამშრომლები სხვადასხვა ჯიშის (იფანი, ნეკერჩხალი, საპნის ხე, ფიჭვი, კვიპაროსი) ნერგებს მოსახლეობას უსასყიდლოდ დაურიგებენ და დარგვის წესების ადგილზე აუხსნიან. სპეციალური ავტომობილის პირველი მგზავრი გარემოს დაცვის მინისტრი გოგა ხაჩიძე იყო. "დარგე ხე!" თბილისის სხვადასხვა უბნებში ყოველდღე - დღის 11:00-დან 19:00 საათამდე იმოძრავებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

დევნილებისთვის ფართების დაკანონების პროცესი გრძელდება

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი კობა სუბელიანი საცხოვრებელი ფართების დაკანონების შესახებ დევნილთა ინფორმირებას აგრძელებს. მინისტრი ვაშლიჯვარის დასახლებაში, (გოძიაშვილის ქ. N 95) მდებარე დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ობიექტს ეწვია, სადაც აფხაზეთიდან დევნილი 25 ოჯახი ცხოვრობს. მინისტრი დევნილებს საცხოვრებელი ფართების დაკანონებაზე ესაუბრა, მოგვიანებით კი ობიექტზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოები დაათვალიერა. "იმ ობიექტებზე, რომელიც პრივატიზაციას ექვემდებარება, სარემონტო სამუშაოებს ვასრულებთ. უშუალოდ ამ ობიექტზე შეკეთდა სახურავი. არის კანალიზაციის პრობლემა, რასაც უახლოეს მომავალში მოვაგვარებთ," - განაცხადა კობა სუბელიანმა. მინისტრის ინფორმაციით, 2009 წლამდე საცხოვრებელი ფართები მფლობელობაში 50 000 დევნილს გადაეცემა. **ჯი-ეიჩ-ენი**

საპარლამენტო ტრიბუნიდან

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის ვიცე-სპიკერი პაატა დავითაია აღშფოთებას გამოთქვამს გალის რაიონში მცხოვრები ეთნიკური ქართველების იძულებითი პასპორტიზაციის გამო, რასაც აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის ახორციელებს.

"ეს არის საქართველოს მოქალაქეების დევნა საქართველოს ტერიტორიაზე," - ასეთ სამართლებრივ შეფასებას აძლევს დავითაია სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, ის ქართველები, რომლებიც 20 მარტამდე უარს არ იტყვიან საქართველოს მოქალაქეობაზე და აფხაზურ პასპორტებს არ აიღებენ, "ქვეყნის" ტერიტორიიდან გაძევდებიან. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ითხოვს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა მკაცრად დაგმონ გალის რაიონის მოსახლეობის იძულებითი პასპორტიზაცია.

დავითაიას ამ მოთხოვნას პარლამენტის თავმჯდომარეც უერთდება. დავით ბაქრაძის აზრით, გალში მცხოვრები ქართველების იძულებითი პასპორტიზაცია ეთნიკური წმენდის გაგრძელებაა, ოღონდ ამჯერად ეს იარაღის გარეშე ხორციელდება.

პარლამენტის სპიკერის შეფასებით, ამ პროცესზე პასუხისმგებლობა, აფხაზეთის მარიონეტულ რეჟიმზე მეტად, რუსეთის ხელისუფლებას ეკისრება.

■ ■ ■

"ქცევის კოდექსზე" ხელმომწერი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ახალი საარჩევნო კოდექსის შექმნაზე დღეიდან დაიწყებენ მუშაობას. "ქცევის კოდექსს" 26 თებერვალს რვა პოლიტიკურმა სუბიექტმა მოაწერა ხელი და ეს დოკუმენტი ორი კვირის განმავლობაში ყველა სხვა პარტიისთვისაც ღია იყო. თუმცა, ახალი პოლიტიკური სუბიექტის მიერ თების ნაცვლად, განვლილ პერიოდში საარჩევნო კოდექსზე მომუშავეთა რაოდენობა შემცირდა - ბოლო მომენტში "ლეიბორისტულმა პარტიამ" თანამშრომლობაზე უარი თქვა.

მიუხედავად ამისა, პარლამენტის თავმჯდომარეს სჯერა, რომ ახალი საარჩევნო კოდექსი, დღეს მოქმედთან შედარებით, უფრო დახვეწილი იქნება და პოლიტიკური სპექტრის უდიდეს ნაწილს დააკმაყოფილებს.

პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე დავით ბაქრაძემ იმედი გამოთქვა, რომ სამუშაო ჯგუფის წევრები ტექნიკურ და ორგანიზაციულ საკითხებს მალევე მოაგვარებენ და საარჩევნო კანონმდებლობის შინაარსობრივ მხარეზე დროულად გადავლენ.

■ ■ ■

პარლამენტში მომზადდა კანონპროექტი, რომელიც ომში დაღუპულთა და დაზარალებულთა ოჯახებისთვის შეღავათების დაწესებას ითვალისწინებს. კანონპროექტის ავტორები დოკუმენტზე დეტალური საუბრისგან, მთავრობასთან შეთანხმებამდე და საბოლოო სახის მიცემამდე, თავს იკავებენ.

პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ თოიძე აცხადებს, რომ კანონპროექტს ჯერ რამდენიმე სამინისტრო (ჯანდაცვის, ფინანსთა, თავდაცვის, ეკონომიკური განვითარების და სხვ.) უნდა გაეცნოს და მხოლოდ მათი დასკვნების შემდეგ მოხდება დოკუმენტის პარლამენტში ინიცირება.

"კანონპროექტის მიხედვით, შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეები, სამართლებრივად, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს უნდა გაუთანაბრდნენ. ეს შეეხება ყველა საომარი ოპერაციის მონაწილეს, 1991 წლიდან დაწყებული და გასული წლის აგვისტოს ომით დამთავრებული. მათ ერთნაირი პენსიები და სოციალური შეღავათები ექნებათ," - განუცხადა "24 საათს" ოთარ თოიძემ.

ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს ჯერჯერობით უჭირს იმის თქმა, რა დამატებით ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვს ახალი შეღავათების დაწესება და მოახერხებს თუ არა მთავრობა მიმდინარე წლის ბიუჯეტში შესაბამისი რესურსების გამონახვას.

"საკითხის გადაწყვეტა ალბათ ეტაპობრივად მოხდება. სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია, თავად პრინციპების ირგვლივაც კი. გზადაგზა ჩნდება ახალი პრობლემები, რომლებიც საფუძვლიან შესწავლას საჭიროებს. ერთი გაუთვლელი ნაბიჯიც კი შეიძლება ძალიან ძვირად დაგვიჯდეს და კანონპროექტის დისკრედიტაცია გამოიწვიოს," - დასძენს ოთარ თოიძე.

კოკოითის რეჟიმი დაფინანსების მოლოდინში

ფინანსების ამოწურვის გამო ე.წ. სამხრეთ ოსეთში აღდგენითი სამუშაოები შეწყდა და, სავარაუდოდ, სექტემბრამდე არ განახლდება. ამის მიზეზი სწორედ მოსკოვის მიერ დაფინანსების შეწყვეტა გახდა. ამიტომ ცხინვალის მარიონეტულმა რეჟიმმა დაჩქარებული წესით შეიმუშავა აღდგენითი სამუშაოების შესახებ პროექტები. ცხინვალის წინადადებები რუსეთში გუშინ უნდა განეხილათ, თუმცა გაზეთ "კომერსანტის" ინფორმაციით, მოსკოვი და ცხინვალის მარიონეტული რეჟიმი დაფინანსების სქემაზე ვერ შეთანხმდნენ. ამის გამო რუსეთის უწყებათაშორისმა კომისიამ ცხინვალის წინადადებების განხილვა, სავარაუდოდ, აპრილის სხდომამდე გადადო. აღნიშნული საკითხის განხილვა უკვე მეოთხედ შეჩერდა.

რუსული მედიის ინფორმაციით, რუსეთის ფედერაცია მარიონეტულ ხელისუფლებას სამხრეთ ოსეთის რეაბილიტაციისთვის 10 მილიარდი რუბლის გამოყოფას დაპირდა. აგვისტოს ბოლოს გადაუდებელი სამუშაოებისთვის ამ თანხიდან 1,5 მილიარდი რუბლი გამოიყო, თუმცა მოგვიანებით რუსეთმა დაპირებული დაფინანსება შეაჩერა. 13 მარტს ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღდგენითი პროექტების რეალიზაციის კომიტეტის თავმჯდომარემ ზურაბ კაბისოვმა განაცხადა, რომ 2008 წლის აგვისტოს სამხედრო მოქმედებების დროს ქართული სამხედროების მიერ დანგრეული შენობების აღდგენითი სამშენებლო სამუშაოები, რესურსების უქონლობის გამო, შეწყდა და სექტემბრამდე არ განახლდება, თუკი რუსეთის მხრიდან დამატებითი დაფინანსება არ იქნება.

საქართველოს პარლამენტის წევრები კოკოითის რეჟიმისთვის დაფინანსების შეტყვეტის მიზეზად ცხინვალში არსებულ კორუფციას ასახელებენ. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ შოთა მალაშხიამ მოსკოვს ურჩია, რომ ცხინვალის ე.წ. რესპუბლიკის აღდგენითი პროექტების ნაცვლად, რეგიონიდან საკუთარი საოკუპაციო ძალების გაყვანაზე იფიქროს. **"რუსეთს აქვს მცირე დრო, მოეგოს გონს და ბათილად ცნოს საქართველოს კონფლიქტური რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ მიღებული დოკუმენტი, რადგან ამ ტერიტორიებზე რეალურად ეთნოწმენდა მოხდა, ხოლო 21-ე საუკუნეში ამის შერჩენას რუსეთისთვის არავინ აპირებს. ჯარის გაყვანაზე იზრუნოს, რათა შემდეგ იქ ეკონომიკის აღორძინებას საქართველოს ხელისუფლებამ მიხედოს,"** - განაცხადა შოთა მალაშხიამ.

საკუთარი ინფორმაცია

თემურ მჟავიამ თანამდებობა დატოვა

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თემურ მჟავიამ პოსტი დატოვა. მჟავიას განმარტებით, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს იგნორირებას უკეთებდა.

"მიმაჩნია, რომ იმ ფონზე, როდესაც კრემლმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა და იქ დარჩენილი მოსახლეობის ფაქტორი ძალიან კარგად გამოიყენა, საქართველოს ხელისუფლებამ დევნილ მოსახლეობასთან და უმაღლეს საბჭოსთან უფრო მჭიდრო კონტაქტი უნდა დაამყაროს და ჩვენი რესურსი უფრო აქტიურად გამოიყენოს. მე იმედი მაქვს, რომ ამ კონტაქტებს ცენტრალური ხელისუფლება მომდევნო თავმჯდომარესთან დაამყარებს," - განაცხადა თემურ მჟავიამ.

აღსანიშნავია, რომ მჟავიას უფლებამოსილების ვადა დღეს ეწურებოდა.

ახალი თავმჯდომარე 10 დღის ვადაში უნდა დაინიშნოს. მანამდე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას ნაპოლეონ მესხია შეასრულებს, რომელიც თემურ მჟავიას მოადგილე იყო.

გუშინვე თანამდებობა დატოვა აფხაზეთის მთავრობის ადმინისტრირების სამმართველოს უფროსის მოადგილემ თეიმურაზ კორძაიამ. იგი ირაკლი ალასანიას გუნდს შეუერთდა.

"ჩემი გადაწყვეტილების ერთადერთი მიზეზი არის ის, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ თავისი შესაძლებლობები სრულად ამოწურა. ამ ხელისუფლებაში ყოფნა ერთი ადგილის ტკეპნას ნიშნავს და ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება, შევუერთდე იმ ჯანსაღ ძალას, რომელმაც იცის, როგორ უნდა გამოიყვანოს ჩიხიდან ქვეყანა," - განაცხადა კორძაიამ.

გავრცელდა ხმები იმის შესახებაც, რომ თემურ მჟავია ნინო ბურჯანაძის პარტიაში წევრიანდება, თუმცა გადამდგარმა ჩინოვნიკმა ეს ვერსია უარყო. **"ნინო ბურჯანაძე, მართლაც, მაღალი დონის პოლიტიკოსია და მიმაჩნია, რომ ჩრდილში არ უნდა დარჩეს, თუმცა მე არც ახლა და არც მომავალში მის გუნდში წასვლას არ ვაპირებ. მე ვაპირებ მოღვაწეობის გაგრძელებას ჩემს პარტიაში, რომლის სახელია "საქართველო და დიასპორა,"** - აღნიშნა თემურ მჟავიამ.

მისი გადადგომის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ თემურ მჟავიას წინააღმდეგ რამდენიმე წლის წინ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

კულუარებში საუბრობენ, რომ მჟავიას, სავარაუდოდ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი გია გვაზავა შეცვლის.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

შეხვედრები ბრიუსელში

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე ოფიციალური ვიზიტით ბრიუსელში იმყოფება. გუშინ გრიგოლ ვაშაძე ბრიტანელ კოლეგა დევიდ მილიბენდს შეხვდა, ასევე ორმხრივი შეხვედრები გამართა ბელგიის მთავრობასა და სენატში. მილიბენდთან შეხვედრა დახურულ კარს მიღმა წარიმართა და ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებს კომენტარი არ გაუკეთებიათ.

ბელგიის სენატის თავმჯდომარე არმან დე დეკერთან შეხვედრის შემდეგ კი გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, რომ მხარეებმა, პირველ რიგში, ორმხრივი ურთიერთობები განიხილეს. **"ბელგია, ისევე როგორც ნებისმიერი ცივილიზებული სახელმწიფო, მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მიუღებლად მიიჩნევს იმ მეთოდებს, რომლებითაც რუსეთი მოქმედებს,"** - განაცხადა ვაშაძემ.

"საქართველოს მომავლისთვის მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანა ნატოსა და ევროკავშირის წევრი გახდეს. ასევე გვსურს, რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენა. თუმცა, გასულ წელს დავინახეთ ისეთი ქმედებები, რაზეც ევროპას სერიოზულად დაფიქრება მოუხდა. რუსეთმა ენერგომატარებლებით შანტაჟის გზა აირჩია," - აღნიშნა, თავის მხრივ, არმან დე დეკერმა. მისი თქმით, **"ევროკავშირი და ნატო დაიცავენ თავიანთი პარტნიორების უსაფრთხოებასა და სტრატეგიულ ინტერესებს."**

როგორც ჟურნალისტებს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა სერგი კაპანაძემ განუცხადა, ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები ასევე ევროკავშირის უმაღლეს წარმომდგენელთან საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ხავიერ სოლანასთან, ევროკომისართან საგარეო ურთიერთობათა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ბენიტა ფერერო-ვალდნერთან, ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ მიგელ ანხელ მორატინოსთან.

სერგი კაპანაძის თქმით, შეხვედრებზე განიხილება საქართველო-ნატოსა და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები, სავიზო რეჟიმის გამარტივების საკითხი, რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება. დაგეგმილია შეხვედრები ასევე ლუქსემბურგის ხელისუფლებასთან.

გრიგოლ ვაშაძე ბრიუსელში ასევე მონაწილეობას მიიღებს კონფერენციაში, რომელიც მიეძღვნება საქართველოს ურთიერთობებს რუსეთსა და ევროკავშირთან.

საკუთარი ინფორმაცია

ოპოზიციური ქრონიკა

ალასანია მოქალაქეებს მოვალეთა კომიტეტებში გაერთიანებისკენ მოუწოდებს

ირაკლი ალასანია

გუშინ ისნის და სამგორის რაიონებში "ალიანსი საქართველოსთვის" ოფისები გაიხსნა. გახსნას დაესწრნენ ალიანსის ლიდერი ირაკლი ალასანია და თანათავმჯდომარეები დავით გამყრელიძე და დავით უსუფაშვილი. ისნის ოფისში ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ ალიანსის პრიორიტეტი ხალხთან დიალოგია, ამიტომ თავდაპირველად შეგროვდება ხელმოწერები, რათა ქართულმა საზოგადოებამ გამოხატოს ნება, სურს თუ არა სააკაშვილის ხელისუფლების რეჟიმში ცხოვრება. ირაკლი ალასანიამ ხელისუფლების მომავალ განზრახვებზე ისაუბრა. **"მაქვს საფუძვლიანი ინფორმაცია, რომ შესაძლოა, ალიანსის წევრებზე ფიზიკური ანგარიშსწორება განხორციელდეს. ამიტომ მედიას ვთხოვ ყურადღების გამახვილებას არასამართლებრივ ზეწოლაზე. ხოლო ხელისუფლებას, მიხეილ სააკაშვილს და შინაგან საქმეთა მინისტრს მოვუწოდებ, რომ მსგავს ფაქტებს ადგილი არ ჰქონდეს, რადგან ეს იქნება ცეცხლთან თამაში და ვითარების მეტ ესკალაციას გამოიწვევს,"** - განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

ოფისის პრეზენტაციის შემდეგ ალასანიამ საარჩევნო კოდექსის შესახებ ისაუბრა. მისი თქმით, "ალიანსი საქართველოსთვის" კოდექსის საკუთარ ვარიანტზე მუშაობს, რომელსაც საზოგადოებას უახლოეს ხანში წარუდგენს. ხოლო, რაც შეეხება საკუთრივ არჩევნებს, იგი გამოეხმაურა კავკასიის საკითხებში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწე მეთიუ ბრაიზას განცხადებას, რომელმაც ოპოზიციის ლიდერებთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები 2013 წელს არის დანიშნული. ირაკლი ალასანიას თქმით, **"საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება მაშინ, როდესაც ამას საჭიროდ მიიჩნევს ქართველი ხალხი; ხოლო დასავლეთის ლიდერებს და საერთაშორისო თანამეგობრობას ამ ნების პატივისცემა მოუწევს,"** - განმარტა ალასანიამ.

ალასანიამ სამგორის შტაბის გახსნისას, ბანკების მიმართ არსებული დავალიანების შესახებ ალიანსისეულ ხედვაზეც გაამახვილა ყურადღება. ის მიიჩნევს, რომ საერთაშორისო დახმარებებით შემოსული თანხის ნაწილი კერძო ბანკებს უნდა გადაეცეს იმ თანხის სანაცვლოდ, რომელთა დაბრუნებასაც დღეს შექმნილი ვითარების გამო მოქალაქეები ვერ ახერხებენ. შედეგად მოქალაქეები, კონკრეტული ბანკების ნაცვლად, სახელმწიფოს წინაშე იქნებიან ანგარიშვალდებულნი. თავის მხრივ, სახელმწიფო სესხის დაბრუნების ადმინისტრირებას თავის თავზე აიღებს და უმუშევრობისგან თავის დაღწევის შემდეგ მოსთხოვს მოქალაქეებს თანხის დაბრუნებას. ალასანიამ სახელმწიფოს მიერ ბანკების პრობლემური სესხების გამოსყიდვის საკუთარ გეგმაზე ვრცლად ისაუბრა. **"ეს არის მსოფლიოში კარგად აპრობირებული პრაქტიკა, რადგან ეს, ერთი მხრივ, აუმჯობესებს ბანკების ბალანსს და აძლევს მათ ფინანსური აქტივობის საშუალებას. მეორე მხრივ, მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც სესხებს ვერ ფარავს უმუშევრობის ან ქვეყანაში შექმნილი ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის გამო, აძლევს დროს და საშუალებას, გააქტიუროს ბიზნესსაქმიანობა ან დასაქმდეს და შემდეგ დაფაროს სესხი,"** - განმარტა ირაკლი ალასანიამ. მისივე თქმით, ალიანსის ამ ინიციატივას სახელმწიფოს მხრიდან არაჯანსაღი რეაქცია მოჰყვა. ალასანიამ მოქალაქეებს მოუწოდა, რომ "ალიანსი საქართველოს" მიერ შექმნილ ბანკის მოვალეთა კომიტეტებში გაერთიანდნენ და ამ გზით აიძულონ ხელისუფლება, რომ ეს ნაბიჯი გადადგას. "ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერმა დასძინა, რომ ალიანსის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ამ გეგმას თვითონ განახორციელებს, ისევე როგორც ბევრ სხვა ღონისძიებას ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსაყვანად.

ბურჯანაძე ეუთო-სა და ევროკავშირის წარმომადგენლებს შეხვდა

"დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ავსტრიაში იმყოფება. ის ვიზიტის ფარგლებში ეუთო-ს გენერალურ მდივან მარკ პერინ დე ბრიშამბოს და ევროკომისარ ბენიტა ფერერო-ვალდნერს შეხვდა. ბურჯანაძის პარტიის ცნობით, საქართველოს პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ პირისპირ შეხვედრისას ევროკომისარს საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა. მან საკუთარი პოლიტიკური გეგმების შესახებაც ისაუბრა და ფერერო-ვალდნერს აუხსნა, თუ რატომ გახდა საქართველოში თითქმის მთელი ოპოზიციური სპექტრი რადიკალური. ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ გამორიცხული არ არის, ხელისუფლებამ ოპონენტების წინააღმდეგ პროვოკაციული მეთოდები გამოიყენოს. მან აღნიშნა, რომ **"ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოში მიმდინარე და დაგეგმილი პოლიტიკური პროცესები კონსტიტუციურ ფარგლებში განვითარდეს."**

"დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ პრესრელიზში აღნიშნულია, რომ ბენიტა ფერერო-ვალდნერმა შეშფოთება გამოთქვა იმ მეთოდების გამო, რომელსაც საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება პოლიტიკურ ოპონენტებთან ბრძოლისას მიმართავს.

გარდა ამისა, ვენაში ვიზიტის ფარგლებში ბურჯანაძე პირისპირ შეხვდა პოლონეთის ყოფილ პრეზიდენტ ალექსანდრე კვასნევსკის.

"კონსერვატორების" შენაძენი არასამთავრობო სექტორიდან

არასამთავრობო ორგანიზაცია "თანასწორობის ინსტიტუტის" ყოფილი წევრი ლაშა ჩხარტიშვილი გუშინ "კონსერვატიულ პარტიაში" განევრიანდა. ეს გადაწყვეტილება მან პოლიტიკური კონსულტაციების შემდეგ მიიღო. პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე აღინიშნეს, რომ ლაშა ჩხარტიშვილი ადამიანის უფლებათა, გარემოს დაცვის და სოციალური პოლიტიკის მიმართულებებს უხელმძღვანელებს. ამასთან, ჩხარტიშვილი "კონსერვატიული პარტიის" ეროვნული კომიტეტის მუშაობაში მიიღებს მონაწილეობას.

საკუთარი ინფორმაცია

აგვისტოს ომი რუსეთმა დაიწყო

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

7 აგვისტოს, დაახლოებით, ღამის 03:00 საათზე, რუსული ტანკები აღნიშნული გვირაბით საქართველოში შემოვიდნენ. რუსეთს საქართველოში, რეზერვში სხვა ძალაც ჰყავდა - დედაქალაქისკენ მომავალი მაგისტრალის სიახლოვეს. აფხაზეთიდან რუსულმა ჯარებმა ალყაში მოაქციეს ფოთი და დასავლეთ საქართველოს სამეგრელოს რეგიონის დიდი ნაწილი. რუსეთმა ნაპირზე გადმოსხა საზღვაო ფეხოსნების ნაწილი 4000 კაცის შემადგენლობით. რუსეთის შავი ზღვის ფლოტმა ბლოკადაში მოაქცია ფოთი და ბათუმი, საქართველოს კიდევ ერთი უმთავრესი პორტი. რუსეთის ავიაციამ განახორციელა კარგად მომზადებული საჰაერო დარტყმები ორივე - სამხედრო და სამოქალაქო სამიზნეებზე.

საერთო წარმოდგენის მიუხედავად, დასავლეთის მასმედია ლოცვასავით იმეორებს, რომ ეს იყო რუსეთის რეაქცია 7 და 8 აგვისტოს საქართველოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. მაგალითად, 15 მარტის პუბლიკაციაში "ესოშიეითიდ პრესმა" დაწერა, რომ ქართული "ოპოზიციური ჯგუფების თქმით, სააკაშვილმა დაუშვა სერიოზული შეცდომა, როცა გასულ წელს სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონზე შეტევა დაიწყო. რუსეთმა უპასუხა ტანკებითა და ჯარებით, რამაც საქართველოს შეიარაღებულ ძალებს სასწრაფოდ დაახევინა უკან."

ილარიონოვი კი ზემოაღნიშნულ მოსაზრებებს ისეთივე ანალიზით უპირისპირდება, როგორიც მან ერთხელ რუსეთის ეკონომიკური განვითარების შესახებ გააკეთა. შედეგი კი, უბრალოდ, ცხრილია, რომელსაც ეწოდა "ვინ იყო პირველი" და მისსავე კუთვნილ ვებგვერდზე "*Livejournal*" განთავსდა. ცხრილი სამსვეტიანია და მოიცავს მხარეების მოქმედებებს თარიღების მიხედვით: 1) "თითოეული მხარის მიერ გადადგმული ნაბიჯები"; 2) "კოალიცია (რუსეთი, აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი)" და 3) "საქართველო". ცხრილი მოვლენების განვითარების ხუთ ეტაპს გვთავაზობს.

პირველი, რუსეთის კონფლიქტი საქართველოსთან - ცეცხლის გახსნა გაცილებით ადრე მოხდა. ილარიონოვის თანახმად, პირველია "საჰაერო დაბომბვა". ცხრილს 2002 წლის 23 აგვისტოში გადავყავართ, როდესაც რუსეთის შორი რადიუსის ავიაცია საქართველოში პანკისის ხეობას ბომბავდა.

მეორე, რუსეთის მიერ დიდი ხნით ადრე დაიგეგმა 2008 წლის აგვისტოს ომი. "ვინ იყო პირველის" თანახმად, რუსეთმა, გრძელვადიანი პერსპექტივის გათვალისწინებით, ტანკები და სამხედრო ბაზების შენობები ქართულ ტერიტორიაზე სამხრეთ ოსეთში ჯერ კიდევ 2003 წელს განათავსა. შემდეგ ილარიონოვი 2008 წლის აგვისტოს ომისთვის სამზადისის ნაბიჯების მთელ სერიას გვთავაზობს: ევროპის ხელშეკრულებაში კონვენციური ძალების მონაწილეობის დროებითი შეჩერება, აფხაზეთზე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სანქციების მოხსნა, ორი ქართული ტერიტორიის დე ფაქტო დამოუკიდებლობის გამოცხადება და სამშვიდობო ძალების ნიღბით სამხედრო ძალების რაოდენობის გაზრდა.

მესამე, ესკალაციური ქმედებების თანმიმდევრული კასკადის შემდეგ, რომელიც ივლისის პირველ რიცხვებში დაიწყო, რუსეთმა იერიში მიიტანა საქართველოზე: "სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მხარეების რეგულარული შეიარაღებული ძალების ყოფნა;" რუსეთი: "არა უგვიანეს 2008 წლის 4 აგვისტო;" საქართველო: "2008 წლის 7 აგვისტოს 21:00 საათის შემდეგ".

და: "საქართველო-რუსეთის საზღვრის დარღვევა მხარეების რეგულარული შეიარაღებული ძალების მიერ;" რუსეთი: "2008 წლის 7 აგვისტო, 03:52;" საქართველო: "არ არის მითითებული". ილარიონოვის თანახმად, **"ქართული მხარისგან არმიის სრული საბრძოლო მზადყოფნისთვის ბრძანება გაიცა მას შემდეგ, რაც ქვეყანაში უცხო ძალის შემოჭრიდან 10 საათზე მეტი გავიდა."**

მეოთხე, ილარიონოვის ცხრილის მიხედვით, ქართულმა მხარემ ცეცხლი გახსნა 7 აგვისტოს 17:10 საათზე, რაც საჯაროდ გამოცხადდა 18:40 საათზე. 20:30 საათზე რუსეთმა თავის სამხრეთით, ოს თანამოაზრეებთან ერთად, საარტილერიო ცეცხლი გაუხსნა ქართულ პოზიციებს და სამხედრო ოპერაციები დაიწყო.

მეხუთე, ილარიონოვს აქვს მრავალრიცხოვანი ჩამონათვალი თარიღებითურთ იმის შესახებ, რომ ომი პირველად რუსეთმა დაიწყო: ცხინვალიდან მოსახლეობის ევაკუაცია 2 აგვისტოს; ე.წ. მოხალისეების ჩამოსვლა 3 აგვისტოს; "(მოკლე მანძილზე მოქმედების) ტაქტიკური რაკეტების განთავსება 8 აგვისტოს;" "საზღვაო მარშრუტების ბლოკადა" 9 აგვისტოს; "ეთნიკური წმენდა" 9 აგვისტოს და "საზღვაო ქვეითი ჯარის ნაპირზე გადმოსხმა 10 აგვისტოს."

მეექვსე, ილარიონოვი ჩამონათვალს ამთავრებს იმით, რითიც დაიწყო - ეს იყო პერმანენტული პოლიტიკური კონფლიქტი: "აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება, 2008 წლის 26 აგვისტოს".

ომის მსვლელობისას და მისი დასრულების შემდეგაც, საქართველოს მსგავსად, ილარიონოვი არ განასხვავებს რუსეთის შეიარაღებულ ძალებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეჟიმებისგან - მათი პოზიცია უცვლელია. მეტიც, ილარიონოვის მიერ შედგენილი ცხრილი ამტკიცებს ქართული მხარის ვერსიას, დეტალები განსხვავებულია და შესაძლოა, აღნიშნულ ცხრილში თარიღებიც უნიკალური იყოს - ილარიონოვმა, მაინც თავისი კვლევა ჩაატარა.

მანამდე, ვიდრე კიდევ ბრმად გაიმეორებენ მცდარ ინფორმაციას, სჯობია, რომ ჟურნალისტებმა და პოლიტიკოსებმა ჯერ ილარიონოვის პუბლიკაციას "ვინ იყო პირველი" ჩახედონ.

http://aillarionov.livejournal.com/70169.html

დევიდ ჯ. სმიტი არის საქართველოს უსაფრთხოების ანალიზის ცენტრის დირექტორი, (თბილისი) და პოლიტიკური კვლევების პოტომაკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, (ვაშინგტონი.)

ჩვენ არჩევანი გვაქვს

პირველი გვერდიდან

ჩვენი საზოგადოება არაა მზად იმ გზით განთავისუფლდეს რუსეთისგან, როგორც ეს ავღანელებმა გააკეთეს და თან გადავიხადოთ ის ფასი, რაც მათ გაიღეს ამისთვის - სრული დეცივილიზაცია. ჩვენ მხოლოდ რუსეთისგან განთავისუფლებას არ ვესწრაფვით, არამედ გვინდა იმავდროულად ავაშენოთ ეროვნული სახელმწიფო, ლიბერალური დემოკრატია, სამოქალაქო საზოგადოება, თავისუფალი ბაზარი და გავხდეთ დასავლური სამყაროს ნაწილი. ჩვენ არ გვინდა ვიქცეთ ჰეზბოლად, რომელიც ეფექტურად უწევს შეიარაღებულ წინააღმდეგობას ისრაელს, მაგრამ ამ მედალს მეორე მხარეც აქვს - იქ სადაც არსებობს ჰეზბოლა, არ არსებობს ძლიერი სახელმწიფო.

ამასთან, ის, რომ არ გვინდა სამხედრო ბანაკად ვიქცეთ, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მზად ვართ შევეგუოთ სტატუს ქვოს. დანებება მტერს გულს არ მოულბობს და თავის აგრესიულ განზრახვებზე ხელს არ ააღებინებს. ამიტომ, ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ის პოლიტიკა, რომელიც მიმართულია დასავლური უსაფრთხოების სისტემაში ინტეგრირებასა და ჩვენი თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაზე. შარშანდელმა აგვისტომ გამოავლინა ძალიან ბევრი ხარვეზი და შეცდომა, რომელსც მანამდე ჩვენ ვერ ვამჩნევდით, მაგრამ მან ასევე აჩვენა, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი აღარაა ის უძლეველი ზესახელმწიფო, რომელსაც ოდესღაც ამერიკასთან სამხედრო პარიტეტი ჰქონდა. ძალა, რომელიც საკმარისია საქართველოსთან საომრად და ახალგორის და კოდორის დასაკავებლად, არაა საკმარისი ისტორიის უკან შესაბრუნებლად და ბოროტების იმპერიის აღსადგენად. იმპერიების, ან გნებავთ, პრივილეგირებულ ინტერესთა სფეროების ეპოქა დასრულდა. ისტორიული კანონზომიერების შედეგად, რუსეთს ბერლინიდან, ვარშავიდან, ბუდაპეშტიდან და პრაღიდან გასვლა მოუწია. სოხუმი და ცხინვალი არაფერია ამ ქალაქებთან შედარებით. ადრე თუ გვიან, რუსეთს აქედანაც მოუწევს გასვლა. ასე იყო 30 წლის წინაც. მაშინაც ნავთობდოლარებითა და საკუთარი ძლიერების შეგრძნებით მთვრალმა საბჭოთა კავშირმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა და ავღანეთში შეიჭრა. ავღანეთმა ყველას დაანახა, რომ წითელი ზესახელმწიფო სინამდვილეში თიხისფეხება კოლოსი იყო. ასეა დღესაც. დღეს რუსეთს არა აქვს არჩევანი და განწირულია, ერთი და იგივე შეცდომები გაიმეოროს, მაგრამ ჩვენ არჩევანი გვაქვს. ავღანური სცენარი არაა ერთადერთი ალტერნატივა - ჩვენ აღმოსავლეთ ევროპის გზაც შეგვიძლია ავირჩიოთ და ამგვარად მივაღწიოთ ეროვნულ თავისუფლებას, ჩვენი ქვეყნის სრულ დეოკუპაციასა და დეკოლონიზაციას.

- დღევანდელ სიტუაციას ხშირად ადარებენ 1991-92 წლებში განვითარებულ მოვლენებს. ზოგი პოულობს მსგავსებას ამ ორ პერიოდს შორის, ზოგი - ვერა. მაშინდელი ხელისუფლების, კომპარტიის ოპოზიციას ჰქონდა ნათელი იდეა - დამოუკიდებლობა. დღეს ოპოზიციურ ძალებში ხედავთ იდეას?

- ვფიქრობ, საზოგადოება ოპოზიციურ ჯგუფებში რაიმე ნათელ იდეას რომ ხედავდეს, მათ უფრო მეტი მხარდაჭერა ექნებოდათ.

- თვლით, რომ ხელისუფლების შეცვლის ოპოზიციურ მოთხოვნას საკმარისი მხარდაჭერა არა აქვს?

- ვთვლი იმას, რაც ვთქვი და ამ თემას ვერაფერს დავამატებ. არა მგონია, ეს ხალხი უფრო ფართო მსჯელობას იმსახურებდეს.

- "თავისუფლების ინსტიტუტი" არასამთავრობოთა და საზოგადოების სხვა წამომადგენლებზე მეტად საყვედურობს ხელისუფლებას, რომ მან რეფორმები შეაჩერა...

- გარკვეული სტაგნაციური ტენდენციების ახსნა ომის შემდგომ შოკითა და გლობალური ეკონომიკური კრიზისითაც შეიძლება, მაგრამ სტაგნაციის ფესვები ცოტა უფრო ღრმაა. რეფორმების ტემპის ვარდნა ბევრად უფრო ადრე დაიწყო. ეს, სხვათა შორის, არც მხოლოდ 7 ნოემბერს უკავშირდება. ტაქტიკური მიზანშეწონილობის ინტერესებს თავიდანავე ბევრი რამ შეეწირა, რამაც საბოლოო ჯამში, თავად სტრატეგია დააყენა კითხვის ნიშნის ქვეშ. პოლიტიკა შესაძლებლის ხელოვნებაა. კომპრომისები, ბალანსირება და მანევრირება ბუნებრივია, მაგრამ ეს არ ყოფილა "ვარდების რევოლუციის" ლიდერთა სტიქია. დღევანდელ ხელისუფლებას საზოგადოებამ ნდობა გამოუცხადა არა იმიტომ, რომ მათი უცოდველობისა ან შეუმცდარობის სჯეროდა, არამედ იმიტომ, რომ ისინი პრინციპულ და ენერგიულ ადამიანებად მიაჩნდა, რომლებიც, რა თქმა უნდა, ბევრ შეცდომას დაუშვებდნენ, მაგრამ საბოლოო ჯამში, ქვეყნის ჭაობიდან გამოყვანას შეძლებდნენ იმით, რომ ჰქონდათ საკუთარი ფასეულობების რწმენა და შინაგანი ძალა დაბრკოლებების მიუხედავად ამ ფასეულობების ცხოვრებაში გასატარებლად. ბალანსირება და კომპრომისები რომ ნდომოდა ხალხს, ეგეთი პრეზიდენტი შევარდნაძის სახით ისედაც გვყავდა. ხალხმა რევოლუციას მხარი იმიტომ დაუჭირა, რომ წინსვლა უნდოდა და არა ტაქტიკური უკუსვლები. თანაც, პრინციპების არმქონე შევარდნაძისთვის კომპრომისები ბუნებრივი იყო, ამიტომ მას ამ საქმეში დახელოვნება არ გასჭირვებია. რაც არ უნდა ეცადოს დღევანდელი ხელისუფლება ბალანსირების ხელოვნების დაუფლებას, ამ საქმიდან კარგი არაფერი გამოვა. კლასიკა რომ გავიხსენოთ, მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამ არ უშველა.

> ნებისმიერი კომპრომისი, რომელიც თავის დროზე იქნა დაშვებული, შემდეგ ბუმერანგად დაბრუნდა უკან. რეფორმები არ უნდა შეჩერდეს.

საკუთარი ბუნების წინააღმდეგ მიმავალი წარმატებას ვერ მიაღწევს.

- რა შეიწირა პოლიტიკურმა მიზანშეწონილობამ, კონკრეტულად რა შეცდომებზე საუბრობთ?

- რეფორმები ყველა სფეროში უფრო რადიკალურად უნდა გატარებულიყო - ეკონომიკა, განათლება, ჯანდაცვა, სოცუზრუნველყოფა და ა.შ.

ნებისმიერი კომპრომისი, რომელიც თავის დროზე დაუშვეს, შემდეგ ბუმერანგად დაბრუნდა უკან.

ჩვენს წინაშე მდგარი გამოწვევები უნიკალურად ქართული არ არის. ველოსიპედის გამოგონება არ გვჭირდება. ცნობილია გზა, რომელიც უნდა განვვლოთ. სხვა საკითხია, რამდენად გვაქვს შინაგანი სიმტკიცე, რომ ეს საკმაოდ რთული, ხანდახან ბეწვის ხიდის მაგვარი გზა გავიაროთ ისე, რომ ან უფსკრულში არ გადავიჩეხოთ, ან საერთოდ არ ავიღოთ ხელი ამ გზაზე და უკან გავბრუნდეთ. თუმცა (რადგანაც ველოსიპედი ვახსენე), ველოსიპედს აქვს ერთი თვისება - თუ გაჩერდები, წაიქცევი. მარგარეტ ტეტჩერი ამბობდა, ალტერნატივა არ არსებობს! ჩვენი საქმეც ასეა, არ უნდა გავჩერდეთ.

ჩვენს წინაშე მარტივი არჩევანია - ან წინ წავალთ ან უკან. მარჯვნივ ან მარცხნივ აქ არ არსებობს, ვინაიდან საქართველოში რეალურად პარტიებს ერთმანეთისაგან განსხვავებული იდეოლოგიები არა აქვთ. რეალურად, ჩვენს ქვეყანას აქვს ალტერნატივა - ან ვვითარდებით, ან ვეგუებით ჩამორჩენილობას. ჩვენი პრობლემა ისაა, რომ არც წინ მივდივართ და არც უკან, არამედ ერთ ადგილზე ვართ და ქვევით მივდივართ - ჭაობში ვეფლობით. მთავარი გამოწვევა ისაა, რომ ხელისუფლებამ და უფრო ფართოდ, პოლიტიკურმა კლასმა, საბოლოო ჯამში კი მთელმა საზოგადოებამ, რომლის ნაწილიც არიან პოლიტიკოსები, მიუნჰაუზენივით საკუთარი თავი ამ ჭაობიდან ამოათრიოს. ეს ყველაფერი შინაგან რწმენაზეა დამოკიდებული. ეს რწმენა არის საყრდენი წერტილი და თუ ამას ვიპოვით, შევძლებთ, რომ სამყარო გადავატრიალოთ. ეს საყრდენი წერტილი ჩვენს თავში უნდა ვიპოვოთ. ჩვენს გასაკეთებელ საქმეს სხვა არავინ გააკეთებს.

- საყრდენ წერტილად, ალბათ, გულისხმობთ საზოგადოების ნდობას ხელისუფლებისადმი...

- კონსტიტუციური პროცესის, პოლიტიკური ინსტიტუტებისა და ლიდერებისადმი მოქალაქეთა ნდობას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ პირველ რიგში, ვგულისხმობ საზოგადოების საკუთარ თავში რწმენას, არჩეული გზის ერთგულებას.

მთავარი კითხვა, რაზეც პასუხი უნდა გაეცეს ისაა, კვლავაც ესწრაფვის თუ არა ხალხი მოდერნიზაციას, დასავლურ ორიენტაციას და საბოლოო ჯამში ეროვნულ, სამოქალაქო და ეკონომიკურ თავისუფლებას. ეს ყველაფერი უცებ ვერ მოხდება. ალბათ, 20-30 წელი დაგვჭირდება, რომ საშუალო ევროპული განვითარების ქვეყანა გავხდეთ. ყველაზე მეტად, რაც ახლა გვჭირდება არის ცოდნა, რომ სწორი გზა ავირჩიოთ, ძალა, რომ ეს გზა განვვლოთ და რწმენა, რომ დაბრკოლებებს არ შევუშინდეთ.

- ფიქრობთ, რომ დღეს საზოგადოების განწყობა ხელისუფლების მიმართ არამხოლოდ კრიტიკულია, არამედ სრული უნდობლობით განმსჭვალული?

- საზოგადოების დამოკიდებულება პოლიტიკური კლასისადმი ინსტრუმენტალურია და არა ინტიმურ-რელიგიური. პოლიტიკური ლიდერებისადმი მხარდაჭერა პირობითია. მათ მხარს ვუჭერთ იმდენად, რამდენადაც ისინი ჩვენს ფასეულობებს იზიარებენ, ჩვენი პრობლემების გადაჭრის ხედვა აქვთ და ჩვენ გვჯერა მათი უნარის, რომ ამ პრობლემების გადაჭრისას უფრო მეტ ახალ პრობლემას არ შექმნიან. ცოდნის და გამოცდილების დეფიციტი მთელ საზოგადოებას აქვს და ჩვენი ლიდერები ამ საზოგადოების შვილები არიან. ჩვენ, როგორც საზოგადოება, ახლა ყველანი ერთად ვსწავლობთ, რას ნიშნავს ვიყოთ დამოუკიდებელი სახელმწიფო და თვითონ მოვუაროთ საკუთარ პრობლემებს. თან ვსწავლობთ და თან ვაშენებთ ახალ საქართველოს. ბუნებრივია, რომ ამ დროს ჩვენ ყველანი - რიგითი მოქალაქეებიცა და პოლიტიკური ლიდერებიც - ბევრ შეცდომას ვუშვებთ. მთავარია, ამ შეცდომების გამო რწმენა არ დავკარგოთ და სულმოკლეობის გამო საკუთარ არჩევანზე უარი არ ვთქვათ მარტო იმიტომ, რომ პირველივე მცდელობა სრული

ჩვენ არჩევანი გვაქვს

ჩვენ არ გვინდა ვიქცეთ ჰეზბოლად, რომელიც ეფექტურად უწევს შეიარაღებულ წინააღმდეგობას ისრაელს, მაგრამ ამ მედალს მეორე მხარეც აქვს - იქ სადაც არსებობს ჰეზბოლა, არ არსებობს ძლიერი სახელმწიფო.

ბალანსირება და კომპრომისები რომ ნდომოდა ხალხს, ეგეთი პრეზიდენტი შევარდნაძის სახით ისედაც გვყავდა. ხალხმა რევოლუციას მხარი იმიტომ დაუჭირა, რომ წინსვლა უნდოდა და არა ტაქტიკური უკუსვლები.

არა მგონია, ამ გაზაფხულზე სერიოზულ ტურბულენციას ჰქონდეს ადგილი, თუ რამე მონუმენტური სისულელე არ ჩაიდინა ხელისუფლებამ - მის გამოსახატავად ზურა წერეთლის ტალანტი რომ არ ეყოფა, ისეთი.

წარმატებით არ დასრულდა. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ საკუთარ შეცდომებში გავჯიუტდეთ და კრიტიკულად არ გადავაფასოთ დაგროვილი გამოცდილება. ბოლოს და ბოლოს, არჩევნებიც ხომ ამისთვის ტარდება, რომ კონსტიტუციით დადგენილ ვადებში და პროცედურებით პერიოდულად ყველანი დავფიქრდეთ და ახალი გამოწვევების შესაბამისი არჩევანი გავაკეთოთ.

პრობლემა მხოლოდ პოლიტიკოსებში არაა. პირველ რიგში, თავად საზოგადოებამ უნდა შეძლოს საკუთარი პრობლემების გაანალიზება. პოლიტიკისადმი მომხმარებლური დამოკიდებულებით შორს ვერ წავალთ. თუ ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში არანაირ წვლილს არ შევიტანთ და მხოლოდ მოლოდინი გვექნება იმისა, რომ ყველაფერი თავისით გამოსწორდება, მერე არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ეს მოლოდინი არ მართლდება. მერე, როცა შედეგით უკმაყოფილონი ვართ, მიზეზებს საკუთარ თავში არ ვეძებთ, არამედ გვინდა ვიპოვოთ ვიღაც, ვიზეც ადვილია ყველაფრის გადაბრალება. ბუნებრივია, თავის წილ პასუხისმგებლობას ვერც პოლიტიკური კლასი გაექცევა, მაგრამ, რაღაც დონის პასუხისმგებლობა რიგით მოქალაქეებსაც აქვთ.

პოლიტიკოსები უნდა განვიხილოთ, როგორც ერთგვარი ფუნქცია. მოთხოვნა-მიწოდების კანონი არამხოლოდ თავისუფალ ბაზარზე მოქმედებს, არამედ პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. როგორც ამბობენ, ყველა ხალხი იმსახურებს იმ ხელისუფლებას, რომელიც ჰყავს. ჩვეულებრივ, პოლიტიკოსები ატარებენ იმ კურსს, რაზეც სოციალური დაკვეთა არსებობს, ანუ ცდილობენ ბაზარზე გასაყიდად გამოიტანონ ის საქონელი, რაზეც მეტი მოთხოვნილებაა. ეს თვითგადარჩენის კარგად აპრობირებული და ტრივიალური მეთოდია. მაგრამ ასე არ იქცევა ის ხალხი, ვისაც ისტორიაში შესვლა უნდა. ბიზნესის შემთხვევაშიც იგივეა - ვიზიონერი მენარმეები არსებულ მოთხოვნას კი არ პასუხობენ, არამედ ქმნიან მოთხოვნას. დიდი სახელები კრეატიული იდეების, ინოვაციური მიდგომების, წინჭვრეტის უნარის, რისკისა და გაბედულების შედეგად იქმნება.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, მათი ხავერდოვანი რევოლუციების შემდეგ, ანალოგიური პრობლემები ჰქონდათ. ახალი ხელისუფლება იქაც უშვებდა შეცდომებს, ყოფილი მოკავშირეები იქაც სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდნენ, საზოგადოების ნაწილი იქაც მოიცვა ფრუსტრაციამ.

განსხვავება ისაა, რომ იმ ქვეყნებს ტერიტორიის მესამედი არ ჰქონდათ ოკუპირებული და რევიზიონისტულ რუსეთთან არ უხდებოდათ ომი. შესაძლოა, ამის გამოცაა, რომ ჩვენ უფრო კონსოლიდირებულები ვართ. მაგალითად, პოლონეთში ორჯერ ერთსა და იმავე ძალას ზედიზედ არჩევნები არასოდეს მოუგია.

ერთი შეხედვით, როცა მმართველი პარტიისა და მის კანდიდატის მიერ მიღებულ პროცენტებს ვუყურებთ, მხარდაჭერის ეროზია სახეზეა - სააკაშვილმა 2004 წელს 96 პროცენტი მიიღო, 2008 წელს კი - 53, მაგრამ, აბსოლუტურ ციფრებში თუ ვილაპარაკებთ, "ნაციონალურ მოძრაობას" ბევრი მხარდამჭერი არ დაუკარგავს. შარშან, თბილისის გარდა, მან თითქმის იმდენივე ხმა მიიღო, რამდენიც 4 წლის წინ, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნებზე ოპოზიციამ უკეთ შეძლო სააკაშვილის მმართველობით უკმაყოფილოთა მობილიზება - თბილისში უპრეცედენტოდ მაღალი ელექტორალური აქტივობა იყო და დედაქალაქი, ორი ოლქის გამოკლებით, მოიგო კიდეც. ეს ოპოზიციის ძალიან დიდი წარმატება იყო, მაგრამ საბოლოო ჯამში, პიროსის გამარჯვება აღმოჩნდა - საკუთარი წარმატებით მთვრალმა დიდი წვალებით დაგროვილი პოლიტიკური კაპიტალი რეკორდულად მოკლე დროში გაფლანგა.

ქმედება იწვევს უკუქმედებას. სადაც რევოლუციაა, იქაა ვანდეაც. რეფორმებს ყოველთვის უკმაყოფილება მოყვება. ყოფილი ნომენკლატურა თუ სხვა სოციალური ჯგუფები, რომელიც ხელისუფლების მოქმედების შედეგად ზოგჯერ სამართლიანად და ზოგჯერ უსამართლოდ დაზარალდა, დღეს ბევრად უფრო უკეთაა მობილიზებული, ორგანიზებული და მოტივირებული, ვიდრე ეს "ვარდების რევოლუციამდე" იყო. ხოლო ლიბერალური რეფორმების მხარდამჭერები არაცნობიერად ერთგვარ თვითიმედოვნებას არიან მიცემულნი. შედეგი სახეზე გვაქვს - ხელისუფლება სოციალურ დაკვეთას ასრულებს და სოციალური დაკვეთა ყოველთვის აქტიური უმცირესობების მიერ ფორმირდება.

- როგორ უნდა გააქტიურდეს ინდიფერენტული ნაწილი, რა შეუწყობს მათ გააქტიურებას ხელს?

- მაგიური ფორმულები არ არსებობს...

- არა, მაგრამ რაღაც უნიკალური ხომ მაინც გვჭირს? მაგალითად, თუნდაც ის, რომ აგერ უკვე ოცი წელია ერთ წრეზე ვტრიალებთ, ერთი და იგივე შეცდომები, ერთი და იგივე პრობლემები... ასე არ ფიქრობთ?

- მე მგონი, ეს წრე არ არის, უფრო სპირალია. რაღაცეები, ალბათ, მეორდება, მაგრამ თვისობრივად მაინც სხვა განზომილებაში ვართ.

- რა როლი აქვს დღეს არასამთავრობო სექტორს, რომლის აქტიურობაც ბოლო 5 წელია ერთგვარად მინავლულია?

- რევოლუციის შემდეგ უფრო ნათელი გახდა ის შინაგანი სისუსტეები, რომელიც არასამთავრობო სექტორს ჰქონდა. ამ პრობლემების გამოაშკარავებამ შექმნა ილუზია, რომ თითქოს, რევოლუციის შემდეგ სამოქალაქო საზოგადოება დასუსტდა. თუკი აბსოლუტურ განზომილებაში ვისაუბრებთ, ის ამაზე ძლიერი არც არასდროს ყოფილა. რევოლუციამდე თავად სახელმწიფო იყო ერთი დიდი, ინერტული და მოუქნელი არასამთავრობო ორგანიზაცია და არა მოცემულ ტერიტორიაზე ლეგიტიმური ძალადობის მონოპოლისტი. მასთან კონკურენცია სხვა, უფრო პატარა და მობილური არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ბევრად უფრო ადვილი იყო. რევოლუციამ ახალი დინამიკა შემოიტანა, სახელმწიფო გაძლიერდა, სამოქალაქო საზოგადოება კი დარჩა იმად, რაც იყო - ანუ ფარდობითად დასუსტდა.

- იმის ბრალი ხომ არ არის, რომ ახალი ხელისუფლება არასამთავრობოთა ხარჯზე გაძლიერდა?

- ერთი-ორი ადამიანის წასვლა ძირეულად სურათს არ ცვლის, და ასეც რომ იყოს, თუ სულ რაღაც ორ ადამიანზეა დამოკიდებული, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ სამოქალაქო საზოგადოება სუსტია და ინსტიტუციონიზება აკლია.

არასამთავრობო ორგანიზაციების პრობლემა ისაა, რომ ისინი არავის წარმოადგენენ საკუთარი თავის გარდა. როცა მთავრობასაც დემოკრატიული ლეგიტიმაციის დეფიციტი აქვს, მაშინ მოხალისეობის დაბალი ხარისხი და წევრთა სიმცირე არც ისეთი სიმწვავით ჩანს. არჩევნების გზით მოსულ ხელისუფლებას შეუძლია საკუთარ თავს მისცეს იმის უფლება, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს ისევე შეხედოს, როგორც ყველა სხვა ლობისტურ ჯგუფს, მოუსმინოს, მაგრამ იმოქმედოს საკუთარი საარჩევნო მანდატის შესაბამისად.

- ბრძანეთ, რომ ხელისუფლება საზოგადოებრივ დაკვეთას შეასრულებს...

- არამხოლოდ ხელისუფლება, არამედ მთელი პოლიტიკური კლასი.

- დიახ. მეორე მხრივ, ისიც თქვით, რომ განაწყენებული ადამიანები აქტიურობენ და ისინი უფრო კონსოლიდირებულნი არიან. ისე ჩანს, თავად ოპოზიციური ძალებიც და ხელისუფლებაც სხვადასხვაგვარად აღიქვამს ამ დაკვეთას.

- ყველა პოლიტიკოსმა თავისთვის უნდა გააკეთოს დასკვნა, რას ემსახურება, რას უნდა რომ მიაღწიოს. პრაგმატიზმის ჯანსაღი დოზის გარეშე პოლიტიკური წარმატება შეუძლებელია, მაგრამ ნებისმიერი კომპრომისისას უნდა გვახსოვდეს ის მიზანი, რისთვისაც ესა თუ ის დათმობა ხდება და უნდა აიწონ-დაიწონოს - ესა თუ ის ტაქტიკური ნაბიჯი გვაახლოებს თუ გვაშორებს სტარტეგიულ მიზანს. ნამდვილი ლიდერი უპრინციპო ოპორტუნისტისგან იმით განსხვავდება, რომ ფლუგერივით არ იქცევა, რომელიც იქით შეტრიალდება, საითაც ქარი დაუბერავს. ისეთ არასტაბილურ და ფეთქებადსაშიშ გარემოში, როგორშიც ჩვენ ახლა ვცხოვრობთ, ქარები სულ სხვადახვა მხრიდან უბერავენ და ამ ფლუგერს თუ მყარი ტარი არ აქვს, შეიძლება მოტყდეს და დაიმტვრეს.

- არ გსურთ ოპოზიციაზე საუბარში დროის ხარჯვა, მაგრამ მაინც გკითხავთ. დღევანდელ ოპოზიციურ სპექტრში ხელისუფლებაში მაღალ პოზიციებზე ნამყოფი ადამიანები გადაბარგდნენ. როგორ გგონიათ, ისინი შეძლებენ ლიდერებად გახდომას?

- "ლომი ბრჭყალთაგან შეიცნობის". ჯერ-ჯერობით, ახალი სახეები ქართულ პოლიტიკაში არ ჩანან. სისხლის გამოცვლა რომ არ ხდება, სტაგნაციის ერთ-ერთი მიზეზი ესეცაა. დასავლეთში პოლიტიკური მარცხის შემდეგ მიდის არა მხოლოდ ხელისუფლება, არამედ იგივე წესი მოქმედებს ოპოზიციის შემთხვევაშიც. მაგალითად, ბრიტანელ კონსერვატორებს უკვე მეოთხე ლიდერი ჰყავთ და ახლა არჩევნების მოგების რეალური შანსი აქვთ. თითოეულ მარცხთან ერთად, თავად ოპოზიციის მომხრეთა შორის სულ უფრო და უფრო იკლებს რწმენა, რომ მათი ბელადები "ნაციონალური მოძრაობის" დამარცხებას შეძლებენ.

- როგორ ფიქრობთ, მოვლენების ესკალაცია შესაძლებელია? მოხდება რევოლუცია, რომელსაც ასე ხშირად ახსენებენ?

- საერთოდ, როგორც წესი, ოპოზიცია კი არ იგებს, ხელისუფლება აგებს. არა მგონია, ამ გაზაფხულზე სერიოზულ ტურბულენციას ჰქონდეს ადგილი, თუ რამე მონუმენტური სისულელე არ ჩაიდინა ხელისუფლებამ - მის გამოსახატავად ზურა წერეთლის ტალანტი რომ არ ეყოფა, ისეთი. რაც კი ისტორიაში რევოლუცია ყოფილა, ყველა ეკონომიკური ბუმის დროს მოხდა - საფრანგეთში, რუსეთში, მექსიკაში. ჩვენსავე ისტორიაშიც ასე იყო. ეროვნული მოძრაობის აღმავლობა წინა საუკუნის 80-იან წლებში - საბჭოური კეთილდღეობის პიკზე, 2003 წლის "ვარდეების რევოლუცია" თუ 2007 წლის შემოდგომის მოვლენები - ესეც ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპების ფონზე ხდებოდა. შეიძლება, ეს პარადოქსულად გამოიყურება, მაგრამ მარტივი ლოგიკური საფუძველი აქვს - ბუმის პირობებში მოლოდინები ბევრად უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ეკონომიკას მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობა აქვს. შედეგი - ფრუსტრაცია. რევოლუციას ახდენენ ადამიანები, ვისაც მომავლის რწმენა აქვს და ცვლილებებს იმედის თვალით უყურებს. ახლა სულ სხვა ვითარებაა. ხალხს მომავლის ეშინია, ცვლილებებს კარგს არაფერს არ უკავშირებს. ასეთ ვითარებაში საზოგადოებაში სტაბილურობაზე მოთხოვნილება იზრდება.

- ქართულ მედიაზე რას იტყვით?

- ქართული მედიის მომხმარებელი უკვე კარგა ხანია, აღარ ვარ. ვკითხულობ მხოლოდ იმას, რაც ინტერნეტშია. ვუყურებ მხოლოდ Animal planet, National Geographic, History...

- აფთრების ცხოვრება საინტერესოა, მაგრამ სინამდვილეს ხომ არ გაურბიხართ?

- ჩვენი სატელევიზო მედიის მრავალფეროვნების მიუხედავად, ტელევიზიები სინამდვილეს კი არ ასახავენ, არამედ ვირტუალურ რეალობას ქმნიან. აფთრების ცხოვრება ბევრად უკეთეს წარმოდგენას იძლევა პოლიტიკური პროცესების შესახებ. დევიდ ატენბორო უფრო მეხმარება მიმდინარე მოვლენების გაგებაში, ვიდრე ის, რასაც კახა ბენდუქიძემ ვიეტნამური ჟურნალისტიკა უწოდა.

დღეს ბევრს საუბრობენ ცენზურასა თუ თვითცენზურაზე და ცდილობენ, ამით ახსნან ქართული მედიის არასახარბიელო მდგომარეობა. ჩემი აზრით, ეს პრობლემის გამარტივებაა. ვიეტნამელი ჟურნალისტი როცა ხარ, ცენზურაზე გადაბრალება კომფორტულია, ამით ადვილად იცილებ საუბარს აროგანტულობის, სიბნელის, სიზარმაცისა და არაპროფესიონალიზმის შესახებ.

საბჭოთა დროსაც იყო ცენზურა, მაგრამ არსებობდა ე.წ. "სამიზდატი" და "ტამიზდატი". როცა ცენზურა გაუქმდა, ყველგან დაიწყეს ადრე აკრძალული ლიტერატურის გამოქვეყნება. საქართველოში გრიგოლ რობაქიძის გარდა, მგონი საერთოდ არაფერი ახალი არ გამოქვეყნებულა. პრობლემა არამხოლოდ საბჭოთა ცენზურა იყო, არამედ ისიც, რომ ქართველი მწერლები ასაკრძალს არაფერს წერდნენ. მხოლოდ საბჭოთა ცენზურაში რომ არ იყო საქმე, ეს თუნდაც იმითაც დადასტურდა, რომ დამოუკიდებლობის პირობებშიც ბევრი არაფერი შემატებია ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას.

ბევრი ჟურნალისტისგან გამიგია, რომ მათი დამსაქმებლის სარედაქციო პოლიტიკა პროფესიული თვითრეალიზაციის შესაძლებლობას არ აძლევს, რომ ვერ ამბობენ იმას, რისი თქმაც საზოგადოებისათვის უნდათ. ეს ყველაფერი მესმის, მაგრამ რაც არ მესმის ისაა, თუ რატომ არავინ ცდილობს ალტერნატიული საშუალებების გამოყენებით თვისობრივად ახალი პროდუქტი შესთავაზოს მკითხველს, მაყურებელს, მსმენელს. თანამედროვე ტექნოლოგიები და პირველ ყოვლისა, ინტერნეტი ამის ფართო შესაძლებლობას იძლევა. ამდენი უკმაყოფილო ჟურნალისტია და მიუხედავად ამისა, ქართული ბლოგოსფერო გობის უდაბნოსავითაა. სიცოცხლის ნიშნები ძალიან იშვიათად გვხვდება. თუმცა, ბოლო პერიოდში გარკვეული გამოცოცხლება აქაც იწყება.

Ideas Have Consequences თავის დროზე ძალიან გავლენიანი წიგნი იყო, მაგრამ ამ ეტაპზე იდეები მეორეხარისხოვანი მგონია. უიდეობის პრობლემა არაა, უბრალოდ, ამ იდეების განხორციელების მექანიზმებია მოშლილი.

ლიბერალური იდეები და რეფორმები ყველა ფრონტზე ან, როგორც მინიმუმ, სტაგნაციაშია, ან უფრო უარესი, სერიოზული რღვევის საფრთხის წინაშეა. დიდი გულუბრყვილობა იქნება, პრობლემის არსის მხოლოდ პოლიტიკურ ნებამდე დაყვანა - როგორი ნებაც ექნებათ პოლიტიკოსებს, ისეთ პოლიტიკას გაატარებენ. ვერ გაატარებენ! ნებისმიერი პოლიტიკის გატარებას შესაბამისი ინსტრუმენტი და ინფრასტრუქტურა ჭირდება. ინსტრუმენტარი, რომელიც პოლიტიკურ დაგეგმვას და სოციალურ მობილიზაციას ჭირდება, ან საერთოდ არაა ან ძალიან სავალალო მდგომარეობაშია. იდეები ბევრი შეიძლება იყოს, მათგან პრიორიტეტები იმის მიხედვით უნდა შეირჩეს, რაც ფართო კოალიციის შექმნას შეუწყობს ხელს და საერთო სტრატეგიასთან შესაბამისობაში იქნება. პრობლემა უფრო ტექნოლოგიურია, ვიდრე ვოლუნტარისტური. პირველ რიგში, პოლიტიკური ინფრასტრუქტურის აღდგენა უნდა მოხდეს, რისი მეშვეობითაც ხდება იდეების გენერირება და კომუნიკაცია. ძალიან ბევრი რამ თავიდან უნდა დავიწყოთ. წინსვლის გასაგრძელებლად სისტემური გადატვირთვა გვჭირდება.

საგარეო უწყების მიმართვა

საგარეო საქმეთა სამინისტრო ეგვიპტეში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს მოუწოდებს, ისრაელისა და ეგვიპტის საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისგან თავი შეიკავონ.

"მოგესენებათ, ღაზას სექტორში არსებული დაძაბული ვითარების გამო საზღვრის გადაკვეთა გართულებულია და საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეების დაკავება ხშირად ხდება. იმისათვის, რომ ჩვენი მოქალაქეები ეგვიპტეში დაკავებულები არ იყვნენ, მოვუწოდებთ მათ, საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისგან თავი შეიკავონ," - განაცხადა საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ განაცხადა, რამდენიმე დღის წინ, ეგვიპტეში საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისათვის რამდენიმე ქართველი დააკავეს, მათ მიმართ დეპორტაცია განხორციელდა. **პირველი**

შაშკინის უწყებას საჯარო ინფორმაციის მიწოდებისთვის 10-დღიან ვადას აძლევენ

"მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს საჯარო ინფორმაციის მიწოდებისთვის 10-დღიან ვადას აძლევს. "დღეს შაშკინის უწყებას კიდევ ერთხელ მივმართეთ და მოვთხოვეთ, ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და 38-ე მუხლების საფუძველზე მოგვაწოდოს ჩვენს მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია - 2008 წლის ნოემბერში შეწყალებულ მსჯავრდებულთა სია სახელის, გვარის, კონკრეტული მუხლისა და სასჯელის აღსრულების ადგილის მითითებით," - ნათქვამია მოძრაობის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. ამასთან, პარტიის განცხადებით, თუ კანონით დადგენილ 10-დღიან ვადაში პარტია ვერ მიიღებს ვერანაირ ოფიციალურ პასუხს, "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს წინააღმდეგ სასამართლოს მიმართავს. **პირველი**

ანტინარკოტიკული კანონმდებლობის დაგვიანებული განხილვა

პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი ანტინარკოტიკული კანონმდებლობის განხილვის დაწყებას ითხოვს. ეს მოთხოვნა წერეთელმა ბიუროს სხდომაზე დააყენა. როგორც მან აღნიშნა, საზოგადოების დიდი მოლოდინის მიუხედავად, ორი წელია კანონპროეტი მზად არის და განხილვის დაწყება ვერ ხერხდება. "შარშან ორმა არჩევნებმა შეგვიშალა ხელი, შემდეგ ომმა, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი კანონმდებლობის პაკეტი და საზოგადოება მას ელის," - განაცხადა წერეთელმა. ამ კანონპროექტის პაკეტის თანახმად, მთლიანად იცვლება მიდგომა ნარკოტიკების მომხმარებელთა მიმართა და ისინი დამნაშავეებად აღარ გამოცხადდებიან.

ნარკოტიკების მომხმარებელთა მიმართ პოლიტიკის გალიბერალების პარალელურად მკაცრდება კანონმდებლობა ნარკოტიკების გამსაღებელთა მიმართ. შესაბამისად, ამ მიდგომებს აღნიშნული კანონპროექტის პაკეტი აწესრიგებს, რომელიც თავის მხრივ ექვს კანონს მოიცავს. როგორც წერეთელმა აღნიშნა, ამ საკითხთან დაკავშირებით ინტერნსიურად იმართება შეხვედრები ხელისუფლებისა და არასამთავრობო სექტორის მონაწილეობით. მისი თქმით, აუცილებელია, აღნიშნული კანონპროექტის განხილვა დაუყოვნებლივ დაიწყოს.

წერეთელი აცხადებს, რომ აუცილებელი არ არის, პარლამენტმა ექვსივე კანონპროექტის განხილვა ერთდროულად დაიწყოს და ითხოვს, რომ პირველ რიგში დაიწყოს იმ ორი საკითხის განხილვა, რომელიც ეხება ნარკოტიკული საშუალებების სიების ჩამონათვალს და დოზების განსაზღვრას.

პარლამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, პარლამენტის ბიურო ითვალისწინებს წერეთლის მოთხოვნას. ჯანდაცვის, იურიდიულ საკითხთა, ევროინტეგრაციის და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტები დაიწყებენ აღნიშნული კანონპროექტის განხილვას და საკითხს სესაზე განსახილველად მოამზადებენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

მოსახლეობას მგლებისგან სპეციალური შტაბები დაიცავს

ლაგოდეხში მოსახლეობის მგლებისგან დაცვის შტაბები შეიქმნა. მათში კახეთის სამხარეო პოლიციისა და გარემოს დაცვის ინსპექციის თანამშრომლები გაერთიანდნენ. როგორც გარემოს დაცვის ინსპექციის კახეთის ბიუროს მთავარი სპეციალისტი გია გოგრიჭიანი აცხადებს, ჯგუფები გააკონტროლებენ მანიმი-ლაგოდეხის, ხიზაბავრა-გურგენიანი-მსხალგორის, ფონა-ხეჩილი-გიორგეთისა და ჭიაური-ჰერეთისკარის ზონას. ნადირის თავდასხმის შემთხვევაში, შტაბი პრევენციულ და პროფილაქტიკურ ღონისძიებებს გაატარებს. აღნიშნული ჯგუფების ჩამოყალიბება ლაგოდეხში მგლების შემოსევის რამდენიმე ფაქტმა განაპირობა. **მედიანიუსი**

ქუთაისში იუსტიციის სახლი გაიხსნა

მაია მეცხვარიშვილი
ქუთაისიდან

ქუთაისში იუსტიციის სახლი გაიხსნა, სადაც იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული რამდენიმე ტერიტორიული სამსახურის ოფისი განთავსდა - სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, ეროვნული არქივისა და აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურებას მოქალაქეები დღეიდან ერთ შენობაში მიიღებენ.

ხუთსართულიანი შენობის პირველ სართულზე ეროვნული არქივის საცავებია განლაგებული, მეხუთე სართულზე კი - ქუთაისის ცენტრალური არქივის ადმინისტრაცია.

"ქუთაისის ცენტრალური არქივში დაცული 610 ათასი ერთეული დოკუმენტი, რომელშიც ასახულია დასავლეთ საქართველოს ისტორია, მე-17 საუკუნიდან მოყოლებული დღემდე," - აღნიშნა ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა.

ქუთაისის ცენტრალური არქივი ამ დრომდე ქალაქის ისტორიულ უბანში იყო განთავსებული, რომელსაც რეკონსტრუქცია ქალაქის რეაბილიტაციის მეორე ეტაპზე, ანუ წელს ჩაუტარდება. წინასწარი ინფორმაციით, აღნიშნულ შენობაში ან იმერეთის სამხარეო ადმინისტრაცია გადაინაცვლებს, ან საგზაო დეპარტამენტი. საგზაო დეპარტამენტი თბილისიდან ქუთაისში ჯერ კიდევ გასულ წელს უნდა გადასულიყო, თუმცა ამ უწყებისთვის ქუთაისში ახალი შენობა ამ დრომდე არ არის გადაცემული.

იუსტიციის სახლის მეორე სართულზე სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ქუთაისის ოფისი განთავსდა. მესამე სართული საჯარო რეესტრის სააგენტომ დაიკავა, მეოთხე სართული კი - აღსრულების ეროვნულმა ბიურომ.

"ეს არის უპრეცედენტოდ დიდი მომსახურების ცენტრი მთელი საქართველოს მასშტაბით. ნებისმიერ ქუთაისელს შეუძლია მოვიდეს აქ და აიღოს პირადობის მოწმობა, დაარეგისტრიროს საკუთრება, მოიძიოს ისტორიულ არქივში თავის შესახებ ინფორმაცია, მიიღოს სააღსრულებო ბიუროს მომსახურება და სრული სერვისით ისარგებლოს იუსტიციის სამინისტროსგან. ეს არის ერთი სარკმლის პრინციპით შეთავაზებული მომსახურება მოქალაქეებისათვის," - აღნიშნა იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი ვაშაძემ. იუსტიციის სახლის გახსნას ქუთაისში, ვაშაძისა და იაშვილის გარდა, იუსტიციის მინისტრის მოადგილე ზაზა თავაძე და საჯარო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარე სერგო წიქარიშვილიც ესწრებოდნენ.

იუსტიციის სამინისტრო ანალოგიური სახლების გახსნას სხვა რეგიონებშიც გეგმავს.

მუქარის წერილები და შეცდომით დაკავებული ეჭვმიტანილი

ცოტა ხნის წინათ, ფრანგმა სამართალდამცველებმა 47 წლის პროგრამისტი დააკავეს, რომელიც, ცნობილი პოლიტიკოსებისთვის მუქარის შემცველი წერილების გაგზავნაში იყო ეჭვმიტანილი. ანონიმური წერილების ავტორის ადრესატი საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზიც აღმოჩნდა.

ფრანგი სამართალდამცველები ირწმუნებოდნენ, რომ მათ სწორად მიაგნეს მაღალჩინოსნებისთვის გაგზავნილი მუქარის წერილების ავტორს, თუმცა, ორ დღეში, იძულებულები გახდნენ, დაკავებული გაეთავისუფლებინათ.

ეჭვმიტანილი პროგრამისტის ყოფილმა მეგობარმა ქალმა სამართალდამცველებს განუცხადა, რომ მუქარის წერილები, რომლებსაც ის ყოფილი მეგობარი მამაკაცისგან იღებდა, ქვეყნის პირველი პირებისთვის გაგზავნილი წერილების იდენტური იყო. თუმცა დაკავებული პროგრამისტის ინტერესების დამცველმა შეძლო დაერწმუნებინა სამართალდამცველები, რომ ამ წერილებს ერთმანეთთან საერთო არაფერი ჰქონდა და ის ერთი და იმავე ადამიანის დაწერილი ვერ იქნებოდა. ადვოკატს ამ პოზიციის გამყარებაში მისი დაცვის ქვეშ მყოფის დაკავების შემდეგ მომხდარი ფაქტიც დაეხმარა.

საქმე ისაა, რომ იდენტური მუქარის წერილი სენატორმა ჯაკ ბლანმა და სააგენტო AFP-მ ეჭვმიტანილის დაკავებიდან მეორე დღეს მიიღეს.

ანონიმური მუქარის წერილი ჯერ კიდევ თებერვლის დასაწყისში, პირველად პრეზიდენტმა სარკოზიმ და სენატორმა რეიმონ კუდერკმა მიიღეს. კონვერტში, წერილის გარდა ტყვიებიც იყო მოთავსებული. ცოტა ხნის შემდეგ ანალოგიური გზავნილი მიიღო საფრანგეთის იუსტიციის მინისტრმა რასიდ დატიმ და შინაგან საქმეთა მინისტრმა მიშელ ალო-მარიმ.

სამართალდამცველებმა დაადგინეს, რომ ყველა ანონიმური წერილი ერთი და იმავე ადამიანის ხელით იყო შედგენილი.

ფრანგი სამართალდამცველების ბოლო ვერსიით, ხელისუფლების მაღალი პირებისთვის გაგზავნილი მუქარის ავტორი ყოფილი სამხედრო მოსამსახურეა. ამ ვარაუდის საფუძველს სამართალდამცველებს ის სამხედრო ტერმინოლოგია და გამონათქვამები აძლევს, რომლებიც, მათი თქმით, მუქარის ყველა წერილში ერთნაირად არის გამოყენებული.

ევროინტეგრაციის გამოწვევები: ენერგომომარაგება და ენერგოვაჭრობა

ფონდმა CASE-ტრანსკავკასიამ ევროკომისიის მხარდაჭერით ჩაატარა სემინარი თემაზე "ევროინტეგრაციის გამოწვევები: ენერგომომარაგება და ენერგოვაჭრობა". სემინარს მასპინძლობდა საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრი (GFSIS) და მონაწილეობდნენ ეკონომიკური ექსპერტები, სართაშორისო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლები. სემინარზე განხილული იყო ენერგომატარებლების მოპოვების, ტრანზიტისა და ვაჭრობის აქტუალური საკითხები. სემინარი წარმოადგენს ევროკომისიის პროექტის ნაწილს "ევროგაერთიანების სამეზობლო პოლიტიკა: ეკონომიკური პოტენციალი და შემდგომო განვითარება (**ENEPO**)", რომლის განხორციალებაზეც 2006-2009 წლებში მუშაობდა ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის 11 საერთაშორისო კვლევითი ცენტრისაგან შემდგარი კონსორციუმი.

ექსპერტების მიერ წარმოდგენილი კვლევის შედეგების პრეზენტაციამ მოწვეული ექსპერტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების ინტერესი გამოიწვია, რაც დაადასტურა წარმოშობილი დისკუსიის სიმწვავემ და ხანგრძლივობამ.

რუსეთის წინადადება "დიდ ოცეულს"

რა საკითხებს მიიჩნევს პრიორიტეტულად ოფიციალური მოსკოვი

მარიკა იაშვილი

AFP - 2009

დმიტრი მედვედევი ლონდონის სამიტზე წინადადებათა პაკეტით ჩადის

რუსეთის პრეზიდენტის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა დოკუმენტი, რომელშიც ჩამოყალიბებულია რუსეთის შეთავაზებები "დიდი ოცეულის" ლონდონის სამიტისადმი. რუსეთი ჯგუფის ქვეყნებს საერთაშორისო სავალუტო ფინანსური სისტემის რეფორმირებას ურჩევს, რაც მისი სტაბილიზაციისა და გლობალური ეკონომიკური დისბალანსის დარეგულირებისკენ იქნება მიმართული. რეფორმის ფარგლებში ერთ-ერთ შესაძლებელ ღონისძიებად რუსეთის ფედერაციას ზეეროვნული სარეზერვო ვალუტის შექმნა მიაჩნია, რომლის ემისია საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებს მერ განხორციელდება.

დოკუმენტის თანახმად, დღევანდელი გლობალური ეკონომიკური კრიზისი არსებული ფინანსური სისტემის ჩავარდნაა, რაც რეგულირების დაბალმა ხარისხმა გამოიწვია.

მსოფლიო ფინანსურმა ინსტიტუტებმა ბოლოდროინდელ მოვლენებზე საჭირო რეაგირება ვერ მოახდინეს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი თანამედროვე, მრავალპოლუსიანი მსოფლიოს მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ. პრობლემებთან ბრძოლის იარაღის არქონის გამო მსოფლიოს ბოლოდროინდელ კრიზისთან მოუხდა შეჯახება, რასაც ბევრ ქვეყანაში სოციალური დესტაბილიზაცია მოჰყვა, - მიაჩნიათ ავტორებს. ისინი ფიქრობენ, რომ კრიზისი, პირველ რიგში, რიგით ადამიანებზე აისახა, რომელთაც ცხოვრება იმაზე ნაკლებად აქვთ მოწყობილი და უზრუნველყოფილი, ვიდრე სასურველია, რომ ჰქონდეთ.

თავის წინადადებებში რუსეთი იმაზე აპელირებს, რომ გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისთვის საჭიროა სტაბილური და მოწესრიგებული საერთაშორისო ფინანსური-სავალუტო სისტემა.

"მიმდინარე კრიზისმა გვიჩვენა, რომ ასეთი სისტემა არ არსებობს და მისი შექმნა სუვერენული სახელმწიფოებისთვის ჯერ კიდევ შეუსრულებელი ამოცანაა, ისევე როგორც წამყვანი კომპანიებისთვის, რომლებიც საერთაშორის ბაზარზე მოღვაწეობენ," - აღნიშნულია დოკუმენტში.

"მიმდინარე კრიზისმა დაგვანახა, რომ აუცილებელია სტანდარტულ მიდგომებზე უარის თქმა და ჯგუფური, საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც თავის მხრივ გლობალიზაციის პროცესის მარეგულირებელი ერთიანი სისტემის შექმნისკენ იქნება მიმართული. ლონდონის მომავალ სამიტზე ჩვენ უნდა მივაღწიოთ შეთანხმებას ასეთი სისტემის შექმნის ძირითადი პარამეტრების შესახებ მაინც," - ნათქვამია განცხადებაში. ამ მიზნით, რუსეთი გამოდის ინიციატივით, რომ სამიტის დასრულების შემდეგ შეიკრიბოს საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ამ საკითხზე მუშაობას გააგრძელებს და შესაბამის კონვენციებსაც მიიღებს.

განცხადების ავტორთა აზრით, მსოფლიოს ახალი ფინანსური არქიტექტურა შემდეგ პრინციპებს უნდა დაეყრდნოს:

- ნაციონალური და საერთაშორისო ინსტიტუტების რეგულირების ჰარმონიულობა;
- მიღებულ გადაწყვეტილებებზე თანაბარი პასუხისმგებლობა;
- საერთაშორისო კოორდინაციის მექანიზმების ლეგიტიმურობის საფუძველზე ეფექტურობის ამაღლება;
- მონაწილეების ქმედებათა გამჭვირვალობა;
- რისკების სამართლიანი გადანაწილება.

დოკუმენტში ასევე ჩამოთვლილია ძირითადი მიმართულები, რომელთა მიხედვითაც ფინანსური მდგომარეობის რეგულირების სისტემის რეფორმა უნდა მოხდეს.

დოკუმენტის ავტორთა აზრით, აქცენტი, პირველ რიგში, საერთაშორისო მარეგულირებელი ინსტიტუტების შედეგიანობის ამაღლებაზე, ქვეყნების სტრატეგიების შეთავსებასა და მსოფლიო ფინანსური სისტემის მდგრადობზე უნდა გაკეთდეს.

მსოფლიოს ფინანსური არქიტექტურის მშენებლობის კიდევ ერთი მიმართულებაა რისკების მართვის თანამედროვე სისტემის შექმნა, რომელიც ფინანასური ტექნოლოგიების განვითარების ადეკვატური იქნება. ეს იმისთვის უნდა გაკეთდეს, ნათქვამია დოკუმენტში, რომ ბაზრის წევრებს თავიანთი კონტრაგენტების, ახალი დაურეგულირებელი ბაზრებისა და ფინანსური იარაღების ადეკვატურად შეფასების საშუალება ჰქონდეთ.

ასევე მნიშვნელოვანია სტიმულირების სისტემის ფორმირება, რომელიც მიმართული იქნება ფინანსური ბაზრის წევრების რაციონალური ქმედებებისკენ, რომლებიც, თავის მხრივ, ბაზრის დაბალანსებულ შეფასებასა და ახალი შესაძლებლობების მიღებას დაეფუძნება.

ამის შემდეგ დოკუმენტშია საუბარია უშუალოდ რუსეთის ფედერაციის შეთავაზებებზე "დიდი ოცეულისადმი".

მაკროეკონომიკური და საბიუჯეტო პოლიტიკის რეგულირებაზე საუბრისას დოკუმენტის ავტორები აღნიშნავენ, რომ სამიტის მონაწილეებმა უნდა შეიმუშაონ და მიიღონ საერთაშორისო დონეზე აღიარებული სტანდარტები მაკროეკონომიკისა და საბიუჯეტო პოლიტიკის საკითხებში, რომელთა დაცვა სავალდებულო იქნება.

რაც შეეხება კრიზისის პერიოდში შიდა მოთხოვნების რეგულირებას, განცხადებაში ნათქვამია, რომ რუსეთისთვის მისაღებია მხოლოდ ისეთი ვარიანტი, რომელიც ფინანსურ-საკრედიტო სისტემაზე ფინანსური ინსტიტუტების გავლენის შემცირებას ითვალისწინებს.

ამ სფეროში მთავარ ამოცანად რუსეთის ფედერაცია ფინანსური ბაზრის ზენაციონალური ხასიათის იარაღებისა და ინსტიტუტების და ნაციონალური ხასიათის მარეგულირებლების ქმედებების შეთავსებას მიიჩნევს.

დოკუმეტში არის კიდევ ერთი შეთავაზება, რომელიც საერთაშორისო შეთანხმების შემუშავებს შეეხება. ამ შეთანხმებამ ფინანსური სექტორის "სთანდარდ უნივერსალ რეგულათორი ფრეიმვორქ" (SURF) - რეგულირების გლობალური სტანდარტის მოწესრიგებისა და ფინანსური სექტორის კონტროლი უნდა განსაზღვროს. მასში ჩართული უნდა იყოს ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის სტანდარტები, ფინანსური პასუხისმგებლობის ერთიანი სტანდარტი, ამასთანავე ერთიანი კრიტერიუმები არასაიმედო იურისდიქციებისა და მათდამი დამოკიდებულების გასაზღვრისათვის.

ამასთანავე დოკუმენტში შემოთავაზებულია SURF-ში ფინანსური ინსტიტუტებისა და შეთანხმებების შესახებ მაქსიმალური ინფორმაციის რეგულარულად გაცვლის წესის, კრიზისის დროს მარეგულირებელი ორგანოების თანამშრომლობის იმიტირებული მოდელირების, ნაციონალური მოთხოვნების გათვალისწინების და რეიტინგული სააგენტოების მოქმედების სტანდარტების ჩართვა.

რუსეთი აგრეთვე მხარს უჭერს ჰეჯ-ფონდებზე დაკვირვების გაძლიერების საკითხს, რომელიც გულისხმობს ტრანსაქციების და ბანკების თანამშრომლობის შესახებ ინფორმაციის გახსნას.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ ახლა **"უკიდურესად მნიშვნელოვანია ფასების რამდენიმე ვალუტაში, საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრა."**

საერთაშორისო ფინანსური-სავალუტო სისტემის რეფორმაზე სამუშაოდ რუსეთი "დიდი ოცეულის " ქვეყნებს საგანგებო ჯგუფის შექმნას სთავაზობს, რომელშიც შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირები შევლენ და კვლევას შემდეგი სცენარის მიხედვით მოამზადებენ:

- რეზერვის ფუნქციით გამოსაყენებელი ვალუტის გაზრდა, რაც რეგიონული ფინანსური ცენტრების განვითარების სტიმულირებისათვის შეთანხმებული ღონისძიებების გატარების შედეგად მოხდება.
- ზენაციონალური სარეზერვო ვალუტის შექმნა, რომლის ემისიას საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები განახორციელებენ.

რაც შეეხება საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების რეფორმას, დოკუმენტში ნათქვამია, რომ რუსეთი მიზანშეწონილად მიიჩნევს, გადაიხედოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლი და მანდატი, რათა ის მსოფლიოს სავალუტო-ფინანსური სისტემის ახალი სტრუქტურის შესაბამისი გახდეს, რომლის მოდიფიკაციაც, როგორც ჩანს, მიმდინარე კრიზისის დასრულების შემდეგ მოხდება.

მიმდინარე კრიზისის დაძლევის მიზნით აუცილებელია, მნიშვნელოვნად გაიზარდოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის რესურსები: თანხა, რომელიც ფონდისთვის ხელმისაწვდომი იქნება, საკმარისად დიდი უნდა იყოს, რათა მან თავისი მთავარი როლი - კრედიტორის ფუნქცია შეუფერხებლად შეასრულოს, მიაჩნიათ დოკუმენტის ავტორებს. ასევე აუცილებელია, შემუშავდეს ახალი საკრედიტო მექანიზმები, რომელთა გამოყენება შესაძლებელს გახდიდა იმ ქვეყნებთან თანამშრომლობას, რომლებსაც ფინანსურ კრიზისთან მოუხდათ შეჯახება.

უახლოეს პერსპექტივაში, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა უნდა დაასრულოს მუშაობა კვოტებისა და ხმების შესახებ რეფორმაზე, რაც გულისხმობს უკვე ჩამოყალიბებული ბაზრის მქონე და განვითარებადი ქვეყნების სასარგებლოდ ხმებისა და კვოტების ხელახალ გადანაწილებას. რეფორმის პირველი ეტაპიდან გამომდინარე, რომელიც 2008 წელს დასრულდა, დასახული მიზნები ჯერ მიღწეული არ არის, ნათქვამია დოკუმენტში.

იმ ღონისძიებათა შორის, რომლებიც მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას და აგრეთვე მომხმარებელთა უფლებების დონის ამაღლებას გულისხმობს, რუსეთი გამოდის წინადადებით, მოსახლეობის ფინანსურ საკითხებში უკეთ გარკვევისთვის შემუშავდეს და ამოქმედდეს პროგრამები როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

დოკუმენტში ისიც არის მითითებული, რომ "დიდი ოცეულის" ქვეყნებმა განსაკუთრებული ყურადღება ენერგორესურსებს, ბირთვული იარაღის სულ უფრო მზარდ როლს და ახალი ენერგეტიკული ტექნოლოგიების შემუშავების საკითხს უნდა დაუთმონ.

ვინ ემუქრება მშვიდობას ჩრდილოეთ ირლანდიაში?

ექსტრემისტებს ოლსტერში კვლავ ომის დაწყება სურთ

მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა წინა კვირაში ჩრდილოეთ ირლანდიაში ზედიზედ ორი ტერორისტული აქტის განხორციელება, რომელთა შედეგადაც სამი ადამიანი დაიღუპა და რამდენიმე დაშავდა. ჯერ სამხედრო ბაზა მასარინის ჭიშკართან მანქანაში ჩასაფრებულმა ტერორისტებმა ცეცხლი გაუხსნეს დისტრიბუტორებისთვის პიცის გამოსართმევად გამოსულ ჯარისკაცებს. ავტომატის ჯერი უკვე ძირს დაცემულებსაც დაახალეს. ორი ჯარისკაცი დაიღუპა, ორი მძიმედაა დაჭრილი. დაიჭრნენ აგრეთვე პიცის დამტარებლებიც. ბაზის სამოქალაქო დაცვამ ცეცხლის გახსნა ვერ გაბედა, ტერორისტებმა მიმალვა მოახერხეს, მათი მანქანა პოლიციამ ქალაქში, ბაზიდან დაახლოებით ხუთ მილში ნახა დაგდებული. ორი დღის შემდეგ ბელფასტიდან, დაახლოებით, 40 კილომეტრზე ოკრუგ კრეიგავონში ცეცხლი გაუხსნეს გამოძახებაზე მისულ სამართალდამცავებს. დაიღუპა ერთი პოლიციელი. ჩრდილოეთ ირლანდიაში 1997 წლის შემდეგ, რაც პროცესები პოლიტიკურ ფორმატში გადავიდა, ბრიტანელი სამხედროები არ დაღუპულან, ხოლო ჩრდილოეთ ირლანდიელი პოლიციელი კი საერთოდ პირველად დაიღუპა მშვიდობის დამყარების შემდეგ, 2001 წელს ამ პოლიციის ჩამოყალიბებიდან.

ჩრდილოეთ ირლანდია, იგივე ოლსტერი, 1921 წელს ექვსი ირლანდიური საგრაფოს საფუძველზე შეიქმნა. ამ ტერიტორიაზე ძირითადად პროტესტანტები ცხოვრობდნენ. მათ მნიშვნელოვან ნაწილს შოტლანდიური და ინგლისური ფესვები ჰქონდა. ისინი არ დაეთანხმნენ უმთავრესად კათოლიკური ირლანდიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას და გაერთიანებულ სამეფოში დარჩენა ისურვეს. დღემდე ჩრდილოეთ ირლანდიაში დავის საგანია შემდეგი საკითხი - ეს ქვეყანა დამოუკიდებელ ირლანდიას უნდა შეუერთდეს თუ ლონდონს ემორჩილებოდეს. დიდი ბრიტანეთის მომხრეებს იუნიონისტებს უწოდებენ, ირლანდიის მომხრეებს კი, ძირითადად კათოლიკურ სათვისტომოს - ნაციონალისტებს ან რესპუბლიკელებს. კონფლიქტი მათ შორის 60-იანი წლების ბოლოს გამწვავდა, ადგილობრივმა პოლიციამ საქმეს თავი ვეღარ გაართვა და 1969 წლის აგვისტოში ბრიტანეთმა ჯარი ქალაქებში ჩააყენა. კონფლიქტის პიკზე იქ 28 ათასი ჯარისკაცი იყო, დღეს 5 ათასია დარჩენილი, ისიც ყაზარმებში. ქუჩების პატრულირება აღარ მიმდინარეობს. ამ დაპირისპირების წლებში ოლსტერში 3600-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა - ძირითადად, მშვიდობიანი მოსახლეობა. მთელი ამ ხნის მანძილზე "ბრიტანელ ოკუპანტებს" წინააღმდეგობას უწევდა ირლანდიის რესპუბლიკური არმია (ირა), ტერორისტული ორგანიზაცია, რომლის ფესვები ჯერ კიდევ 1916 წლის აჯანყებიდან მოდის. ის დაყოფილია რადიკალურ და ზომიერ ფრთებად, აქვს ლეგალური პოლიტიკური ფრთაც - პარტია "შინ-ფეინი", რომელიც ოლსტერის პარლამენტშია წარმოდგენილი.

1998 წელს ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიტიკურმა პარტიებმა და გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც გულისხმობდა ძალადობის შეწყვეტას, ირას განიარაღებას, ჯარის ქალაქებიდან გაყვანას და ოლსტერის პარლამენტის ამოქმედებას (წინასწარ შეთანხმებული კვოტებით ძირითადი პოლიტიკური ძალებისათვის). შეთანხმების წინააღმდეგ გამოვიდნენ "ირას" ულტრარადიკალური დანაყოფები, რომლებმაც შექმნეს "თანმიმდევრული ირა" და "ნამდვილი ირა". ისინი აგრძელებენ შეიარაღებულ ბრძოლას. ჯარისკაცებზე თავდასხმა თავის თავზე სწორედ "ნამდვილმა ირამ" აიღო. მათ სინდისზეევა ყველაზე სისხლიანი თავდასხმა ჩრდილოეთ ირლანდიის ისტორიაში 1998 წელს, როცა ტაირონის საგრაფოში ბომბის აფეთქებას 29 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

ტრაგედიის ადგილი გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრმა გორდონ ბრაუნმა მოინახულა. ცხადია, მან დაგმო მომხდარი და განაცხადა, რომ მშიშარა მკვლელები ვერ ჩაშლიან სამშვიდობო პროცესს. ტერორისტული აქტები დაგმეს არა მხოლოდ იუნიონისტებმა, არამედ "ირა"-ს ყოფილმა ლიდერებმაც, მათ შორის "შინ-ფეინის" ლიდერმა ჯერი ადამსმა. მან მიუსამძიმრა დაღუპულთა ოჯახებს და განაცხადა, რომ ვისაც არ უნდა მოეწყო ეს ტერაქტი, მათ არ აქვთ არც მხარდაჭერა და არც სტრატეგია. არმიის ქუჩაში გამოყვანა წესრიგის შესანარჩუნებლად არ იგეგმება, მაგრამ, ზოგიერთი ცნობით, "ი-5" დამატებითი რესურსების გამოყოფას და "ნამდვილი ირას" წინააღმდეგ მუშაობის გააქტიურებას გეგმავს. ალბათ განიხილება აგრეთვე სამხედრო ბაზების სამოქალაქო პირებისგან შემდგარი დაცვის სამხედროებით შეცვლის საკითხიც. ჩრდილოეთ ირლანდიის ვიცე-პრემიერმა მაკ გინესმა (შინ ფეინი) განაცხადა, რომ ომის დროს ის მხარს უჭერდა "ირას", უფრო მეტიც, თვითონ იყო მისი წევრი, მაგრამ ახლა ომი არ არის და ამ აქციის მომწყობებს სწორედ ომის დაწყება სურთ. ამ უკანასკნელმა და ოლსტერის პრემიერმა პიტერ რობინსონმა (დემოკრატიული იუნიონისტები) აშშ-ში დაგეგმილი ვიზიტი გადადეს.

ჩრდილოეთ ირლანდიაში მომხდარ ტერაქტებს ფართო განხილვა მოჰყვა როგორც პოლიტიკურ წრეებში, ასევე მედიასა და საზოგადოებაში. ზოგიერთი შეფასებით, ნამდვილი "ირას" რეალური შემადგენლობა ორ ათეულ კაცს არ უნდა აღემატებოდეს, მთლიანად რადიკალები კი ალბათ, სულ რაღაც, 200-300 კაცია. დღეს ბევრი რამ სწორედ იმაზეა დამოკიდებული, დააფარებს თუ არა ხელს მოსახლეობა ამ ექსტრემისტებს, რამდენად მალე მოახერხებენ მათ დაპატიმრებას. ეს სამშვიდობო პროცესის შეუქცევადობის მაჩვენებელიც იქნება.

ივა შილაკაძე

უგო ჩავესი ვენესუელაში რუსული ბაზების განთავსებას არ აპირებს

ვენესუელის პრეზიდენტ უგო ჩავესის განცხადებით, მართალია, კარაკასი მზადაა რუს სამხედროებთან ურთიერთობებისთვის, მაგრამ ქვეყნის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზები არ იქნება. ყოველკვირეული პროგრამის "პრეზიდენტი გისმენთ" მსვლელობისას უგო ჩავესმა განმარტება გააკეთა გავრცელებული ინფორმაციის შესახებ, რომლის თანახმადაც ვენესუელა რუსეთის ფედერაციის სტრატერგიულ ავიაციას ბაზირებისთვის კუნძულ ორჩილას უთმობს. "ყველაფერი ასე არ არის. მე ვუთხარი დმიტრი მედვედევს, რომ ნებისმიერ მომენტში, როდესაც რუსულ ავიაციას ვენესუელაში გაჩერება დასჭირდება, ჩვენი ქვეყანა ამისთვის მზად იქნება," - აცხადებს ჩავესი. ცნობისთვის, ვენესუელის მიერ რუსეთისთვის კუნძულ ორჩილას სარგებლობაში გადაცემის შესახებ ინფორმაცია რუსეთის შორეული ავაციის გენშტაბის უფროსმა ანატოლი ჟიხარევმა გაავრცელა. **საკუთარი ინფორმაცია**

ვაშინგტონი ინვესტორებს ამერიკაში თავიანთი ინვესტიციების შენარჩუნებაში არწმუნებს

"ინტერფაქსის" ცნობით, ვაშინგტონი ინვესტორებს ამერიკაში თავიანთი ინვესტიციების შენარჩუნებაში არწმუნებს. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბარაკ ობამას განმარტებით, უცხოელ ინცესტორებს შეუძლიათ, აბსოლუტურად დარწმუნებულები იყვნენ, რომ ამერიკის სახელმწიფოს ფასიან ქაღალდებში ჩადებული თანხა შენარჩუნებული იქნება. "არა მხოლოდ ჩინეთის ხელისუფლებაა, არამედ ნებისმიერ ინვესტორს შეუძლია, დარწმუნებული იყოს, რომ მათი ინვესტიციები ამერიკაში შენარჩუნებული იქნება," - განაცხადა ობამამ. ამერიკის პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ ამერიკაში ინვესტიციები ზრდას განაგრძობს. "ვფიქრობ, რომ ეს არის აღიარება, არა მარტო ჩვენი ეკონომიკის სტაბილურობისა, არამედ პოლიტიკური სისტემისა," - დასძინა ობამამ. **ჯი-ეიჩ-ენი**

ამერიკელებმა ერაყში ირანის უპილოტო საფრენი აპარატი ჩამოაგდეს

ამერიკის სამხედრი საჰაერო ძალებმა ერაყის თავზე გზააბნეული ირანული უპილოტო საფრენი აპარატი ჩამოაგდეს. ერაყელი სამხედროების განამარტებით, ირანულმა უპილოტო საფრენმა აპარატმა ერაყის საჰაერო საზღვარი შეცდომით დაარღვია. "იგი ბაღდადიდან 100 კილომეტრის რადიუსში გაანადგურეს. ინციდენტის კონკრეტული დრო არ არის ცნობილი," - იუწყება "როიტერი". ამერიკელი და ირანელი სამხედროები კომენტარის გაკეთებისგან თავს იკავებენ. ოფიციალური ვაშინგტონი ირანს ერაყში ანტისახელმწიფოებრივი, შეიარაღებული დაჯგუფებებისა და "თალიბების" აქტივისტების მხარდაჭერაში ადანაშაულებდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

მოსკოვში შემდეგი "სახალხო მრისხანების დღე" შემოდგომაზე გაიმართება

საპროტესტო აქციების - "სახალხო მრისხანების დღის" - ორგანიზატორთა განმარტებით, აქციამ წარმატებით ჩაიარა და იგი აუცილებლად უნდა განმეორდეს.

"ძირითადი ამოცანა, რომელიც "სახალხო მრისხანების დღის" ორგანიზებისას დაისახა, აქციებისადმი მოსკოვისა და სხვა ქალაქების მოსახლეობის სოლიდარობის მაქსიმალური გამოწვევა იყო. ამ კუთხით კი აქციას წარმატებულად შევაფასებდი. უკვე შევთანხმდით, რომ "მრისხანების დღე რეგულარული აქციის სახეს მიიღებს. ეს არ იქნება ყოველდღიური ან ყოველთვიური აქციები, თუმცა იგი გარკვეული პერიოდულობით ჩატარდება," - განაცხადა აქციის მონაწილემ, "ლევი ფრონტის" კოორდინატორმა სერგეი უდალცოვმა. მისი განმარტებით, შემდეგი აქცია შემოდგომაზე ჩატარდება. "თუკი ვითარება შეიცვლება, შესაძლოა, აქცია რეფერენდუმის დაწყებამდეც ჩავატაროთ," - დასძინა უდალცოვმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

რუსეთი ავღანეთში სამხედრო კონტინგენტის გაგზავნას არ აპირებს

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის განცხადებით, საერთაშორისო საზოგადოებას რუსეთისთვის ავღანეთში სამხედროების გაგზავნის თხოვნით არ მიუმართავს და ასეთი მოქმედებები არ იგეგმება. ამის შესახებ ლავროვმა ქაბულში ავღანელ კოლეგა რანგინ დადფარ სპანტასთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. "საერთაშორისო საზოგადოება არ აპატიებს რუსეთს ავღანეთში რუსული სამხედრო ძალების გაგზავნას. ასეთი ქმედებები არ იგეგმება," - აღნიშნა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა. მისივე თქმით, რუსეთს სურს, რომ ავღანეთში მყოფმა საერთაშორისო კონტინგენტმა ისე იმოქმედოს, რომ დაჩქარდეს ქვეყანაში ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრა. "ავღანეთის დასახმარებლად, სამხედრო ძალების გაგზავნის პარალელურად, არსებობს კიდევ სხვა პრაქტიკული საშუალებები, რომლებშიც რუსეთი აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას. ამავდროულად, რუსეთი გაითვალისწინებს ავღანეთის ხელისუფლების პოზიციას, რომელიც მოუწოდებს დაინტერესებულ ქვეყნებს, მეტი ყურადღება დაუთმონ სოციალურ-ეკონომიკურ აღმავლობას, კადრების მომზადებას და სახელმწიფო სტრუქტურების გამყარებას. რუსეთი მხარს უჭერს ავღანეთის ხელისუფლების პოზიციას, რაც იმას ითვალისწინებს, რომ ამ არცთუ უბრალო ეტაპზე ქვეყანაში სიტუაცია არ მოირყეს," - განაცხადა ლავროვმა. აღსანიშნავია, რომ ავღანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მიიღო სერგეი ლავროვის მიწვევა შანხაის ორგანიზაციის სპეციალურ კონფერენციაში მონაწილეობაზე, რომელიც მოსკოვში 27 მარტს გაიმართება და ავღანეთთან თანამშრომლობას მიეძღვნება. **საკუთარი ინფორმაცია**

"გრძელი მარში დასრულდა"

პაკისტანის ხელისუფლება დათმობაზე მიდის

მარიკა იაშვილი

AFP ' 2009

პაკისტანის ოპოზიციამ მიზანს მიაღწია - ხელისუფლება მზად არის მათი მოთხოვნების შესასრულებლად. ქვეყნის პრემიერ-მინისტრის განცხადებით, უზენაესი სასამართლოს სამოცი მოსამართლე ძველი თანამდებობების დაკავებას უახლოეს მომავალში შეძლებს. თავის მხრივ ხელისუფლება ოპოზიციის მომხრეებს მოუწოდებს, აქციები შეწყვიტონ და უარი თქვან "გრძელი მარშის" მოწყობაზე, რომელსაც ორშაბათს სტარტი ქალაქ ლაჰორში უნდა აეღო და ისლამაბადში მჯდომარე აქციით დასრულებულიყო. პრემიერის განცხადებით, აქციის ჩატარების აუცილებლობა, უბრალოდ, აღარ არსებობს.

თანამდებობას დაუბრუნდება უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარეც. პაკისტანის პრემიერ რაზა იუსუფ გილანის თქმით, იფტიჰარ ჩაუდრის შეუძლია, მოვალეობის შესრულებას 21 მარტიდან შეუდგეს.

მოსამართლეები სამსახურიდან ჯერ კიდევ პაკისტანის ყოფილმა პრეზიდენტმა პერვეზ მუშარაფმა, 2007 წლის აგვისტოში, გაათავისუფლა. მისმა შემცვლელმა ასიფ ალი ზარდარიმ, რომელიც 2007 წლის ბოლოს მოკლულ პრემიერ-მინისტრ ბენაზირ ბჰუტოს ქმარია, პირობა დადო, რომ მათ სამსახურში დააბრუნებდა. თუმცა დაპირება მანამდე არ შეასრულა, სანამ ეს საკითხი გასულ კვირას მასობრივი საპროტესტო აქციების მიზეზი არ გახდა. გამოსვლებს კი აქციის მონაწილეებსა და სამართალდამცავებს შორის არაერთი შეტაკება მოჰყვა.

მოსამართლეთა უფლებამოსილების აღდგენის საკითხი პრეზიდენტსა და პაკისტანური ოპოზიციის ლიდერს შორის დაპირისპირებაში გადაიზარდა. ქვეყნის ხელისუფლებამ შარიფს შინაპატიმრობა დააკისრა, თუმცა ოპოზიციის ლიდერმა 15 მარტს ვალდებულების შესრულებაზე უარი განაცხადა და ისლამაბადისკენ მსვლელობას შეუერთდა.

კვირას შარიფის სახლთან ოპოზიციასა და პოლიციას შორის შეტაკება მოხდა, რომლის დროსაც ხალხი სამართალდამცველებს ქვებს ესროდა, პოლიციელები კი მათ ხელკეტებითა და ცრემლსადენი გაზით პასუხობდნენ.

წინააღმდეგობა შარიფსა და ზარდარის შორის მას შემდეგ გამძაფრდა, რაც უზენაესმა სასამართლომ ოპოზიციის ლიდერსა და მის ძმას სახელმწიფო თანამდებობების დაკავება აუკრძალა და პენჯაბის პროვინციის, რომელსაც დღემდე შარიფი მართავდა, ისლამაბადის უშუალო კონტროლის ქვეშ დაბრუნება დააკისრა.

ორშაბათს ოპოზიციის მხარდამჭერები ლაჰორიდან ისლამაბადამდე საპროტესტო მარშის მოწყობას გეგმავდნენ. დედაქალაქში მათ პარლამენტის შენობის წინ მჯდომარე აქცია უნდა მოეწყოთ, თუმცა ოპოზიციის ლიდერმა ნავაზ შარიფმა დაგეგმილი აქცია გადადო და თანამოაზრეებს გამარჯვების ღირსეულად აღნიშვნისკენ მოუწოდა. "უფალს ნებავს, რომ დღეიდან ამ ერის ბედი შეიცვალოს," - განაცხადა შარიფმა.

ქვეყანაში არსებული მღველვარება დასავლური ძალების შეშფოთებას იწვევდა. ამიტომ მიღწეულ შეთანხმებას აშშ-ს ელჩი ავღანეთსა და პაკისტანში რიჩარდ ჰოლბრუკი გამოეხმაურა და განაცხადა, რომ მიესალმება ასეთ გადაწყვეტილებას. "პრეზიდენტ ზარდარის მხრიდან ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქმედებაა და ვიმედოვნებთ, რომ ის ბოლოს მოუღებს სახიფათო კონფრონტაციებს."

დასავლეთში მიაჩნიათ, რომ პაკისტანისთვის ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია არა შიდა პოლიტიკური უთანხმოებები, არამედ ავღანეთის საზღვარზე თალიბებთან ბრძოლა და მთელი ყურადღება სწორედ ამ საკითხისკენ უნდა იყოს მიმართული. მით უფრო, რომ გასული ორი დღის განმავლობაში ამ მხრივ დაძაბულობა შეინიშნებოდა. კონკრეტულად კი, კვირას და ორშაბათს თავდასხმა მოხდა ტერმინალის კონტეინერებზე, რომლებიც ნატო-სა და ამერიკის შეიარაღებული ძალების მომარაგებისთვის გამოიყენება.

ლევონ ტერ-პეტროსიანი ერევნის მერობას აპირებს

ივა შილაკაძე

AFP ' 2009

ლევონ ტერ-პეტროსიანი

აქამდე ერევნის მერის თანამდებობა არჩევითი არ ყოფილა და მერს სომხეთის პრეზიდენტი ნიშნავდა. მაგრამ წელს, თებერვალში მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება და 31 მაისს დედაქალაქის უხუცესთა საბჭოს არჩევნები დანიშნა, რომლის შედეგადაც ქალაქის თავის ვინაობაც გაირკვევა. საბჭოში მოხვედრისთვის პოლიტიკური პარტიები საკუთარი სიებით მიიღებენ მონაწილეობას. თუ რომელიმე მათგანი ხმების ნახევარზე მეტს მიიღებს (50 პროცენტი პლუს 1 მანდატი) ამ პარტიის სიის პირველი ნომერი ავტომატურად დაიკავებს მერის პოსტს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მერს უხუცესთა საბჭო აირჩევს.

მმართველი "რესპუბლიკური პარტიის" სიას სათავეში უდგას გაგიკ ბეგლარიანი, რომელიც ერევნის მერად სულ ახლახანს, 4 მარტს დაინიშნა. მეორე ნომერია ავან ტარონ მარქარიანი, 2007 წელს გარდაცვლილი ექსპრემიერის ანდრანიკ მარქარიანის შვილი (შესაბამისად ის ვიცე-მერის თანამდებობაზე აცხადებს პრეტენზიას). პარტია "განვითარებული სომხეთის" სიის პირველი ნომერია ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი არუთიუნ კუშკიანი. ეს პარტიაც მმართველი კოალიციის წევრია - ამჯერად მმართველ კოალიციაში შემავალმა პარტიებმა ერევნის უხუცესთა საბჭოში მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში", თავისი სიის პირველ ნომრად სომხეთის ოპოზიციის ლიდერი, ქვეყნის პირველი პრეზიდენტი ლევონ ტერ-პეტროსიანი დაასახელა. მიმდინარეობს მოლაპარაკება ერთიანი სიის შესახებ სხვა ოპოზიციურ პარტიებთანაც (ჯერ-ჯერობით დასახელდა მხოლოდ პარტია "მემკვიდრეობა").

"ორინაც იერკირს" და "დაშნაკცუთიუნს" ჯერ თავიანთი კანდიდატები არ დაუსახელებიათ.

"მძიმე არტილერია" ჩართო საქმეში ოპოზიციამ. წამყვანმა ოპოზიციურმა პარტიამ - სომხეთის ეროვნულმა კონგრესმა, "მიიღო რა მხედველობაში ერევნის მერის საკვანძო მნიშვნელობა ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში", თავისი

აქამდე ამ ტიპის გადაწყვეტილებებს პოსტსაბჭოთა სივრცეში თითქმის არ იღებდნენ. ყოფილ პრეზიდენტებს, როგორც წესი, მხოლოდ ქვეყნის პირველი პირის სავარძელი აინტერესებთ. მაგრამ, როგორც ჩანს, სომხეთში არსებული პოლიტიკური სიტუაციისა და კეძოდ არჩევნების ტრადიციული გაყალბების გამო ოპოზიციამ გადაწყვიტა, მმართველ ძალას ძალაუფლება ნაწილ-ნაწილ მაინც დაათმობინოს. საერთოდ ერთი წლის წინათ ლევონ ტერ-პეტროსიანის და მისი ძველი თანაგუნდელების პოლიტიკაში დაბრუნებაც (როცა მან საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღო მონაწილეობა) იმით იყო განპირობებული, რომ მის შემდეგ მოსულმა ახალგაზრდა და შედარებით გამოუცდელმა ოპოზიციამ სერიოზული წინააღმდეგობა ვერ გაუწია ქოჩარიანი-სარგსიანის კლანს.

რევიუ

AFP ' 2009

მსოფლიო მეტად საინტერესო აუქციონისთვის ემზადება. სააუქციონო სახლ "სოთბის" გასაყიდად ცნობილი დიზაინერის, რამდენიმე წლის წინ მოკლული ჭანი ვერსაჩეს სასახლე ფონტანელეში დაცული უნიკალური ნივთები გამოაქვს. ვილა ფონტანელე კომოს ტბის მიდამოებშია გაშენებული და ამ ტერიტორიის ერთ-ერთ ყველაზე ფეშენებელურ შენობად მიიჩნევა, ხოლო მის უზარმაზარ დარბაზებში უნიკალური ავეჯი და ხელოვნების ნიმუშები ინახება.

შავი მარკერით გადახაზული უაინჰაუსი

ბრიტანელი მომღერლის გამო Coachella-ს საფესტივალო განრიგში ცვლილებებია

მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მუსიკისა და ხელოვნების ფესტივალი Coachella სულ რაღაც ერთ თვეში გაიხსნება. უკვე მზადაა კალიფორნიის ქალაქ ინდიოს უზარმაზარი ტერიტორია, რომელიც 17, 18 და 19 აპრილს მსოფლიოს ყველაზე ცნობილ მუსიკოსებს უმასპინძლებს, დაბეჭდილია აფიშაც, სადაც სამი დღის განმავლობაში გაწერილი საფესტივალო განრიგსა და მონაწილეების შესახებ იუწყება, თუმცა ამჯერად იმ განსხვავებით, რომ ერთ-ერთი მუსიკოსის სახელი და გვარი სქელი შავი მარკერითაა გადახაზული - ემი უაინჰაუზი წელს კალიფორნიას ვერ ესტუმრება.

მეტიც, ფესტივალის ორგანიზატორებმა ბრიტანელი მუსიკოსის შემცვლელი მომღერალი უკვე მოძებნეს - ეს იქნება დევენდრა ბანჰარტი, რომელიც ეტიენ დე კრისტისთან, ჯგუფ The Orb-თან, Chemical Brothers-თან და Murder City Devils-თან ერთად იმ ასამდე ჯგუფსა და მომღერალს შეუერთდა, ვინც სამი დღის განმავლობაში ფესტივალის სტუმრების განწყობაზე იზრუნებს.

ემი უაინჰაუსი ამერიკის შეერთებული შტატების საზღვრებს მიღმა დატოვების მიზეზად მომღერლის კანონების მიმართ პრობლემური დამოკიდებულება სახელდება. უაინჰაუსი ამჟამად კანონდამცველების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, ხოლო 17 მარტს სასამართლოს წინაშეც კი უნდა წარსდგეს. საქმე ისაა, რომ მომღერალი 2008 წლის სექტემბერში გამართული საქველმოქმედო კონცერტ End of Summer Ball-ის მსვლელობისას მოცეკვავე შერონ ფლეშს თავს დაესხა და ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენა.

ეს პირველი შემთხვევა არაა, როდესაც ემი უაინჰაუზი ამერიკის ვიზის გარეშე რჩება. მას 2008 წლის "გრემის" დაჯილდოების ცერემონიალზე ლოს ანჯელესში ჩასვლა აუკრძალეს, ამის გამო მომღერალი დარბაზში შეკრებილ საზოგადოებასთან კონტაქტს მხოლოდ ვიდეო კონტაქტის საშუალებით ახერხებდა. მაშინ ითქვა კიდეც, რომ ეს შემთხვევა სკანდალისტი უაინჰაუზისთვის ჭკუს სასწავლებელი იქნებოდა და ამის შემდეგ მაინც შეწყვეტდა დაუფიქრებელი ნაბიჯების გადადგმას, თუმცა ასე არ მოხდა და მომღერლის სახელი სქელი შავი მარკერით გადახაზეს.

თუმცა ამით Coachella-ს ფესტივალს ბევრი არ დაკლებია. ფესტივალის აფიშაზე დარჩა პოლ მაკარტნის, მაიკ პეტონის, მორისის, ლეონარდ კოენის, პოლ უელერის, My Bloody Valentine-ს, The Killers-ისა და სხვათა სახელები. "სამწუხაროა, რომ ემი უაინჰაუზის სახელი ფესტივალის აფიშაზე აღარ ჩანს, თუმცა ეს მხოლოდ და მხოლოდ მისი პრობლემაა. ამით Coachella-ს ფესტივალი კი არა, თავად მომღერალი დაზარალდა. ჩვენ კი აპრილის შუა რიცხვებისთვის გამალებით ვემზადებით, რათა ფესტივალის სტუმრებს კარგი მუსიკის მოსასმენად ყველანაირი კომფორტი დავახვედროთ", - განაცხადა ფესტივალის ორგანიზატორმა.

ფესტივალის ისტორია 1993 წლიდან იწყება, როდესაც კალიფორნიის ქალაქ ინდიოს კოაჩელას რაიონში კონცერტი გამართა იმ პერიოდში ძალიან ცნობილმა ჯგუფმა Pearl Jam. ამის შემდეგ გადაწყდა, რომ ამ ადგილას ყოველწლიური ფესტივალი გამართულიყო, თუმცა პირველი ფესტივალის ორგანიზება მხოლოდ ექვსი წლის შემდეგ მოხერხდა. ამ დროის განმავლობაში კოაჩელას სცენაზე უამრავმა ცნობილმა ჯგუფმა და მუსიკოსმა იმღერა: "ჯეინს ედიქშენ", "ქემიკალ ბრაზერს", "ოაზისი", ბექი, მადონა, "მასივ ატაკი" და სხვა.

ᲙᲘᲜᲝ

17 მარტი

კინო

"რუსთაველი"
"მადაგასკარი 2"
დასაწყისი: 13.00; 15.00; 17.00; 19.00; 20.00
"ცვლილება"
დასაწყისი: 13.00; 16.00
"ოპერაცია ვალკირია"
დასაწყისი: 19.15; 21.15
"როკენროლა"
დასაწყისი: 12.30; 14.45; 17.00;
"რაც ყველაზე ძალიან გიყვარს"
დასაწყისი: 12.15; 15.00; 17.15; 19.30; 22.00
"ვარდისფერი პანტერა 2"
დასაწყისი: 13.15; 15.00; 16.45; 18.30; 20.15; 22.15

"ამირანი"
"მილიონერი გარეუბნიდან"
დასაწყისი: 13.00; 17.45; 22.15
"მადაგასკარი 2"
დასაწყისი : 13.00 ; 15.00 ; 17.00
"ვიკი, კრისტინა, ბარსელონა"
დასაწყისი : 19.00 ; 21.00

გამოფენა

"ვერნისაჟი"
ე.ვირსალაძის სახელობის ხელოვნების
სასწავლებლის
მოსწავლეთა გამოფენა

"ჰობი"
ჯემალ კუხალაშვილის პერსონალური გამოფენა

"ქარვასლა"
XX საუკუნის არქიტექტურული მემკვიდრეობა
საფრანგეთში

"შარდენი"
ტიხრული მინანქრის გამოფენა

გოეთეს ინსტიტუტი
ბეჭდვითი კომუნიკაციების დიზაინი
შექმნილი გერმანიაში



ᲡᲐᲥᲛᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲐᲓ ᲨᲔᲥᲡᲞᲘᲠᲘ

უილიამ შექსპირის ახალად აღმოჩენილი პორტრეტის საიდუმლო

შექსპირის თაყვანისმცემლები და მკვლევარები ორ კატეგორიად იყოფიან: ერთნი დარწმუნებულნი არიან იმაში, რომ "ჰამლეტისა" და "მაკბეტის" ავტორი რეალურად არსებობდა, სხვებს კი, საპირისპირო სწამთ: მათ მიაჩნიათ, რომ გენიალური სტრადფორდელის სახელის მიღმა ელისაბედის ეპოქის მეტად განათლებულ არისტოკრატთაგან ერთ-ერთი იმალებოდა. ახლახანს კი, ორმა ბრიტანელმა, რომელთაგან ერთ-ერთი პროფესიონალი რესტავრატორია, ხოლო მეორე - ცნობილი ლიტერატურათმცოდნე, გამოაქვეყნა, სავარაუდოდ, შექსპირის სიცოცხლეშივე შესრულებული პორტრეტის მონაცემები, რომელზეც ის გამოსახულია, როგორც საოცრად მოვლილი, სასიამოვნო გარეგნობის, სიცოცხლით სავსე, მდიდრულ სამოსში გამოწყობილი ნამდვილი ჯენტლმენი.

შექსპირის ადრეულ, ანუ XVII საუკუნის, პორტრეტებზე შექსპიროლოგები უკვე რამდენიმე წელია რაც თავს იმტვრევენ. აქამდე ვერავინ შეძლო დაემტკიცებინა, რომ ერთი პორტრეტი მაინც მის სიცოცხლეშია შესრულებული. 2009 წლის 9 მარტს ალეკ კობმა (რესტავრატორი) და სტენლი უელსმა (ლიტერატორი) წამოიწყეს მორიგი და არც თუ ისე არადამაჯერებელი მცდელობა.

მოკლედ, ეს პორტრეტი ალეკ კობმა მემკვიდრეობით ნათესავებისგან მიიღო, რომლებიც მას XVIII საუკუნის დასაწყისიდან ფლობდნენ. თუმცა, სამასი წლის განმავლობაში არავის უფიქრია, რომ მასზე შექსპირი იყო გამოსახული. ვარაუდობდნენ, რომ უცნობი მხატვრის მიერ შესრულებულ პორტრეტზე აღბეჭდილი იყო ვინმე ელისაბედის წრიდან, შესაძლოა სერ უოლტერ რელი, სამეფო კარის პოეტი, ზღვაოსანი და ავანტიურისტი, რომელიც 1580-იან წლებში დედოფლის ფავორიტად ითვლებოდა.

2006 წელს ალეკ კობი იმყოფებოდა გამოფენაზე, სახელწოდებით "შექსპირის ძიებაში", რომელიც მთლიანად შექსპირულ პორტრეტებთან დაკავშირებულ პრობლემებს ეძღვნებოდა. ცნობილ გამოსახულებებთან ერთად, იქ გამოფენილი იყო ე.წ. იანსენის პორტრეტი, რომელსაც ასე XVII საუკუნის ფლამანდიელი ფერმწერის კორნელიუს იანსენის გამო შეარქვეს. კობმა აღმოაჩინა, რომ მასთან შენახული ნახატი და იანსენის პორტრეტი, რომელიც იქ ვაშინგტონის შექსპირის ბიბლიოთეკიდან იყო ჩატანილი, ერთმანეთს ძალიან ჰგავდა და შესაძლოა მათ შორის ერთ-ერთი მეორეს ასლს წარმოადგენდა. კობმა თავისი ნახატი პორტრეტების ნაციონალურ გალერეაში მიიტანა. მუზეუმის თანამშრომლებმა ამ ორ პორტრეტს შორის მსგავსება დაადასტურეს, მაგრამ საქმე სერიოზულ ანალიტიკურ სამუშაომდე არ მივიდა.

სანამ კობის საოჯახო კოლექციაში დაცულ ნამუშევარს მივუბრუნდებოდეთ, მანამდე ორიოდე სიტყვის იანსენის პორტრეტზე გეტყვით. მისი პირველი არადოკუმენტირებული მფლობელი იყო ლასტერშირის საგრაფოს მაცხოვრებელი ჩარლზ ჯენესი. მან ეს პორტრეტი 1770 წელს შეიძინა და იმავე წელს დაბეჭდა მისი რეპროდუქცია "მეფე ლირის" საკუთარ გამოცემაში. ფოლდჯერსის ბიბლიოთეკის წარმომადგენლებმა ის 1932 წელს იყიდეს, ვარაუდობდნენ რა რომ მასზე შექსპირი იყო გამოსახული. მოგვიანებით წარმოიშვა ვერსია, რომ მხატვარმა ტილოზე გამოსახა ედვარდ დე ვირი, ოქსფორდის გრაფი, შექსპირის პიესების საავარაუდო ავტორთაგან ერთ-ერთი (სხვათაშორის ამ ჰიპოთეზის მომხრეებს დიდად არ აღელვებთ ის ფაქტი, რომ დე ვირი გარდაიცვალა 1604 წელს - შექსპირის გარდაცვალებამდე 12 წლით ადრე). 1960-იანი წლების დასასრულს ბიბლიოთეკის ექსპერტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ პორტრეტზე გამოსახულია სამეფო კარის პოეტი სერ ტომას ოვერბერი, რომელიც 1613 წელს გრაფინია სიმერსეტმა მოწამლა. 1980-იანი წლების ბოლოს კი რესტავრატორებმა საზოგადოება საბოლოოდ დააბნიეს: ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ ნამუშევარზე გამოსახული მამაკაცის თმების ხაზი რაღაც მომენტში ახლიდან იქნა შესრულებული, თითქოსდა გამოსახულების დასაბერებლად.

ალეკ კობი ამ ვარაუდებს არ დაუბნევია. მან ამ საქმეს ხელი მაინც მოჰკიდა და გადაწყვიტა მის საკუთრებაში მყოფ ნახატზე ექსპერტიზა დამოუკიდებლად ჩაეტარებინა. თავდაპირველად გამოიკვლიეს დაფა (პორტრეტი შესრულებულია ზეთში ხეზე) და ის 1610-იან წლებს მიაკუთვნეს. შემდეგ ნამუშევარი შეისწავლეს რენტგენული სხივების და ინფრაწითელი რეფლექტოგრაფიის დახმარებით. მასზე ჩატარებული ფიზიკური ანალიზის შედეგების თანახმად, კობი და სტენლი უელსი მიიჩნევენ, რომ ეს პორტრეტი ორიგინალია, რომლის ასლსაც წარმოადგენს იანსენისა და შექსპირის კიდევ სამი სხვა გამოსახულება.

სტენლი უესლსი, რომელიც ოქსფორდის უნივერსიტეტის შექსპირთან დაკავშირებულ ავტორიტეტულ გამოცემებს ხელმძღვანელობს, ირწმუნება, რომ კობის პორტრეტთა ასლების არსებობა დრამატურგის დიდი პოპულარობის მანიშნებელია.

არანაკლებ ინტერესს იწვევს კობის პორტრეტის წარმომავლობა. ჩვენი თანამედროვეს წინაპრებს როგორღაც მემკვიდრეობით ერგოთ შექსპირის პატრონის, გრაფ საუთჰემპტონის კოლექციის ნაწილი. კობსა და უელსს არ გააჩნიათ პირდაპირი მტიკიცებულება იმისა, რომ შექსპირის (ან სერ უოლტერ რელის) პორტრეტი ნამდვილად საუთჰემპტონს ეკუთვნოდა, მაგრამ მათ უნდათ ამის სჯეროდეთ. ისინი მზად არიან დაუშვან, რომ დასახატად პორტრეტი თავად საუთჰემპტონმა შეუკვეთა.

კობის პორტრეტი, გამოსახულია თუ არა მასზე შექსპირი, მაინც გამოიფინება სტრედფორდში ორგანიზებულ გამოფენაზე, რომელიც 2009 წლის აპრილში გაიხსნება და მთავარი სატყუარა გახდება ტურისტებისთვის, რომლებიც დრამატურგის სამშობლოს მისი 445-ე წლისთავის აღსანიშნავად ეს-ტუმრებიან. სამომავლოდ კობი ამ ნამუშევრის გაყიდვას არ აპირებს, ის მას თავისთან დაიტოვებს.

ᲰᲔᲤᲔᲜᲘᲜᲒᲔᲑᲘ

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის ჰეფენინგები იწყება. პროექტის პრეზენტაცია გაიმართება დღეს და ჩატარდება ყოველ სამშაბათს 18.00 სთ-ზე თეატრის ქვედა ფოიეში თეატრალური სეზონის დახურვამდე.

პროექტში მონაწილეობას მიიღებენ ხელოვნების სხვადასხვა სფეროს (თეატრი, ლიტერატურა, მუსიკა, კინო, მხატვრობა, ქორეოგრაფია) წარმომადგენლები, რომლებიც წინასწარ იქნებიან შერჩეულნი. ისინი იქნებიან საზოგადოებისთვის როგორც უკვე კარგად ნაცნობი, ასევე უცნობი, ახალბედა ხელოვანები. დღეს ბევრი შემოქმედი უჩივის შესაფერისი სივრცის არარსებობას ან სიმწირეს. თუმანიშვილის სახელობის თეატრის სივრცე კი მათ სრულიად უსასყიდლოდ დაეთმობათ თავიანთი ნამუშევრების და საკუთარი თავის წარმოჩენისთვის.

თეატრში გეგმავენ, რომ საღამოები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული და სიახლის მომტანი იქნება.

თეატრის ხელმძღვანელობამ ამ პროექტის განხორციელება თეატრში ახალგაზრდა თაობის მოსაზიდად, მათი ცოდნის და სულიერი განვითარების ასამაღლებლად განიზრახა.

მაყურებლისთვის ბილეთის ფასი 2 ლარი იქნება. მაყურებელს მოემსახურება თეატრის ახლადგახსნილი ბარი. პროექტის ორგანიზატორის, ხათუნა წულაძის აზრით, "პროექტი წარმატებული იქნება, რადგან ძალიან დიდია ახალგაზრდების მოთხოვნა ისეთ გასართობ ადგილებზე, სადაც ხელმისაწვდომ ფასებში შეეძლებათ შეღწევა და თან დროის სასიამოვნოდ გატარება. ამ პროექტში კი გამომსვლელებიც და მაყურებელიც სანახაობის მონაწილეები იქნებიან. მათ მეტი საშუალება ექნებათ ერთმანეთთან დაახლოების, აზრების გაზიარების და საერთო ენის მონახვის. ჩვენს ორად გახლეჩილ და დაპირისპირებულ საზოგადოებას კი დღეს ეს განსაკუთრებით სჭირდება."

მილიონერი დიდ ეკრანზე

კინოთეატრი "ამირანი" "ოსკაროსანი" ფილმების ჩვენებას იწყებს

ია ვეკუა

მართალია ამერიკის კინოაკადემიის დაჯილდოების ცერემონიალი თითქმის ერთი თვის წინ ჩატარდა, ხოლო "ოსკარზე" წარდგენილი ფილმების მსოფლიო პრემიერა ჯერ კიდევ 2008 წელს გაიმართა, ქართველ კინომოყვარულებს მხოლოდ ახლა ეძლევათ მათი დიდ ეკრანზე ნახვის საშუალება. კინოთეატრმა "ამირანმა" "ოსკაროსანი" ფილმების ჩვენება დაიწყო, პირველი ფილმი კი ცხადია წლევანდელი ჰიტი "შემთხვევითი მილიონერია".

ფილმის თბილისურმა პრემიერამ ჩვენი კინოთეატრებისთვის ჩვეული ივენთის ფონზე ჩაიარა - "ამირანის" სტუმრებს ინდური სამზარეულოს ეგზოტიკა და იმ ადგილების ფოტოების გამოფენა შესთავაზეს, სადაც დენი ბოილი თავის ფილმს იღებდა. აქვე ცნობილი გახდა კიდევ ერთი სიახლის შესახებ: ამიერიდან თუ "ამირანში" სტუმრობა უფასოდ გსურთ, საკმარისია ყოველთვიური ჟურნალი "ტაბლა" შეიძინოთ, სადაც საჩუქრად ორი ბილეთი დაგხვდებათ.

ახლა კი იმ ფილმის შესახებ, რომელზეც უკვე უამრავჯერ დაიწერა და შესაძლოა უკვე ნანახიც გაქვთ: დენი ბოილის ფილმმა შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილი სასწაული მოახდინა, როდესაც ერთბაშად რვა "ოსკარის" მფლობელი გახდა, მათ შორის სცენარის, ორიგინალური სიმღერის, საუკეთესო რეჟისორისა და ფილმის ნომინაციაში. თუმცა "ოსკარი" ერთადერთი ჯილდო არაა, რომელიც მის აქტივში ირიცხება, აქვეა შვიდი "ბაფტა" და ოთხი "ოქროს გლობუსი". შეიძლება ითქვას, რომ ეს არის იმ მაქსიმუმზე მეტი, რისი მიღწევაც რეალურად ასეთ უპრეტენზიო და ერთი შეხედვით უბრალო ფილმს შეუძლია. თუმცა, როგორც ჩანს, მსოფლიო კინოს ფასეულობები ნელ-ნელა, მაგრამ მაინც იცვლება და პირველად საწყისს უბრუნდება, როდესაც სიხალასე და ადამიანურობა კინოში ყველაზე მეტად ფასობდა.

ცხადია, ამ ისტორიის მთავარი გმირი რეჟისორი დენი ბოილია, რომელიც შეიძლება ითქვას, საკუთარ თავსაც გადაახტა, როდესაც ამ პროექტს მოჰკიდა ხელი. ბოილი მანამდე სრულიად განსხვავებულ ჟანრში მუშაობდა და სანახაობრივი კინოს ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლად მიიჩნეოდა. ვისაც მისი "28 დღის შემდეგ". "მზის ნათება" ან "ტრანსპოტინგი" უნახავს, ადვილად გააკეთებს შედარებას ბოილის ადრინდელ და ახლანდელ ხელწერას შორის. ის თითქოს გაიზარდა, "დიდი ბიჭი" გახდა და დიდ კინოშიც დაიმკვიდრა ადგილი. ძნელია იმის თქმა, რამდენად მოსწონს თავად ბოილს ახალი ამპლუა, რადგან მის ფილმოგრაფიაში ჯერჯერობით ახალი პროექტების შესახებ არაფერია ნათქვამი. თუმცა ინტერნეტში ჭორის დონეზე უკვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მან უარი განაცხადა ჯეიმს ბონდის შესახებ ახალი ფილმის გადაღებაზე და 1964 წლის კლასიკური ფილმის, "ჩემი მშვენიერი ლედის" რიმეიკის გადაღებას აპირებს. ცნობილია ისიც, რომ ოდრი ჰეპბერნის ელიზა დულიტლის როლს ამჯერად კირა ნაიტლი შეასრულებს (აქვე აღსანიშნავია, რომ "ჩემი მშვენიერი ლედი" ბოილის "მილიონერის" მსგავსად 8 "ოსკარის" მფლობელია).

კიდევ რამდენიმე დეტალი გულჩვილი მაყურებლის დასაინტერესებლად: როგორც ცნობილია, "შემთხვევით მილიონერში" 6 არასრულწლოვანი და შესაბამისად არაპროფესიონალი მსახიობი თამაშობდა. ისინი მთავარი გმირების როლებს ასრულებენ ბავშვობასა და მოზარდობაში. ყველა მათგანი კი მართლაც იმ სოციალური ფენის წარმომადგენელია, რომელზეც ფილმშია მოთხრობილი. "შემთხვევითი მილიონერის" მსოფლიო წარმატების შემდეგ კი ყველა მათგანს მუმბაიში ბინები გადასცეს, რაც მათი გაჭირვებული ოჯახებისთვის დიდი შვება იყო. გარდა ამისა, ფილმის გადამღები ჯგუფი დენი ბოილის ხელმძღვანელობით მონაწილეობას მიიღებს სატელევიზიო თამაშში "ვის უნდა 20 მილიონი" (ჩვენებური ვის უნდა 20 ათასის" ინდური ანალოგი"), ხოლო მოგებულ თანხას მთლიანად მუმბაის ღატაკების დახმარების ფონდს გადასცემენ. "როდესაც ფილმზე მუშაობას ვიწყებდით, კარგად გავეცანი მუმბაის ღარიბი უბნების მაცხოვრებლებს და მათი პრობლემების შესახებ ბევრი შევიტყვე. ამ ადამიანებს ძალიან უჭირთ და ხშირად ელემენტარული საკვების შეძენაც არ შუძლიათ. ამიტომ, ამ შოუში მონაწილეობას სიამოვნებით მივიღებ. მოხარული ვიქნები, თუ ჩემი ცოდნის წყალობით რამდენიმე ოჯახი მაინც იგრძნობს შვებას", - აღნიშნა დენი ბოილმა.

რაც შეეხება "შემთხვევითი მილიონერის" თბილისურ ჩვენებას, ეს ფილმი "ამირანის" ახალი პროექტის დასაწყისია, რომელიც მართალია დაგვიანებით, მაგრამ მაინც შემოგვთავაზებს 2009 წლის "ოსკარის" დაჯილდოვების საუკეთესო ფილმებს.

U2-ს ახალი ალბომი ამერიკასა და ბრიტანეთში პირველ ადგილზეა

ირლანდიური ჯგუფის U2-ს ახალმა ალბომმა - No Line on the Horizon ("ჰორიზონტზე ხაზი არ არის") ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბრიტანეთის მუსიკალურ ჩარტებში პირველი ადგილი დაიკავა. დუბლინურმა ჯგუფმა, თავიანთი 33 წლიანი არსებობის მანძილზე ასეთ წარმატებას ამერიკაში უკვე მეშვიდედ, ხოლო თავიანთ სამშობლოში მეცხრედ მიაღწია. როგორც მუსიკალური ჟურნალი Billboard-ი იუწყება, ამერიკულ ბაზარზე, მათი ახალი, 12-ე ალბომის გამოსვლის დღიდან პირველი კვირის განმავლობაში 484 ათასი დისკი გაიყიდა. ეს შედარებით დაბალი რეკორდული მაჩვენებელია, ვიდრე ჯგუფის წინა, 2004 წელს გამოშვებული ალბომის - How to Dismantle an Atomic Bomb-ის ("როგორ დავშალოთ ატომური ბომბი") მაჩვენებელი. ამ შემთხვევაში ალბომის ოფიციალური გამოსვლიდან ორი კვირის განმავლობაში, მასში შესული სიმღერების მოსმენა უკვე ინტერნეტში იყო შესაძლებელი.

არსებული ინფორმაციით, U2-ს ახალი ალბომი ამ კვირაში კიდევ 30 ქვეყნის ჰიტ-პარადების სათავეში მოექცევა. მასაჩუსეტის შტატის ქალაქ სომერვილში ჯგუფის 950 ფანის წინაშე გამოსვლისას, მისმა წევრებმა თავიანთი სამომავლო გეგმების შესახებ ისაუბრეს და განაცხადეს, რომ რამდენიმე ძველი ჰიტის განახლებას აპირებენ, რომელთა შორისაც იქნება 1980 წელს გამოშვებული ერთ-ერთ პირველ ალბომ Boy-ში ("ბიჭი") შესული სიმღერა. "მე დიდი სიამოვნებით ვიმღერებ ამ ალბომს თავიდან და განვაახლებ მას ჭკვიანურად. ჩვენს ადრინდელ ჩანაწერებში რამდენიმე არაჩვეულებრივი სიმღერაა, რომლებიც დღეს ცოტა დაუმუშავებელი გვეჩვენება", - ამბობს U2-ს ლიდერი პოლ ჰიუსონი. ბონოს განცხადებით, მას ნამდვილად უნდა ძველი ჰიტების თავიდან ჩაწერა "ფალსიფიცირებული ინგლისური აქცენტის" გარეშე, რომელსაც იგი დიდი ხნის წინ ბაძავდა. რამდენიმე დღით ადრე U2-ს გიტარისტმა დევიდ ივენსმა, რომელიც უფრო The Edge-თ ("ნაპირი") არის ცნობილი, ტელეარხ MTV-სთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ჯგუფის წევრებს მათი სიმღერების ადრინდელი ვარიანტი არ აკმაყოფილებთ და ძველი ალბომების ახლებური ვარიანტით გამოშვება სურთ.

აღსანიშნავია, რომ თავიანთი ახალი ალბომის მხარდამჭერ კონცერტზე, ჯგუფის წევრებმა ბილეთების ფასი მინიმუმამდე შეამცირეს. ასეთი გადაწყვეტილება მათ იმიტომ მიიღეს, რომ მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფარგლებში, თავიანთ თაყვანისმცემლებს ფულის დაზოგვაში დახმარებოდნენ. 27 თებერვალს ჯგუფმა კიდევ ერთი მინი-კონცერტი, ბრიტანული ტელერადიომაუწყებლობის კომპანიის ბი-ბი-სი-ს შენობის სახურავზე ჩაატარა. 20 წუთიანი შოუს ფარგლებში, ჯგუფის წევრებმა წინა ალბომებში შესული კომპოზიციები შეასრულეს. იმისთვის, რომ U2-ს სიმღერებისთვის და კომპოზიციებისთვის მოესმინათ, კორპორაციის შენობის სახურავზე 5 ათასმა ადამიანმა მოიყარა თავი.

ჯგუფი U2 1976 წელს დუბლინში, ოთხი ახალგაზრდა მუსიკოსის შემადგენლობით შეიქმნა. ბონო, ივენსი და ადამ კლეიტონი ადგილობრივი გაზეთის საშუალებით, ჯგუფის შექმნის შესახებ ლარი მალენის განცხადებას გამოეხმაურნენ და თანამშრომლობა შესთავაზეს. U2 ცნობილი 1987 წელს, ალბომ The Joshua Tree-ს გამოსვლის შემდეგ გახდა ცნობილი. მსოფლიოში მათი დაახლოებით 140 მილიონი ალბომია გაყიდული. ჯგუფმა 22-ჯერ გახდა პრემია "გრემის" მფლობელი, ხოლო 2004 წელს "ყველა დროის 100 საუკეთესო შემსრულებლების" რეიტინგში (ჟურნალ Rolling Stone-ის ვერსია) 22-ე ადგილი დაიკავა. გარდა ამისა, U2-ს მუსიკოსები მსოფლიოში მშვიდობის, ადამიანის უფლებებისა და გაჭირვებულ ქვეყნებში სოციალური პროგრესის მიღწევისთვის ბრძოლაში, აქტიური მონაწილეობითაც არიან ცნობილნი.

სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა გამოფენა "ვერნისაჟში"

ნინო მამარდაშვილი

საგამოფენო გალერეა "ვერნისაჟი" თბილისის მერიის სოლიკო ვირსალაძის სახელობის 1 სამხატვრო ხელოვნების სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენას მასპინძლობს. გამოფენაზე წარმოდგენილია როგორც უმცროსკლასელთა, ასევე უფროსკლასელთა სხვადასხვა ტექნიკაში შესრულებული ნამუშევრები. ფერწერა, რომელიც მოიცავს გუაშს, აკვარელს, ზეთს, ასევე დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები.

სოლიკო ვირსალაძის სამხატვრო სკოლას რამდენიმე ათეული წლის ისტორია აქვს. ბოლო წლებში სასწავლებელმა გაიარა რეორგანიზაცია. სკოლის დირექტორის - ხელოვნებათმცოდნე ქეთევან ბარნაბიშვილის ხელმძღვანელობით განივრცო სკოლის სახელოვნებო სპექტრი და სასწავლო მეთოდიკა. მოწვეულ იქნა ფართო პროფილის პედაგოგები, როგორიცაა: ხეზე ჭრის, თექის, ბატიკის, თოჯინების და სხვა.

"კვლავინდებურად თბილისის მერია გვაძლევს მოწმობას, რომ ბავშვებმა გაიარონ სასწავლო კურსი. რაც შეეხება საგნებს, ჩვენთან ისწავლება: ხატვა, ფერწერა, ქანდაკება, ხელოვნების ისტორია, გამოყენებითი ხელოვნების ძალიან დიდი სპექტრი გვაქვს წარმოდგენილი. ეს არის: ნაქარგობა, რომელიც დღეს არის ამ გამოფენაზე, ხეზე კვეთა, გობელინი, თექა, ბატიკა, თოჯინები, ბისერებით ქარგვა და ა. შ.

ჩვენთან მოწვეულნი არიან პედაგოგები, როგორიცაა ნონა კუხარაძე, ნინო ჯინჭარაშვილი, მაია ქინქლაძე, მარიკა ლელაძე, თამარ ფირცხალაური, ვლადიმერ გაბრიჩიძე, დავით გომართელი და სხვები." - აცხადებს სკოლის დირექტორი ქეთევან ბარნაბიშვილი.

2 კვირაში ერთხელ ბავშვები მუზეუმის ხელმძღვანელების თანხმობით უანგაროდ დადიან მუზეუმში. პედაგოგებს საშუალება ეძლევათ ლექცია-საუბრები იქ ჩაატარონ, რაც მათი აზრით ბავშვებს მომავალ ხელოვანებად ჩამოყალიბებაში თუ არა, პიროვნებებად აღზრდასა და თვითგანვითარებაში მაინც აუცილებლად იქონიებს გავლენას.

მათი მიზანიც ჯანსაღი თაობის აღზრდაა, აზიარონ ხელოვნებას, საშუალება მისცენ ხელოვნების დახმარებით გამოხატონ საკუთარი პოზიცია ქვეყანაში მიმდინარე დადებითსა თუ უარყოფით მოვლენებზე. ხელი შეუწყონ მოზარდებში სილამაზის, პროგრესისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

"გალერეის ხელმძღვანელობისათვის მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. ეს ჩვენი დიდი სურვილი იყო და მათაც უანგაროდ მოგვცეს საშუალება ვისარგებლოთ ამ სივრცით. ყველანაირად ვცდილობთ ნამდვილი ხელოვნები აღვზარდოთ და თუ ხელოვნები არა კარგ პიროვნებებად მაინც ჩამოვაყალიბოთ აღსაზრდელები.

ჩვენი სკოლა რეორგანიზაციის შემდეგ თვითდაფინანსებაზე გადავიდა, თუმცა თბილისი მერია ინვენტარით მომარაგების თვალსაზრისით მხარში გვიდგას. ჩვენთან დადიან შეზღუდულ შესაძლებლობათა ბავშვები, რომლებსაც მერია სრულად აფინანსებს" - აღნიშნავს ქეთევან ბარნაბიშვილი.

სამხატვრო სკოლის მოსწავლეები გამუდმებით იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო გამოფენებში. ამ დროისთვის უკანასკელი იყო იაპონური პროექტი, რომლის მიხედვითაც ბავშვებმა 22 კვადრატულზე მეტი მოხატეს. პროექტის თემა იყო მშვიდობა. ნამუშევარი გაიგზავნა საბერძნეთში. უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში გამოფენები ჰქონდათ ბელორუსში, სომხეთში, იტალიაში, შვეიცარიასა და ეგვიპტეში. მოწვევები აქვთ პოლონეთიდან, თურქეთიდან, ავსტრიიდან, შტატებიდან.

გამოფენა 11 მარტს გაიხსნა და გალერეა "ვერნისაჟი" მას 14 მარტამდე უმასპინძლებს. როგორც ხელოვნების ისტორიის პედაგოგმა გვითხრა, გამოფენაზე წარმოდგენილია 6-დან 11 წლამდე მოსწავლეთა ნამუშევრები, რომლებიც შექმნილია ბოლო ერთი წლის მანძილზე. მათთვის ეს გამოფენა პირველია, მაგრამ, რადგანაც ძალიან მოსწონთ მისი კამერული განწყობა, საგამოფენო სივრცე და დადებითი აურა, გამოფენებს მომავალშიც აქ გეგმავენ.

"არსის" საგამოფენო დარბაზში გია ბუღაძის ნამუშევრების გამოფენა მოეწყობა

"არსის" საგამოფენო დარბაზში დღეს გია ბუღაძის პერსონალური გამოფენა - "აგვისტოს შეკითხვები" გაიხსნება. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ომის თემაზე შექმნილი გრაფიკული და მულტიმედიმედიური ნამუშევრები.

გამოფენის გახსნას თან ერთვის მხატვრული აქციაც, რომელსაც მხატვარი იმ ქართულ ეკლესია-ტაძრებს უძღვნის, რომლებიც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიაზე დარჩა.

"არსის" საგამოფენო დარბაზში გია ბუღაძის ნამუშევრების გამოფენა 23 მარტამდე გასტანს. **მედიანიუსი**

არქეოლოგებმა კლეოპატრას უმცროსი დის ჩონჩხი აღმოაჩინეს

ავსტრიელი მკვლევარები, რომელთა შემადგენლობაშიც არქეოლოგები, სასამართლო ექსპერტები შედიან, ირწმუნებიან, რომ მათ პტოლემეის დინასტიის წარმომადგენლის, ეგვიპტის დედოფლის იდენტიფიკაცია მოახდინეს, რომელიც საკუთარი დის, კლეოპატრას ბრძანებით მოკლეს.

იდენტიფიცირების შედეგად მეცნიერებმა არსინოის სახის აღდგენა მოახერხეს, რომელიც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ დებს შერეული, მათ შორის აფრიკული სისხლი ქონდათ. იუწყება The Times.

ავსტრიელი მკვლევარი, ჰილკე ტური დიდი ხნის განამვლობაში ამტკიცებდა, რომ 8 კუთხა აკლდამა, რომელიც ჯერ კიდევ ძველ ეფესში იყო შენარჩუნებული, არსინოის დასაფლავების ადგილი იყო. აკლდამა 1926 წელს აღმოაჩინეს, რომელშიც ერთადერთი ჩონჩხი იყო. აკლდამიდან თავის ქალა ამოიღეს, ხოლო ჩონჩხი კი ადგილზე დატოვეს.

1990 წელს არქეოლოგებმა, რომელთაც ჰილკე ტური ხელმძღვანელობდა, აკლდამა კიდევ ერთხელ გახსნეს. სასამართლო ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ჩონჩხი ეკუთვნოდა ახალგაზრდა, 15-18 წლის გოგონას, რომელიც მოულოდნელი სიკვდილით იყო გარდაცვლილი. იქიდან გამომდინარე, რომ პირველი ექსპედიციის შედეგად თავის ქალის მონაცემები შენახული იყო, მკვლევარებმა მისი რეკონსტრუქცია მოახდინეს და არსინოის მიახლოებითი პორტრეტი შექმნეს.

გარეგნული იერ-სახის აღდგენის შემდეგ დადგინდა, რომ მისი წინაპრები თეთრკანი ევროპელები, ზანგები და ეგვიპტელები იყვნენ.

23 მარტს "BBC" აჩვენებს დოკუმენტურ ფილმს ჰილკე ტურის ექსპედიციასა და არსინოის იდენტიფიკაციაზე. ფილმის სახელწოდებაა კლეოპატრა " მკვლელის პორტრეტი" . მარტის ბოლოს კი ამერიკაში ანთროპოლოგიური კონფერენცია ჩატარდება, რომელიც ავსტრიელი არქეოლოგების პროექტს მიეძღვნება. **ჯი-ეიჩ-ენი**

საქართველოში დიდმარხვის მეორე კვირიაკე აღნიშნა

გუშინ, მართლმადიდებელმა ეკლესიამ დიდმარხვის მეორე კვირიაკე აღნიშნა. ამ დღეს მოიხსენიებენ წმ. გრიგოლ პალამასს, თესალონიკელ ეპისკოპოსსა და სხვა წმინდანებს.

სრულიად საქართველოს კათოლოკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საღმრთო ლიტურგია ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში აღავლინა.

ტაძრებში წირვაზე წმინდა სახარებიდან ის ადგილი წაიკითხეს, სადაც საუბარია კაპერნაუმში, უფლის მიერ ერთ-ერთ სახლში განრღვეულისთვის ცოდვათა მიტევებისა და განკურნების შესახებ. თესალონიკელი ეპისკოპოსი წმინდა გრიგოლ პალამა მე-14 საუკუნეში მოღვაწეობდა. იგი ცნობილია, როგორც მწვალებლობის წინააღმდეგ მებრძოლი და მართლამადიდებლური სწავლების სწორად მქადაგებელი. **"ჯი-ეიჩ-ენი"**

სეპარატისტებმა სახელმძღვანელოები გაავრცელეს

გალის რაიონის სკოლებში ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლება აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების მიერ შეცვლილი სახელმძღვანელოებით მიმდინარეობს. ამის შესახებ "ჯი-ეიჩ-ენს" აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის განათლების მინისტრმა ალექსანდრე აპლაკოვმა განუცხადა.

მისი განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგები "არ სცნობენ" სეპარატისტების მიერ სკოლებში შეტანილ ისტორიისა და გეოგრაფიის ახალ, გაყალბებულ სახელმძღვანელოებს, ისინი სწავლებისას მაინც ამ წიგნებით ხელმძღვანელობენ.

"ამის მიზეზი ის არის, რომ პედაგოგები ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ იმყოფენიან. მათზე ე.წ. აფხაზური მილიციის მხრიდან დაშინება და ზეწოლა მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, გალელი პედაგოგების ამ ქმედებას არ ვამართლებთ, თუმცა ვერც ვგმობთ", - განუცხადა აპლაკოვმა "ჯი-ეიჩ-ენს".

შეგახსენებთ, რომ ისტორიისა და გეოგრაფიის ახალი სახელმძღვანელოები, რომლებიც მკვეთრად განსხვავდება საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სახელმძღვანელოებისგან, სეპარატისტული აფხაზეთის ხელისუფლებამ გალის რაიონის სკოლებში 2007 წელს შეიტანა.

აღსანიშნავია, რომ აფხაზების მიერ გამოცემულ გეოგრაფიის სახელმძღვანელოებსა და რუკებზე გალის რაიონის 24 სოფლიდან, მხოლოდ ათია დარჩენილი. დანარჩენი ზოგი ოჩამჩირის, ზოგი კი ტყვარჩელის რაიონს მიაკუთვნეს.

შეცვლილია სკოლების გეოგრაფიული და ისტორიული სახელებიც. ზუგდიდის რაიონის სოფელი ხურჩა აფხაზების რუკით, გალის საზღვრებშია მოქცეული და მას ახალი სახელი - ხუშტა ჰქვია. **"ჯი-ეიჩ-ენი"**

ფესტივალ "ნიამორის" ექსტრემი და ეგზოტიკა

ᲑᲔᲚᲐ ᲩᲔᲙᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ვისაც თავგადასავალი და ექსტრემსიტუაციები ხიბლავს, ვისაც უყვარს მოგზაურობა და ეგზოტიკა, ფესტივალი "ნიამორი" წელსაც საინტერესო პროგრამას სთავაზობს.

"ნიამორი", როგორც სამთო, სათავგადასავლო და ექსტრემ-ფილმების საერთაშორისო კონკურსი, მეექვსედ ტარდება და ტრადიციულად, ფოტოგამოფენით გაიხსნა. "ქარვასლაში" წარმოდგენილია 23 ავტორის 40 ნამუშევარი, რომელთაგან გამარჯვებულს სპეციალური ჟიური 1 აპრილს გამოავლენს. ალპინისტური ასვლები, ყაზბეგის რაიონი, ალპები, პამირი, ექსტრემალი ოფროუდერები - ასეთია წლევანდელი გამოფენის თემატიკა.

ფოტოკონკურსის ნომინაციები რასაკვირველია, უცვლელია, ალპინისტური ფოტო, ექსტრემპროექტი და სათავგადასავლო. სიახლეა ის, რომ წელს ქართველებთან ერთად მონაწილეობას უკრაინელი და ავსტრიელი ფოტომოყვარულებიც იღებენ. საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილია 100 არასაკონკურსო ნამუშევარიც, რომელიც ორი ევერესტული ექსპედიციის მონაპოვარია. გამოფენა ქართველების ევერესტზე ასვლის 10 წლისთავს ეძღვნება და ბიძინა გუჯაბიძისა და ირაკლი უგულავას ფოტონამუშევრებს მოიცავს.

"ნიამორის" ფოტოპროექტი ყოველწლიურად ცდილობს, სიურპრიზები შესთავაზოს დამთვარიელებელს. წელს ამგვარ სიურპრიზად იტალიელი მოგზაურის ვიტორიო რონკეტის ფოტოგამოფენა იქნება, რომელიც 18 მარტს კაფე-გალერეა "დისქავერში" გაიხსნება. ამ იტალიელმა მეცნიერმა მეოცე საუკუნის დასაწყისში საქართველოში ხუთჯერ იმოგზაურა და განცდილი და დანახული ფოტოფირზე აღბეჭდა.

როგორც ფესტივალის დირექტორმა თამუნა ჯიშკარინმა გვითხრა, "ნიამორის" ფოტოკონკურსი სწორებას მუდამ "ქოლგაზე" აკეთებს, რომელიც წლების მანძილზე პროფესიონალთა კონკურსად ჩამოყალიბდა. სწორედ "ქოლგა" დაეხმარა წელს "ნიამორს" მოლბერტებით. ზოგადად კი, წელს ამ ფესტივალის ჩატარება, ისევე როგორც ბევრი სხვა კონკურსისა საქართველოში, ეჭვის ქვეშ იდგა და მას ვერც უცხოელი პარტნიორების გამამხნევებლი წერილები გადაარჩენდა და ვერც ქართველი მეგობრების შეძახილი, სპონსორები რომ არა. "ნიამორს" წელს პირველად ჰყავს ისეთი გენერალური სპონსორი როგორიცაა ეკონომიკის განვითარების სამინისტრო, ხოლო პარტნიორობას უწევს ბუნებისა და გარემოს დაცვის სამინისტრო და ქალაქის მერია. როგორც ჩანს, სახელმწიფო სტურქტურებმა ფესტივალის მიზანი სწორად გაიგეს, რომელიც ქვეყანაში ტურიზმის განვითარებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას გულისხმობს.

ფესტივალის მთავარი ეტაპი - კინოკონკურსი 21 მარტს გაიწყება და ექვსდღიანი პროგრამით იმუშავებს. წარმოდგენილია 21 ნამუშევარი 9 ქვეყნიდან, რომელთა შორის 11 ქართულია, მათ შორის ალეკო გაბუნიას "მთის რაინდი" მიხელ ხერგიანზე და ირაკლი გუჯაბიძის ნეპალში გადაღებული "სამკაული დედისათვის", ასევე ფესტივალის შარშანდელი გამარჯვებულის ნიკა ლებანიძის ალპინისტური ჩანახატები. მაყურებელი იხილავს ფილმს ქართულ ოფროუდზე, რომელმაც უკვე სერიოზულად მოიკიდა ფეხი ჩვენში. ასევე, როგორც ექსტრემნამუშევარი, წარმოდგენილია მოძრაობის თეატრის "ფაიერ შოუ" და დებიუტანტთა სხვა საინტერესო ფილმები.

რაც შეეხება უცხოური ფილმების პროგრამას, ფესტივალის მოწვევას პირველად რუსი დოკუმენტალისტები გამოეხმაურნენ.

თამუნა ჯიშკარიანი: "ეს არის საკმაოდ ხალისიანი ფილმი ალპინიზმზე. ამით კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ რუსეთში არიან ადამიანები, რომელთაც საქართველოსთან ურთიერთობის გაწყვეტა არ სურთ. იმის გამო, რომ ფილმის გამოგზავნის არანაირი საშუალება არ იყო, მათ მხოლოდ ჩვენთვის ატვირთეს ეს ფილმი ინტერნეტ საიტზე და კოდი მოგვწერეს. ამ ფაქტს ალბათ სახალხო დიპლომატია ჰქვია.

ჩვენს მაყურებელს ასევე შეხვედრა ელის ძალიან საინტერესო პოლონურ ფილმთან "პუსტელნიკები მთებში", რომელიც ცნობილ მოსიმაღლე ალპინისტ მამა-შვილს ეხება. საინტერესოა ასევე ავსტრიული ნამუშევარი პატარა კლდეზე მცოცავზე. ვიხილავთ "ნიამორის" 2007 წლის გამარჯვებულის ჯოზეფ სპეიდის ფილმსაც, ამჯერად უკვე სერფინგის თემაზე.

საუკეთესო დებიუტანტს კი კვლავაც გადაეცემა ტრაგიკულად დაღუპული ლევან ლაგაზიძის პრიზი, რომელიც მისმა ოჯახმა დააწესა".

ფეტივალის პროგრამაში უკვე მესამედ ტარდება ლიტერატურული კონკურსი, რომელსაც ამჯერად ერთგვარი პენ-მარათონის სახე ექნება. გასულ წლებში საკონკურსოდ წარდგენილ ლიტერატურულ ნაწარმოებსაც იგივე მოთხოვნა ჰქონდა, რაც ფილმებსა და ფოტონამუშევრებს. წელს კი განსაზღვრული იყო კონკურსის დევიზი: "მეც ავალ ევერესტზე" და პენ-მარათონში მონაწილეობის მსურველებს უნდა წარედგინათ ამგვარი სულისკვეთებით შექმნილი მხატვრული ნაწარმოები. 20 ავტორიდან 4 ფინალისტი უკვე გამოვლენილია და კონკურსის შემდეგ ეტაპს ისინი 21-22 მარტს ვაშლოვანის ნაკრალში გააგრძელებენ.

ზოგადად, დაცულ ტერიტორიებზე ამგვარი ივენთების მოწყობა უცხოეთში დიდად მიღებული და აპრობირებულია, ვინაიდან იგი დაცული ტერიტორიების პროპაგანდას ეწევა ხალხის თვალში და უცხოელი ტურისტებისთვისაც საინტერესო იმიჯს ქმნის. იქნებ საქართველოშიც გაამრთლოს, ვინ იცის...

ხოლო ვიდრე ლიტერატურული თავგადასავლების მოყვარულები ვაშლოვანის ნაკრძალში ექსტრემოცნებებში იქნებიან, მათი პრაქტიკოსი თანამოქალაქენი, თანაც ჟურნალისტები, ერთმანეთს თბილისში, მაღაზია "ექსტრემის" ხელოვნურ კედელზე ცოცვაში შეეჯიბრებიან. ფესტივალის ფარგლებში ეს მეორე ჟურნალისტური ტურნირი იქნება. პირველი მოთხილემაურეთა შეჯიბრი იყო გიგანტურ სლალომში, სადაც 60-მდე ქართველი ჟურნალისტი ცდილობდა თავის გამოჩენას. შეჯიბრი გარემოს დაცვის მინისტრმა გოგა ხაჩიძემ გახსნა, მაგრამ ფრიად ცუდ ფეხზე, მერე ამინდი ისე აირია, მარტივი ტრასა ექსტრემალური გახდა, მონაწილეები ვერც ფინიშს ხედავდნენ და ვერც სტარტს. მოკლედ, ნისლის გადაყრაზე და მოსწრებაზე იყო ყველაფერი. გამარჯვებულები რასაკვირველია გამოვლინდნენ რუსთავიორელი ქეთი ებანოიძე და იმედელი მამუკა გოგლიძე, გუნდურ შეჯიბრში კი, უკვე მეორედ დასახელდა ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის გუნდი. ტრადიციულად, ყურადღების მიღმა არც "ჩაინიკებიც" დარჩენილან.

ფესტივალის დირექტორი თამუნა ჯიშკარიანი ყოველ წელს ხაზს უსვამს, რომ "ნიამორი" ჟურნალისტების მხარდაჭერით ცოცხლობს და სწორედ მათზე აკეთებს ხოლმე გათვლას, როცა ახალი სტარტისათვის ემზადება. ძირითადად მათგან ელის ფილმებსაც და ფოტოებსაც, ყველაზე დიდი ექსტრემალები ხომ ჟურნალისტები არიან, ნებსით თუ უნებლიეთ სად აღარ ხვდებიან...

ევროსაბჭო დაზიანებული ძეგლების მონიტორინგს ახორციელებს

ევროსაბჭოს მიერ შემუშავებული პროგრამის ფარგლებში შარშან აგვისტოში რუსული აგრესიის დროს დაზიანებული ისტორიული ძეგლების მონიტორინგი ხორციელდება.

აღნიშნული პროგრამის მიხედვით მიმდინარე სამუშაოების დასათვალიერებლად, ევროსაბჭოს წარმომადგენელი, აშშ ელჩი, სპეციალისტები, კულტურისა და სპორტის მინისტრი ნიკოლოზ რურუა და სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი ტყვიავსა და ნიქოზში იმყოფებოდნენ.

"ჩვენ სპეციალურად ჩამოვედით რუსული ინტერვენციის შედეგად დაზიანებულ სოფლებში, რათა ჩვენი თვალით გვენახა, როგორ მიმდინარეობს ევროსაბჭოს პროგრამა, რომელიც ეხება ამ სამი სოფლის რეაბილიტაციას. ეს არის ტყვიავი, ნიქოზი და მერეთი. პროგრამა შედგება სამი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი თითქმის დასრულებულია, ზარალი აღნუსხულია. მალე დამთავრდება და მესამე ეტაპზე უკვე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება", - განაცხადა ნიქოზში მყოფმა ნიკოლოზ რურუამ.

მედიანიუსი

სპორტი

მსვლელობა ელიტური დივიზიონისკენ

საფრანგეთის Pro D2-ის 23-ე ტური საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების მესამეხაზელ გიორგი ჩხაიძის "მეტრო რასინგისთვის" ისეთივე წარმატებული გამოდგა, როგორც განვლილი ექვსი ტური. ჩხაიძემ და კომპანიამ ზედიზედ მეშვიდე გამარჯვება მოიპოვა და რეგულარული გათამაშების დასრულებამდე 7 ტურით ადრე მოწინავე საფეხურზე ადგილი გაიმყარა.

მაჩხანელის "აჟენი" პლეი-ოფის შანსს ინარჩუნებს

უპირატესობის შენარჩუნების შემთხვევაში "მეტრო რასინგი" მომავალი გათამაშებისთვის ელიტურ დივიზიონ Top 14-ის საგზურს ავტომატურად მიიღებს.

23-ე ტურში ჩხაიძის გუნდი ავთო კოპალიანის "კოლომიერსს" ესტუმრა და მეტოქე 27:19 დაამარცხა. მაშინ, როდესაც "მეტრო რასინგი" "კოლომიერსთან" არკვევდა ურთიერთობას, ჩხაიძე და საქართველოს ნაკრები რუმინელებს ამარცხებდნენ. კოპალიანი კი საკუთარი გუნდის განაცხადში ვერ მოხვდა.

"მეტრო რასინგს" ახლა 84 ქულა აქვს და უახლოეს მდევარს 14 ქულით უსწრებს, "კოლომიერსი" კი 41 ქულით მე-14 ადგილზეა.

Top 14-ში აღზევების შანსს ინარჩუნებენ ირაკლი მაჩხანელისა და ანტონ ფეიქრიშვილის "აჟენი" და დავით აშვეთიას "ოინაქსი". მაჩხანელი და ფეიქრიშვილიც რუმინელებთან ირჯებოდნენ. მათმა თანაკლუბელებმა კი სტუმრად "გრენობლს" 20:16 სძლიეს.

"აჟენი" 67 ქულით მესამე ადგილზეა და პლეი-ოფში თამაშის შანსს ინარჩუნებს. ეს მათი ზედიზედ მოგებული მესამე მატჩია.

"ალბისთან" გასვლით შეხვედრაში 13:30 დამარცხდა დავით აშვეთიას "ოინაქსი". წაგების მიუხედავად, 64 ქულით, ჯერჯერობით, მეოთხე ადგილს იკავებს. ქართველი პირველხაზელი ძირითად შემადგენლობაში იყო და პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს.

23-ე ტურს ქართველთა დერბის გარშე არ ჩაუვლია. "ნარბონისა" და "ორიაკის" მატჩში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ნარბონელი გიორგი კუთარაშვილი და ორიაკელი გიორგი ჟღენტი. ჟღენტთან ერთად განაცხადში სავარაუდოდ იქნებიან ლევან დათუნაშვილი და მალხაზ ურჯუკაშვილი, მაგრამ ორივე მათგანმა რუმინელების წინააღმდეგ ითამაშა. ქართული დერბი კი ფრედ - 23:23 დასრულდა. ცნობისთვის: ნარბონელთათვის ეს უკვე მესამე ფრე იყო. კუთარაშვილის გუნდის მონაგარი 44 ქულამდე გაიზარდა და კვლავ მე-13 საფეხურზეა. ორიაკელები კი, 52 ქულით, სატურნირო ცრილის მეცხრე ადგილზე არიან.

ქართველი ლეგიონერებიდან ზედიზედ მეხუთე მატჩი წააგო ლაშა მალაღურაძის "ბეზიემ". ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ Pro D2-ს ნაბიჯ-ნაბიჯ ემშვიდობება. "ბეზიე", ამჯერად საკუთარ მოედანზე, გურამ კავთიძის "ლიონთან" 17:56 დამარცხდა. მალაღურაძე, ისევე როგორც საფრანგეთში მოთამაშე ქართველ ლეგიონერთა უმეტესობა, შაბათს ეროვნულ ნაკრებს ქულების მოპოვებაში ეხმარებოდა. გურამ კავთიძე კი საკუთარი გუნდის განაცხადში ვერ მოხვდა.

"ლიონი" 57 ქულით მეშვიდე ადგილზეა. "ბეზიე" კი 27 ქულით მე-15 ადგილზე რჩება.

მამუკა მაგრაქველიძის "ტარბმა" გრეგორი იაშვილის "ბორდო" სტუმრად 27:12 დაამარცხა. ქართველებს ამ შეხვედრაში არ უასპარეზიათ. "ტარბი" 56 ქულით მერვე ადგილზეა, "ბორდოს" კი 50 ქულა აქვს და მეთერთმეტე საფეხურს იკავებს.

Pro D2-ის 23-ე ტურის დანარჩენ ორ მატჩში "პომ" "ოში" საკუთარ მოედანზე 25:14, ხოლო "ლა როშელმა" "ბრესანი" სტუმრად 38:20 დაამარცხა.

21-22 მარტს გაიმართება 24-ე ტურის შეხვედრები, რომლებშიც "ბორჯღალოსნები" ისევ ვერ ითამაშებენ - 22 მარტს "ერთა თასის" სეზონის დასკვნითი მატჩი გველის რუსეთის ნაკრებთან.

მარიუპოლში 0,39 ქულა თამაშდება

"ერთა თასზე" რუმინელთა დამარცხებას "ბორჯღალოსანთათვის" ის დატვირთვაც ჰქონდა, რომ სარეიტინგო საფეხურს თუ არა ქულების მხრივ მაინც გაიუმჯობესებდა მდგომარეობას. მართლაც რუმინელების ძლევით საქართველოს დამატებით 0,43 ქულა დაემატა. რაგბის საერთაშორისო კავშირის რეიტინგში საქართველოს ნაკრები მე-13 პოზიციაზე მყოფ ტონგას 0,39 ქულითღა ჩამორჩება. აი, ტონგას ადგილის დაკავებას კი იმ შემთხვევაში შევძლებთ თუ 22 მარტს, მარიუპოლში (უკრაინა) რუსეთის ნაკრებს დავამარცხებთ.

ისე, გაცილებით მეტ სარეიტინგო ქულას მეტოქის 15 ქულაზე მეტი სხვაობით გამარჯვება იძლევა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის ნაკრებს რეიტინგში მე-17 საფეხური უკავია, მისი ნებისმიერი სხვაობით დამარცხებაც წინ წასწევს საქართველოს ნაკრებს.

რეიტინგში მნიშვნელოვანი გავლენა იქონია "ექვსი ერის" შეხვედრებმაც. სტუმრად შოტლანდიის მძლეველი ირლანდია ორი საფეხურით დაწინაურდა და მისთვის სარეკორდო მეოთხე ადგილამდე აღზევდა. ირლანდიელთა წინსვლამ არგენტინა მეექვსე საფეხურზე ჩამოაქვეითა. ამასობაში უელსმაც სძლია იტალიას, მაგრამ აპენინელები უელსელებს იმდენად ჩამორჩებიან, რომ უელსი საკუთარ - მეხუთე ადგილზე დარჩა.

საფრანგეთის ძლევით დაწინაურდა ინგლისი. უფრო სწორად ალბიონელებმა და ფრანგებმა მეშვიდე-მერვე ადგილები გადაცვალეს. სარეიტინგო ნუსხაში ერთი საფეხურით აღზევდა პორტუგალიაც, რომელმაც ესპანეთის ნაკრები 24:19 დაამარცხა.

მოწინავე სამეული კვლავაც უცვლელია. რჩეულთა ტრიოს "სამი ერის" წარმომადგენლები - ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა და ავსტრალია ინაწილებენ.

IRB-ს რეიტინგი 16 მარტისთვის

1 (1). ....ახალი ზელანდია 92,68
2 (2). ....სამხრეთ აფრიკა 89,45
3 (3). ....ავსტრალია 85,86
4 (6). ....ირლანდია 81,98
5 (5). ....უელსი.....81,88
6 (4). ....არგენტინა 81,56
7 (8). ....ინგლისი 80,80
8 (7). ....საფრანგეთი 79,02
9 (9). ....შოტლანდია 75,39
10 (10). ფიჯი 75,24
11 (11). სამოა 72,57
12 (12). იტალია 72,15
13 (13). ტონგა 70,05
14 (14). საქართველო 69,66
15 (15). კანადა 69,12
16 (16). იაპონია 68,05
17 (17). რუსეთი 66,91
18 (18). რუმინეთი.....66,15
19 (19). აშშ.....63,55
20 (20). ურუგვაი.....62,78
21 (22). პორტუგალია 60,27
22 (23). კორეა 59,02
23 (21). ესპანეთი 59,01
24 (24). ჩილე 56,84
25 (25). ნამიბია 56,82
26 (26). გერმანია 55,74

„ოფროუდერს კლუბის" შეჯიბრი თბილისში

ØFF-ROADERS CLUB Georgia www.off-road.ge 4x4

მოხარულები ვართ გაცნობოთ, რომ ა.წ. 22 მარტს, საქართველოს ოფროუდერს კლუბის მიერ, მოეწყობა ოფროუდ შეჯიბრი GPS ორიენტირებაში.

შეჯიბრში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ მსურველს ვინც დაიკმაყოფილებს შემდეგ პირობებს

1) უნდა ჰქონდეს B კატეგორიის მართვის მოწმობა
2) უნდა ყავდეს 4X4 ტიპის მსუბუქი ავტომობილი
3) უნდა ჰქონდეს GPS ნავიგატორი და ციფრული ფოტოაპარატი.
4) უნდა წამოიყვანოს შტურმანი.
5) გადაიხადოს შენატანი 30 ლარი.

სხვა პირობები მოცემულია შეჯიბრის რეგლამენტში

GPS ორიენტირების არსი - მონაწილეს მიეცემათ 50-მდე წერტილის კოორდინატები. წერტილები გაფანტულია სოფელ ორბეთის მიმდებარე ტყეებში. ყოველი წერტილის დალაშქვრისათვის მონაწილეს მიეცემა საპრიზო ქულები. წერტილებს სირთულის მიხედვით ექნებათ სხვა და სხვა წონა. ამავე დროს წერტილების დალაშქვრის თანმიმდევრობა არაა რეგლამენტირებული. წერტილების დასალაშქრი ჯამური დრო არის შეზღუდული. ამ დროის გასვლის შემდეგ იწყება საჯარიმო დროის ათვლა. ხოლო საჯარიმო დროის დასრულების შემდეგ მონაწილეს არჩათვლა ეწერება. ფინიშზე უფრო ადრე მისვლა უპირატესობაა მხოლოდ თანაბარი ქულების შემთხვევაში

შეჯიბრი იწარმოებს სამ ჩათვლით ჯგუფში.

1) სტანდარტი - ჩვეულებრივი დაულიფტავი ავტომობილები სტანდარტული ზომის საბურავებზე.

2) მომზადებული - მომზადებული ავტომობილები ელექტრო ჯალამბარების გარეშე

3) ექსტრიმი - ელექტრო ჯალამბარიანი მანქანები.

დანარჩენი ნიუანსები რეგლამენტშია მოცემული.

შეჯიბრის სრული რეგლამენტი და დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ საიტზე http://orbeti.offroad.ge

აქვე შეგიძლიათ ნახოთ განაცხადის ელექტრონული ფორმა, შეაქვსოთ ის და გამოაგზავნოთ ელ. ფოსტით მისამართზე orbeti@offroad.ge

საქართველოს "ოფროუდერს კლუბი"
519732, 423571

დავით კოვზირიძის სვეტი

სალობიე

საქართველო ერთადერთი წერტილია დედამიწის ზურგზე, სადაც ყველა: დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ჭკვიანი და დეგენერატი, მორწმუნე და "მორწმუნე", ბნელი და გასხივოსნებული, პედერასტი და ლესბოსელი, მეძავი და მისი კლიენტი, გამყიდველი და მყიდველი, ერთგული და მოღალატე, ჟურნალისტი და მაყურებელი...

ყველგან: შინ და გარეთ, ქორწილში და გასვენებაში, სტადიონზე და კინოში, კლუბში და ბირჟაზე, მაღაზიაში და ბოსელში, ტელევიზორთან და თონესთან, პარლამენტში და ბორდელში...

და ყოველთვის: სადილობის და ორგაზმის დროს, ქეიფის და ქელეხის დროს, დილით და შუაღამისას, აისზე თუ დაისზე, ომში თუ მშვიდობაში...

აქ ყველა, ყველგან და ყოველთვის პოლიტიკაზე ლაპარაკობს!

წარმოიდგინეთ - უკვე ოცი წელიწადია ვლაპარაკობთ იმაზე, რაც არ არსებობს. როგორ არ არსებობს? კარგად დააკვირდით ქართველ "პოლიტიკოსებს" თავის ფორმაზე, გამომეტყველებაზე, სხეულებზე, ინტელექტზე. ვინაა ეს ხალხი? რატომ ვლაპარაკობთ ყველა, ყველგან და ყოველთვის ამ ბომჟებზე, ფარისეველ იმბეცილებზე, ენატარტალა ვიგინდარებზე, ამებებზე, ქალამანებზე და ფოსტალებზე?

ვინ ვართ საერთოდ და რა გვინდა?

"სტალინი გინდათ თქვენ, დიდი სოსელო, - ამბობენ დღემდე, - აი, ეგ დაამყარებდა წესრიგს". სტალინი არ ვიცი, მაგრამ რაც დრო გადის, სულ უფრო ვრწმუნდები, რომ ამ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას უზომოდ ენატრება საბჭოთა კავშირი: უსაქმურობა, ლევი მაყუთი, ყოველ მომდევნო ერექციაზე სარატოვში გადაფრენა, კილომეტრიანი სადღეგრძელოები, ხელუხლებელი ქალწულობა, რომლის გასაღები ჭადრაკსა და "ვეფხისტყაოსანში" იმალებოდა, კაიბიჭობა, კაი ჩახუტება, გაგება და ჭუკჭუკი, ცოლი სამზარეულოში ფქვილიანი წინსაფრით, საყვარელი ბრილიანტებში, შვილი სოლფეჯიოზე... იქნებ სტალინიც გვენატრება და მაგიტომაც ვერ ვეკარებით მის ძეგლს?

ბოზბაში თუ ჩიხირთმა? ქალამანა თუ ევგლენა? რევოლუცია თუ სამოქალაქო ომი? რუსეთი თუ ამერიკა? ჩადი თუ სამოა? ქურდული თუ მაფიოზური? საქართველოს ეს აწუხებდა, აწუხებს და შეაწუხებს ყოველთვის. ოცი საუკუნე ვიარეთ და აქამდე მოვედით. მოვედით იმიტომ, რომ როგორც ერთმა ქურდმა, პროფესორმა, რეჟისორმა, მწერალმა და გენერალმა თქვა, პოლიტიკოსობა ლობიოობა გვგონია. გვგონია კი არა, ასეცაა, საქართველო ერთი დიდი სალობიეა! და იქნება მანამ, სანამ სიმართლის ლაპარაკს არ დავიწყებთ.

სიმართლე კი ისაა:

რომ არ გვივარგა გემოვნება. ნახეთ, რას ვკითხულობთ (თუ ვკითხულობთ), რითი ვზომავთ ადამიანებს და მოვლენებს, რა მუსიკას ვუსმენთ, რა სპექტაკლები იდგმება, რა ფილმებს ვიღებთ, რა გადაცემებს ვუყურებთ, რა იწერება გაზეთებსა და ჟურნალებში.

რომ არ გვივარგა რწმენა. ხალხი ტრანსპორტში კოლექტიურად იწერს პირჯვარს და მარხვა მხოლოდ ხორცის არჭამა ჰგონია. მღვდლები კი ასიათასიანი ჯიპებით დადიან და ხუთიათასიანი ნომრებიც აქვთ არტყმული - EKL 001, GOD 003 და ასე შემდეგ. იმ დღეს ერთ-ერთ ასეთ მანქანას გავუსწარით მე და ჩემმა მეგობარმა, საჭესთან მღვდელი იჯდა, წელამდე გადმოძვრა ფანჯრიდან და ხელების ქნევა დაიწყო, ილანძღებოდა. ჩემი თვალით მაქვს ნანახი, როგორ იფურთხებოდა ანაფორიანი ადამიანი ქუჩაში. გაცილებით მძიმე მაგალითების მოყვანა შემიძლია მეც და, დარწმუნებული ვარ, თქვენც. ეს ხალხი ბიუჯეტიდან ათეულობით მილიონს იღებს (ჩვენს ფულს) და სანაცვლოდ დირექტივებს და აგრესიას გასცემს იმიტომ, რომ ეს სალობიეა და რწმენა ლობიოს ჭამა გვგონია. სიკეთე, სიყვარული, პატიოსნება, მიტევება არავის აინტერესებს, ეს მეასეხარისხოვანია.

რომ არ გვივარგა პროფესიონალიზმი. გვყავს სრულიად უინტელექტო ჟურნალისტები, ხელოვნური ხელოვანები, უმეცარი მასწავლებლები და ლექტორები, უცოდინარი ექიმები, უხმო მომღერლები, უპლასტიკო მოცეკვავეები, უფანტაზიო მწერლები და არავინ ცდილობს, ოდნავ მაინც აიმაღლოს ხარისხი. იმიტომ რომ სალობიეში მეტის მოთხოვნილება არაა.

რომ არ გვივარგა პატრიოტიზმი. საერთოდ არც ვიცით, რა არის ეს.

რომ ველურები ვართ...

არ გვივარგა არაფერი, თუმცა გვწყურია ნონ-სტოპ რევოლუცია, რათა ხან ერთის იმედი გვქონდეს, ხან მეორესი და ხან მესამესი. ჩვენ ყველას იმედი გვაქვს, საკუთარი თავის გარდა. სამწუხაროდ, დღემდე იმასაც ვერ მივხვდით, რომ ეს შეცდომაა.

სულ ვცდილობ, პოლიტიკას დავემალო, არ გავიგო ამ ერთუჯრედიანების ხავილი და მსჯელობა იმაზე, თუ რაზე ხავიან ისინი. არ გამომდის, ყველგან ეს ვირტუალური გველეშაპია, რომელიც სინამდვილეში თითქოს არ არსებობს. ყველგან გადამუშავებული ლობიოს სუნი დგას და თუ სასწრაფოდ არ მოხდება ოთხი მილიონი ინდივიდუალური რევოლუცია, ეს სუნი გაგვგუდავს.

მომავალ სამშაბათამდე

ქართულმა ლეგიონმა რუსეთშიც დაიწყო თამაში

კვირკველიამ და "რუბინმა" ჩემპიონატი გამარჯვებით დაიწყეს

გასულ უქმეებზე დაიწყო რუსეთის ჩემპიონატი ფეხბურთში და ქართულ ლეგიონზე საუბარიც უფრო საინტერესო ხდება. სულ რაღაც ერთი თვის წინ ორ-სამ ჩემპიონატზე გვიწევდა საუბარი, ახლა კი ქართველი ფეხბურთელები ყველგან თამაშობენ და ლეგიონზეც უფრო ვრცლად მოგითხრობთ.

რუსეთში ბევრი ქართველი თამაშობს და რუსულ პრემიერლიგაში პირველი ტურიც გაიმართა, მაგრამ მაინც საუკეთესო ხუთეულით დავიწყოთ.

გერმანული ბუნდესლიგის 24-ე ტური გაიხსნა ლევან კობიაშვილისა და ლევან ყენიას "შალკესა" და "ვოლფსბურგის" მატჩით, რომელიც სტუმრად მოთამაშე გელზენკირხენელებმა 3:4 წააგეს. კობიაშვილი "შალკეს" სასტარტო შემადგენლობაში იყო, თუმცა 52-ე წუთზე პანდერს დაუთმო ადგილი. ყენია გუნდის განაცხადში არ ყოფილა.

"შალკეს" 37 ქულა აქვს და ტურის სხვა მატჩების ჩატარებამდე მე-8 ადგილზეა. ალექსანდრე იაშვილის "კარლსრუემ" გერმანიის ბუნდესლიგაში მორიგი მატჩი გამართა და ზედიზედ მეოთხედ დამარცხდა. ამასთან, მეხუთედ დატოვა მოედანი უგოლოდ. ქართველი ფეხბურთელი მწვრთნელმა თავიდან სათადარიგოთა სკამზე გაამწესა და მხოლოდ 73-ე წუთზე ჩართო თამაშში, როდესაც ანგარიში ჯერ კიდევ 0:0 იყო. იაშვილი ერთხელ მოხვდა თამაშგარეში და გააკეთა შვიდი გადაცემა, რომელთაგან სამი ზუსტი გამოდგა.

"კარლსრუე" 0:1 დამარცხდა და ისევ ცხრილის ბოლო საფეხურზეა.

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, როგორც იქნა, "ბლექბერნის" ძირითად შემადგენლობაში ითამაშა ზურაბ ხიზანიშვილმა, მაგრამ ქართველი მცველის დაბრუნება კლუბისთვის არცთუ იღბლიანი გამოდგა. "ბლექბერნი" ლონდონის "არსენალს" ეთამაშებოდა მისსავე მოედანზე და დამარცხდა - 0:4. ქართველი მცველი 66-ე წუთამდე იყო მოედანზე და ამ ხნის განმავლობაში სამჯერ დაჯარიმდა; ერთხელ მეტოქე აიძულა წესი დაერღვია; სამჯერ აართვა მოწინააღმდეგეს ბურთი; გააკეთა 20 გადაცემა, რომელთაგან 18 ზუსტი გამოდგა; 37-ე წუთზე კი ყვითელი ბარათი მიიღო.

29 ტურის შემდეგ "ბლექბერნი" 30 ქულით მე-15 ადგილზეა და გასავარდნ ზონაში მყოფი "სტოკისგან" ერთი ქულა აშორებს.

იტალიის ჩემპიონატი ქართველების გარეშე გრძელდება. კალაძე და მჭედლიძე საკუთარ გუნდებს ტრავმის გამო ვერ ეხმარებიან, თუმცა გასულ ტურში "პალერმოსა" და "მილანს" არავის დახმარება არ სჭირდებოდათ. ორივე გუნდმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.

გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში "ფრაიბურგისა" და "დუისბურგის" მატჩში დავით თარგამაძე მიმნდორზე არ გამოჩენილა. მისი "ფრაიბურგი" კი "დუისბურგთან" გასვლით მატჩში 0:1 დამარცხდა.

ქართველი ნახევარმცველი სათადარიგოთა სკამიდან არ წამომდგარა, ფრაიბურგელები კი 48 ქულით მე-2 ბუნდესლიგის ლიდერობას ინარჩუნებენ.

რუსეთის პრემიერლიგის პირველ ტურში დამარცხდა ალექსანდრე ამისულაშვილისა და გოგიტა გოგუას ნალჩიკის "სპარტაკი". ქართველთა კლუბი გროზნოში "ტერეკის" შეტევებს კარგა ხანს იგერიებდა, მაგრამ მსაჯის მიერ დამატებულ მეოთხე წუთზე გოლი მაინც გაუშვა და 0:1 წააგო.

ამისულაშვილმა შეუცვლელად ითამაშა, გოგუა კი 47-ე წუთზე გამოჩნდა მინდორზე. დავით მუჯირის "ლოკომოტივი" პირველ მატჩში "ხიმკის" მასპინძლობდა და პირველი ქულები დაკარგა. მოსკოველები 27-ე წუთიდან აგებდნენ, მაგრამ 64-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრეს და ქულა მოიპოვეს. ქართველი ფეხბურთელი ძირითად შემადგენლობაში იყო და 79-ე წუთამდე, სანამ ტორბინსკით შეცვლიდნენ, აქტიურადაც თამაშობდა.

პირველი დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ნუკრი რევიშვილის, ლაშა სალუქვაძისა და დავით კვირკველიას "რუბინმა". ყაზანელებმა საკუთარ მოედანზე "ყუბანს" უმასპინძლეს და 3:0 დაამარცხეს. მასპინძელთა ძირითად შემადგენლობაში იყო კვირკველია, რომელმაც მატჩი სრულად ჩაატარა. რევიშვილი და სალუქვაძე კი სათადარიგოთა სკამიდან არ წამომდგარან.

უკრაინის ჩემპიონატის მორიგ ტურში კიევის "დინამოს" განაცხადში ვერ მოხვდა მალხაზ ასათიანი. მისმა კლუბმა ზაპოროჟიეში "მეტალურგს" 3:1 მოუგო და 52 ქულით პირველ ადგილზეა.

საკუთარ მოედანზე "ილიჩოვეცთან" თამაშობდა ალექსანდრე კობახიძის, ჯაბა კანკავასა და ბექა გოცირიძის "დნეპრი". ქართველ ფეხბურთელთაგან ძირითად შემადგენლობაში იყვნენ კანკავა და გოცირიძე, მაგრამ მათმა გარჯამ გუნდს ვერ არგო და მატჩი უგოლოდ დასრულდა. თუ გოცირიძემ ბოლომდე ითამაშა, კანკავამ 58-ე წუთზე მიღებულ ერთ ყვითელ ბარათს 75-ეზე მეორე დაუმატა და მოედანი დატოვა. ალექსანდრე კობახიძე კი გუნდის განაცხადში ვერ მოხვდა.

20 თამაშის შემდეგ 26 ქულით "დნეპრი" მერვე ადგილზეა, არც გავარდნა ემუქრება და არც ევროსაგზურისთვის საბრძოლველად შესწევს ძალა.

დონეცკში, ადგილობრივ "მეტალურგთან" თამაშობდა გიორგი ციმაკურიძის "ზარია". ქართველი მცველის გარეშე მოასპარეზე ლუგანსკელები პირელი ტაიმის შემდეგ 0:2 მარცხდებოდნენ და მეორე ნახევარში კიდევ ერთი გოლი გაუშვეს, თავად კი არ გაუტანიათ.

"ზარიას" 20 თამაშში 21 ქულა აქვს და ცხრილის მეცხრე საფეხურზეა.

დღესვე უნდა ეთამაშა ვლადიმერ ბურდულისა და ვასილ გიგიაძის "ტავრიას", მაგრამ მოედნის საფარის უვარგისობის გამო მატჩი გადაიდო.

მოლდოვის საფეხბურთო ჩემპიონატში წარმატებით თამაშობს ჯაბა დვალი, რომელმაც "აკადემიასთან" 23-ე ტურის მატჩში სეზონის მე-6 გოლი გაიტანა.

კიშინიოვის "დაჩიას" ქართველი ფორვარდი მინდორზე შესვენების შემდეგ გამოჩნდა, როდესაც ანგარიში 0:0 იყო, მე-60 წუთზე კი მასპინძლები დააწინაურა. საბოლოოდ "დაჩიამ" 2:0 გაიმარჯვა და 47 ქულით მეორე ადგილი შეინარჩუნა. წინ მხოლოდ ტირასპოლის "შერიფია", რომლის კაპიტანი ვაჟა თარხნიშვილია.

"აკადემიასთან" მატჩში ლევან კორღალიძემ 51-ე წუთიდან ითამაშა.

უნგრეთის პირველობის მე-19 ტურში დავით ოდიკაძისა და რატი ალექსიძის "დიორი" ბუდაპეშტის "რეაკს" ესტუმრა და ფრედ - 0:0 ითამაშა.

ოდიკაძემ შეუცვლელად ითამაშა და ყვითელი ბარათი მიიღო, ალექსიძე კი შესვენების შემდეგ გამოჩნდა მინდორზე.

ქართველთა კლუბს 22 ქულა აქვს და მე-11 ადგილზეა.

ჩეხეთის პირველობაზე ასევე უგოლო ფრეს დასჯერდა დიმიტრი ტატანაშვილის "ვიკტორია პლზენი". ქართველი ფორვარდის კლუბი შინაურ კედლებში "პრჟიბრამს" დაუზავდა, ტატანაშვილი კი 61-ე წუთზე ჩაერთო თამაშში.

"პლზენი" 23 ქულით მეათე საფეხურზეა.

ავსტრიის ჩემპიონატის 26-ე ტურში ფრედ - 1:1 დასრულდა გრაცის "შტურმისა" და "რიდის" მატჩი. გრაცელთა დაცვის მარცხენა ფლანგზე ილია კანდელაკმა შეუცვლელად ითამაშა და ყვითელი ბარათიც მიიღო, გიორგი შაშიაშვილი კი მინდორზე არ გამოჩენილა.

ჯობავა კონტინენტის პირველობაზე ლიდერობს

ქართველი მოჭადრაკე ბაადურ ჯობავა ევროპის მე-10 ინდივიდუალური ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად რჩება. უკრაინელ ვოლოკიტინთან და რუს ინარკიევთან პარტიებში ბაადურმა 1.5 ქულა აიღო და ტურნირზე კიდევ ორ მონაწილესთან ერთად ლიდერობს.

ჩერნოგორიის ქალაქ ბუდვაში მიმდინარე ჩემპიონატის 9 ტურის შემდეგ ჯობავას, ინარკიევისა და სოკოლოვის მსგავსად, 7 ქულა აქვს, დამატებითი მაჩვენებლების მიხედვით კი მე-3 ადგილზეა.

დანარჩენი ქართველები - მერაბ გაგუნაშვილი, მიხეილ მჭედლიშვილი და თორნიკე სანიკიძე ლიდერებს საგრძნობლად ჩამორჩებიან.

ევროპის მე-10 ინდივიდუალურ ჩემპიონატზე 306 მოჭადრაკე თამაშობს.

კენჭისყრა 24 მარტს გაიმართება

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგაში ეროვნული თასის XIX გათამაშების ნახევარფინალისტების კენჭისყრა 24 მარტს აქვთ დაგეგმილი. ამის შესახებ "მსოფლიო სპორტს" პროფლიგის გენერალურმა მდივანმა პაატა ბურჯალიანმა განუცხადა. თასის ბოლოსწინა ეტაპზე გასულ სამ თბილისურ კლუბს ("ვიტ ჯორჯია", "დინამო", "ლოკომოტივი") კომპანიონობას გაუწევს რუსთავის "ოლიმპი". პფლ-ში უკვე დამტკიცებული განრიგის მიხედვით ცნობილია, რომ დაწყვილების შემდეგ თასის ოთხი რჩეული პირველ მატჩს 14 აპრილს გამართავს, საპასუხოს კი - 29 აპრილს. ფინალი, ტრადიციულად, თბილისშია დაგეგმილი და ის 28 მაისს ჩატარდება.

კრშკომ სეზონი დაასრულა

ექიმების დიაგნოზით, თბილისის "დინამოს" ცენტრალურ მცველ მილოშ კრშკოს მორიგი საშინაო სეზონის დაწყებამდე იძულებითი დასვენება მოუწევს. დიღმელთა 29 წლის სლოვაკმა ფეხბურთელმა ცხინვალის "სპარტაკთან" გამართულ ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში, 57-ე წუთზე, სტუმარ თემურ შონიას შეჩერებისას, მარჯვენა ფეხი მოიტეხა და რეანიმობილით საავადმყოფოში წაიყვანეს. როგორც "მსოფლიო სპორტს" "დინამოს" მწვრთნელმა კახა კაჭარავამ განუცხადა, თბილისელთა მცველი გუნდს უახლოესი 4-5 თვის განმავლობაში ვერ დაეხმარება.

პისარო "ვერდერში" ვერ დარჩება

გერმანული მედიის ინოფრმაციით, ბრემენის "ვერდერი" ლონდონის "ჩელსისგან" ერთი სეზონით ნაქირავები 30 წლის პერუელი თავდამსხმელის კლაუდიო პისაროს დატოვებას არ ეცდება.

ამის მიზეზი ის სკანდალია, რომელსაც "ვერდერის" მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე იურგენ ბორნი უკვე ემსხვერპლა და არ არის გამორიცხული, პისაროს კარიერაც შეეწიროს.

ბორნს 2001 წელს კლუბში პერუელი ფეხბურთელის რობერტო სილვას გადასვლისას 50 ათასი დოლარის უკანონოდ მიღება, ხოლო 2003-ში პარაგვაელი ნელსონ ვალდესისთვის კონტრაქტის გახანგრძლივებისას 50-დან 100 ათას დოლარამდე თავისი ვაჟის, მაქსიმილიანის ანგარიშზე გადარიცხვა ბრალდება.

ამ ბრალდებათა გამო ბორნმა 7 მარტს - საქმის ვითარების გარკვევამდე - დროებით, ხოლო 13 მარტს - კლუბის ზეწოლის შედეგად - საერთოდ დატოვა თანამდებობა.

ორივე შემთხვევაში ფულის გადამრიცხავი იყო პერუელი კარლოს დელგადო - პისაროს აგენტი და ბიზნესპარტნიორი, სააგენტო Image-ს შეფი. ახლა მის მიმართ პერუში გამოძიება მიმდინარეობს - ის ფულის გათეთრებასა და გადასახადების დამალვაშია ეჭვმიტანილი. პისარო, რომელიც ამ სააგენტოს 42 800 აქციის მფლობელია, 23 მარტს ამ საქმესთან დაკავშირებით პერუს პროკურატურის წინაშე წარდგება.

კლოზე საოპერაციოა

მიუნხენის "ბაიერნის" თავდამსხმელ მიროსლავ კლოზეს შაბათს "ბოხუმთან" სტურმად 3:0 მოგებულ მატჩში მარჯვენა კოჭის მყესი გაუწყდა და ოპერაციას საჭიროებს.

ამის შესახებ კლუბმა კვირას განაცხადა.

30 წლის მეგოლემ მატჩის 31-ე წუთზე ყოველგვარი ორთაბრძოლის გარეშე, მინდვრის უსწორმასწორობის გამო მიიღო ტრავმა და უმალვე შესაცვლელი გახდა. გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ კოჭის ერთ-ერთი მყესი იყო გაწყვეტილი.

ოპერაციის გამო კლოზე "ბაიერნის" მომავალ ბუნდესლიგურ მატჩს და გერმანიის ნაკრების მიერ 28 მარტს ლიხტენშტაინთან, ხოლო 1 აპრილს უელსთან გასამართ შეხვედრებს გამოტოვებს.

"ეს ჩვენთვის ძალიან მძიმე დარტყმაა," - თქვა "ბაიერნის" მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა, რომელსაც ის მაინც გაახარებს, რომ, ბოლო ინფორმაციით, ტრავმირებული ლუკა ტონი და ფრანკ რიბერი სამშაბათიდან ვარჯიშს განაახლებენ.

ზედიზედ მეხუთედ

NBA-ს რეგულარულ სეზონში წარმატებულ სერიას აგრძელებს ზაზა ფაჩულიას "ატლანტა ჰოუქსი". გუშინ, გამთენიისას, "ქორებმა" საკუთარ "ფილიპს არენაზე" "პორტლენდი" დაამარცხეს - 98:80, რაც ჯორჯიელთათვის ზედიზედ მეხუთე მოგებული მატჩია.

ქართველმა კალათბურთელმა 15 წუთში 6 ქულა, 1 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა.

ფაჩულიამ 3-დან 2 ორქულიანი ჩააგდო და საჯარიმოს ხაზიდანაც ასეთივე მაჩვენებელი ჰქონდა.

ზაზამ ბურთი ერთხელ დაკარგა და 3 ჯარიმა მიიღო.

ქართველი ცენტრის კონკურენტმა ალ ჰორფორდმა 40 წუთში 13 ქულა მოაგროვა, შეხვედრის გმირმა ჯო ჯონსონმა კი ატლანტელებს 35 ქულა, 7 მოხსნა და 6 პასი შეაწია.

38 მოგებითა და 28 მარცხით "ჰოუქსი" სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში მე-2, ხოლო აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-4 ადგილზე რჩება.

ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატის 26-ე ტურში ტაირონ ელისის "კახასოლმა" "ხუვენტუტთან" გასვლით მატჩში 89:81 გაიმარჯვა, რაშიც საქართველოს ნაკრების ამერიკელმა გამთამაშებელმა დიდი წვლილი შეიტანა. ელისმა სევილიელთა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და სტუმრებს 30 წუთში 16 ქულა, 1 მოხსნა და 2 პასი შეაწია.

ტაირონმა ექვსივე ორქულიანი და 7-დან 4 საჯარიმო ჩააგდო, 4 სამქულიანი კი ააცილა.

"კახასოლის" რიგებში ტაკერმა 22 ქულა მიითვალა, ხოლო კანერ-მედლი 21 ქულას გამორჩა.

მატჩის ბედი გადაწყდა ბოლო მეოთხედში, რომელიც სევილიელებმა 30:19 მოიგეს.

ამ გამარჯვების წყალობით "კახასოლმა" ბოლო ადგილს თავი დააღწია და 6 მოგებითა და 18 მარცხით მე-16 საფეხურზე გადაინაცვლა.

ფაჩულიამ ბურთი ფარიდან მოხსნა

ამავე ტურში ვალენსიას "პამესას" ხორვატმა მწვრთნელმა ნევინ სპაჰიამ გუნდის ქართველი წევრი თორნიკე შენგელია სასტარტო ხუთეულში დააყენა და მისთვის სარეკორდო 23 წუთს ათამაშა. "ბრუეესასთან" საშინაო მატჩში 18 წლის შენგელიამ დრო კარგად გამოიყენა და გუნდს 8 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მოუტანა, მისმა კლუბმა კი 75:66 გაიმარჯვა.

თორნიკემ 5-დან 4 ორქულიანი ჩააგდო და "პამესას" რიგებში, შედეგიანობის მხრივ, მხოლოდ ოთხ მოთამაშეს ჩამორჩა.

შენგელია ვალენსიელთა სასტარტო შემადგენლობაში მეორედ გამოჩნდა. "რიკო მანრესასთან" მატჩში ქართველმა კალათბურთელმა 3 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა.

11 გამარჯვებითა და 13 წაგებით მე-9 საფეხურამდე დაქვეითდა ნიკოლოზ ცქიტიშვილის "ფუენლაბრადა", რომელიც "რიკო მანრესასთან" 78:87 დამარცხდა.

ცქიტიშვილმა მადრიდელთა სასტარტო ხუთეულში იასპარეზა და 21 წუთში 7 ქულა, 3 მოხსნა და 3 პასი მოაგროვა. ნიკოლოზმა 4-დან 1 ორქულიანი, 4-დან 1 სამქულიანი და 2 საჯარიმო ჩააგდო.

წარმატებული გამოდგა ესტონეთის პირველობის მორიგი ტური ვიქტორ სანიკიძისთვის.

ქართველმა კალათბურთელმა დასამახსოვრებელი მატჩი ჩაატარა. "ტარტუ როკმა" "პიარნუსთან" გასვლით შეხვედრაში 93:56 გაიმარჯვა, სანიკიძემ კი 21 წუთში 29 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი, 7 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა.

ვიქტორმა 9 ორქულიანიდან ყველა ჩააგდო, 5 სამქულიანიდან 2 გამოიყენა და 6-დან 5 საჯარიმო ზუსტად ტყორცნა.

სანიკიძის მსგავსად, ტარტუელთა სასტარტო ხუთეულში იასპარეზა გიორგი ცინცაძემ, რომელმაც 17 წუთში 11 ქულა, 5 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა.

საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა 6-დან 4 ორქულიანი და 1 საჯარიმო ჩააგდო.

ქართველთა კლუბს 18-დან 17 მოგება აქვს და ესტონეთის პირველობას ერთპიროვნულად ლიდერობს.

ადრიატიკის საკალათბურთო ლიგის 25-ე ტურში ვლადიმერ ბოისას "ზადარი" ლიუბლიანის "ოლიმპიას" ესტუმრა და 67:73 დამარცხდა. თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ბოისამ სასტარტო ხუთეულში ითამაშა და 19 წუთში 7 ქულა, 1 მოხსნა და 1 ჩაჭრა მიითვალა.

ვოვამ 3-დან 1 ორქულიანი, 3-დან 1 სამქულიანი და 4-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი კი 4-ჯერ დაკარგა.

ბოისას კლუბმა პირველი ტაიმი 10 ქულის სხვაობით (38:28) მოიგო, თუმცა, უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და 6 ქულით დამარცხდა.

ხორვატიული კლუბის რიგებში საუკეთესო სტიპჩევიჩმა 18 ქულა მიითვალა. ასეთივე მონაგარი ჰქონდა "ოლიმპიას" ლიდერ ოზბოლტს.

"ზადარი" 16 მოგებითა და 9 მარცხით მე-5 ადგილზეა.

ქართველთა ასპროცენტიანი მაჩვენებელი

ოსაკაში მიმდინარე მარტის ბაშოზე წარმატებით გამოდიან ქართველი ათლეტები. ასპარეზობის ორი დღის შემდეგ ელიტურ - მაკუუჩი დივიზიონში მოასპარეზე ორივე ქართველს ასპროცენტიანი მაჩვენებელი აქვს. ლევან ცაგურია და ლევან გორგაძე მარტის ბაშოს ლიდერთა შორის არიან.

დასავლეთის მე-8 მაეგაშირა კოკაიმ ტაკამისაკარისთან (მე-7 მაეგაშირა) დიდი ბრძოლა გადაიტანა და მეტოქე დოჰიოს მიღმა გაიყვანა.

საინტერესოდ წარმართა ბრძოლა 21 წლის გორგაძემ, რომელსაც ელიტურ - მაკუუჩი დივიზიონში ტოჩინოშინის სახელით იცნობენ.

გორგაძემ ყოფილ კომუსუბი ფუტენოს (მე-9 მაეგაშირა) ცუპარებით (ხელის კვრა მკერდსა და ყელის არეში) შეუტია, შემდეგ კი იაპონელს მარჯვენა ხელი ქამარში ჩაავლო და დოჰიო დაატოვებინა.

მესამე დღეს მე-10 მაეგაშირას ტიტული მქონე ტოჩინოშინი ივაკიამას შეერკინება, ხოლო კოკაის მეტოქე ტოჩინონადა იქნება.

ოსაკას პრეფექტურის ფიზკულტურისა და სპორტის სასახლეში მიმდინარე ბაშოზე წარმატებული სტარტი აიღო თეიმურაზ ჯულელმა, იგივე გაგამარუმ.

ქართველი რიკიში რანგით მე-3 მაკუშიტას დივიზიონში მე-3 ნომრადაა განთესილი და ძურიოს დივიზიონში აღზევების ერთ-ერთი კანდიდატია.

კოკაიმ მეორე ბრძოლა მოიგო

22 წლის გაგამარუმ ვეტერან კიტაძაკურას დოჰიო დაატოვებინა და ამით ერთ-ერთი კონკურენტი ჩამოიცილა. 37 წლის იაპონელი მარტის ტურნირზე მაკუშიტას მეორე რეიტინგით ასპარეზობს.

ჯერჯერობით ზედმეტი პრობლემების გარეშე იმარჯვებენ "იმპერატორის თასის" უმთავრესი პრეტენდენტები. "ცისფერ დრაკონად" წოდებულმა ასაშორიუმ პირველი მაეგაშირა კაკურიუ "დაიფრინა", "თეთრ ფენიქსის" სახელით ცნობილი ჰაკუჰო კი ჰოკუტორიკის გაუმკლავდა.

უარი - "რეალს"

მეორე ბუნდესლიგური "მიუნხენ 1860"-ის 19 წლის ტყუპმა ძმებმა ლარს და სვენ ბენდერებმა მადრიდის "რეალში" გადასვლა არ ისურვეს. "როცა ისინი 16 წლის იყვნენ, მათი შეძენა "ლივერპულს" ენადა, როცა 17-ის გახდნენ, "მანჩესტერ იუნაიტედისგან" მიიღეს წინადადება, ახლა კი მათ გადაბირებას უკვე "რეალი" ცდილობს, - თქვა ტყუპების აგენტმა, - მაგრამ ბიჭები მიწაზე მყარად დგანან და თვლიან, რომ უცხოეთში წასვლა მათთვის ჯერ ძალიან ადრეა."

ძმები გერმანული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავებად ითვლებიან. თავდაპირველად ისინი გერმანიის 17 წლამდელთა ნაკრებში ბრწყინავდნენ, 2007-იდან - 19 წლამდელებში, 27 აპრილის შემდეგ კი, როცა 20 წელი შეუსრულდებათ, 20 წლამდელთა ნაკრებში გადავლენ. "რეალის" ტექნიკურმა დირექტორმა მიგელ ანხელ პორტუგალმა მათი თამაში პირველად 2008 წლის ივლისში, ევროპის 19 წლამდელთა პირველობაზე ნახა, როცა ძმებმა, თანაგუნდელებთან ერთად, ოქროს მედლები მოიხვეჭეს. "სამეფო კლუბის" ჩანაფიქრით, ბენდერები თავდაპირველად ერთი სეზონით მეორე გუნდში - "კასტილიაში" უნდა გაემწესებინათ, რათა ესპანეთსა და იქაურ ფეხბურთს შესჩვეოდნენ, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ძმებმა იქ გადასვლა არ ისურვეს.

შულტე ამბობს, რომ ისინი "მიუნხენ 1860"-ში, სავარაუდოდ, 2010 წლის ზაფხულამდე გაჩერდებიან, რის შემდეგაც მათი შეძენის მსურველთ კლუბისთვის 2-2 მილიონი ევროს გადახდა მოუწევთ. მაგრამ, როგორც კლუბის დირექტორი მიროსლავ სტევიჩი ამბობს, კლუბს ურჩევნია, ისინი ვადაზე ადრე გაყიდოს, რადგან ძმებით დაინტერესება გერმანიაში იმდენად დიდია, რომ მათში 2-2 მილიონზე გაცილებით მეტსაც გადაიხდიან.

რიბერი დაიღალა

მიუნხენის "ბაიერნის" 25 წლის ფრანგმა ნახევარმცველმა ფრანკ რიბერიმ ფრანგ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ დაიღალა მის ირგვლივ ატეხილი სატრანსფერო მითქმა-მოთქმით. "ყველა მომავლის შესახებ მეკითხება, ყველას უნდა მხოლოდ იმაზე მალაპარაკოს, თუ როდის მივდივარ კლუბიდან, - თქვა რიბერიმ, - მაგრამ მე ამაზე საუბარი აღარ მსურს, ყელში ამომივიდა. მივდივარ თუ ვრჩები? ამ კითხვას არასოდეს ვუპასუხებ. მე მსიამოვნებს "ბაიერნში" ყოფნა, აქ თავს შესანიშნავად ვგრძნობ." რიბერის თემას კლუბის მენეჯერი ული ჰაინესიც შეეხო.

"მე მართლაც არ მგონია, რომ მას წასვლა უნდოდეს. აქ ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს მისაღწევი, - აღნიშნა მან, - ვიცი, რომ მასში დიდ ფულს გადაიხდიან და, შესაძლოა, მისთვის ბრძოლაც მოგვიხდეს. დარწმუნებული ვარ, ამ ზაფხულს მისი შეძენის თაობაზე კონკრეტული წინადადებით ორი-სამი კლუბი მაინც მოგვმართავს. ჩვენ ყველანაირად ვეცდებით, შევინარჩუნოთ, რადგან ის დიდებული ფეხბურთელი და საუცხოო პიროვნებაა. რიბერი ჩვენი საუკეთესო შენაძენია ბოლო 20 წლის განმავლობაში. მაგრამ გვეყოფა კი ძალა და ფინანსური რესურსები მის შესანარჩუნებლად იმ შემთხვევაში, თუ მის შეძენას განსაკუთრებით მომხიბლავი კლუბი შეეცდება? დაველოდოთ და ვნახავთ."

პეტრიჩს კუნთი გაუწყდა

"ჰამბურგის" ხორვატ თავდამსხმელს მლადენ პეტრიჩს კვირას მისი გუნდის მიერ კოტბუსის "ენერგისთან" შინ მოგებულ მატჩში ბარძაყის კუნთი გაუწყდა. "ამის გამო ორიდან სამ კვირამდე უნდა ვიუქმო," - თქვა თავად ფეხბურთელმა.

ტრავმა მან 29-ე წუთზე მიიღო და მის ნაცვლად შესულმა პიოტრ ტროხოვსკიმ დიდებული საჯარიმო დარტყმით მეორე გოლი გაიტანა. "ჰამბურგის" მწვრთნელმა მარტინ იოლმა ამ მატჩში, დიდი ხნის პაუზის შემდეგ, სამივე თავდამსხმელი - პეტრიჩი, ივიცა ოლიჩი და პაოლო გერერო - გაამწესა. მაგრამ ექსპერიმენტმა, როგორც უკვე მოგახსენეთ, მხოლოდ ნახევარ საათს გასტანა. პეტრიჩი ჰანზელებს ვერც ხუთშაბათს, სტამბულის "გალათასარაის" წინააღმდეგ უეფას თასის განმეორებით, გასვლით მერვედფინალურ მატჩში დაეხმარება (პირველი 1:1 დასრულდა) და ვერც კვირას "შალკესთან" სტუმრად გასამართ შეხვედრაში.

ეკლსტოუნმა ფინანსური კრიზისი უარყო

ფორმულა 1-ის პრომოუტერი ბერნი ეკლსტოუნი დარწმუნებულია, რომ მსოფლიოს ფინანსური კრიზისი მის სახეობას ბევრს ვერაფერს დააკლებს.

"სულაც არ ვფიქრობ, რომ კრიზისი დიდ ზიანს მოგვაყენებს. უკვე არაერთგზის მოვისმინე, თითქოს გუნდები რბოლებზე ნაკლებ ხალხს წაიყვანენ და ხელფასებსაც შეამცირებენ. შეგიძლიათ მშვიდად იყოთ, რადგან შარშანდელთან შედარებით წლეულს გუნდები გაცილებით მრავალრიცხოვან შემადგენლობებს წაიყვანენ შეჯიბრებებზე. ამ საკითხზე უკვე ოფიციალურ ინფორმაციას ვფლობთ", - განაცხადა ეკლსტოუნმა "გარდიანთან" საუბარში.

The New York Times offers a "window" to the world

- Every Tuesday, from 20th of January, the leader of the world press The New York Times with 24 Saati.

- The New York Times selects the articles each week specially for Georgian Reader.

- The best from The New York Times.

ნიუ-იორკ თაიმსის საერთაშორისო ყოველკვირეული გამოცემა - International Weekly, წარმოადგენს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო სამსახურის მიერ კვირის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალებიდან შერჩეული საუკეთესო სტატიების, ფოტების, გრაფიკის ნაკრებს; იგი მზადდება ნიუ-იორკ თაიმსის რედაქტორებისა და დიზაინერების მიერ, კაბადონდება ნიუ-იორკში და იგზავნება დასაბეჭდად საქართველოში. ყოველკვირეული ჩანართი სპეციალურად მზადდება 24 საათისთვის , ისევე, როგორც ფრანგული ლე მონდისთვის , ესპანური ელ პაისისთვის , გერმანული ზიუდ დოიჩე ცაიტუნგისთვის , ბრიტანული ობსერვერისთვის და ა.შ.

24 საათი 2009 წლის იანვრიდან არის ნიუ-იორკ თაიმსის კორპორატიული პარტნიორი და უფლება აქვს გამოიყენოს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო, ფოტო და გრაფიკული ბაზა.

A weekly international edition of "The New York Times" - "International Weekly" is a collection of the best articles, photos and graphics selected by "The New York Times" information service out of all materials published during the whole week. It is prepeared by "The New York Times" editors and designers, imposed in New York City and sent to Georgia for printing. A weekly insert is specially prepeared for "24 Saati" newspaper as well as for French "Le Monde", Spanish "El Pais", German "Sueddeutsche Zeitung", British "Observer", etc.

From January 2009, "24 Saati" newspaper is a corporate partner of "The New York Times" and enjoys the right to use information, photo and graphic base of "The New York Times".

თვალის მიკროქირურგიის

ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს

კლინიკა

" ო ფ თ ა ლ მ ი ჯ ი "

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით

და ერთი მოძრავი საოპერაციო

ბლოკით

S L T - ლაზერი

გლაუკომის ქირურგიაში

ოფთალმოქირურგიული ტექნიკის

უკანასკნელი მიღწევა

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

AMERICAN UNIVERSITY OF ARMENIA

სომხეთის ამერიკული უნივერსიტეტი

გთავაზობთ მაგისტრის წოდების მიმნიჭებელ შემდეგ პროგრამებს

✧ სამრეწველო ინჟინრობა და სისტემების მართვა
✧ კომპიუტერისა და ინფორმაციის ცოდნა
✧ ბიზნეს მართვა (MBA)
✧ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა
✧ იურისპრუდენცია (LL.M.)
✧ პოლიტოლოგია და საერთაშორისო ურთიერთობები
✧ ინგლისურის, როგორც უცხო ენის სწავლება (აგრეთვე მოწმობის მიმნიჭებელი პროგრამა)

✋ შეიტყვეთ მთელი წლის განმავლობაში ჩვენი მიღების შესახებ (Rolling Admission)

✋ შეიტყვეთ სომხეთის ამერიკულ უნივერსიტეტში იმ სტუდენტთა ახალი სტატუსის მიღების შესაძლებლობის შესახებ, რომლებმაც არ მიიღეს აკადემიური ხარისხი (Non-Degree Student Status)

✧ აშშ-ში სწავლის წლიური გადასახადის მხოლოდ 1/10 ნაწილის გადახდით სომხეთის ამერიკულ უნივერსიტეტში შეგიძლიათ მიიღოთ დასავლეთის სტილის განათლება

✧ სომხეთის ამერიკული უნივერსიტეტი იწვევს ლექტორებს აშშ-დან და ევროპიდან, ამიტომ უფრო შორს წასვლის საჭიროება არ არსებობს.

✧ სომხეთის ამერიკული უნივერსიტეტის ყოველ განყოფილებას გააჩნია თავისი საკვლევი ცენტრი, სადაც სტუდენტები იყენებენ აუდიტორიაში შეძენილ ცოდნას და იძენენ მომავალი სამუშაოსათვის ძვირფას გამოცდილებას.

✧ სომხეთის ამერიკული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა 95%-ს დღეს სამუშაო აქვს.

✧ სწავლების ენა ინგლისურია

სომხეთის ამერიკული უნივერსიტეტი აშშ-ის კალიფორნიის უნივერსიტეტის პარტნიორია და აღჭურვილია აშშ-ის სკოლებისა და კოლეჯთა დასავლეთის ასოციაციის რწმუნებით.
დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ სომხეთის ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტთა და სასწავლო საკითხების კანცელარიაში
ტელ. (374-10) 512-791, (374-10) 512-792, (374-10) 512-793,
ელ-ფოსტა: **admission@aua.am,** მისამართი: მ.ბაღრამიანის 40
საინტერნეტო საიტი: **www.aua.am**

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ საწვავის შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა სს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-მ.

კომუნალურის მომსახურების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა შპს "მცხეთის კომუნალურმა გაერთიანება"-მ.

შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია"
აცხადებს ტენდერს
ოზურგეთის რაიონში მდებარე ბჟუჟესის სადაწნეო აუზის კომპლექსური გამაგრების სამუშაოებზე.

დაინტერესებულ კომპანიებს შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან, დაგვიკავშირდნენ ქვემოთ მოცემულ მისამართზე დეტალური ინფორმაციის მისაღებად.
შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია"
დელისის მე-3 შესახვევი N 22, V სართული;
0177, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 53 79 10
+995 97 12 60 00
+995 93 94 91 83
ელ. ფოსტა: n-kvaratskhelia@gig.ge
l-mosavlidze@gig.ge

ნინო კვარაცხელია
ლევან მოსავლიძე
წინადადებების მიღების ბოლო ვადაა: 2009 წლის 27 მარტი.

განცხადება
(ინფორმაცია)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამცხადებული იქნა ტენდერი ავტომანქანების შესყიდვის შესახებ. ინფორმაცია ტენდერის ჩატარების თაობაზე გამოქვეყნებული იქნა 2009 წლის 14 თებერვლის გაზეთში 24" საათი.

გაცნობებთ. რომ ტენდერში გაიმარჯვა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება გაუფორმდა ინდ. მეწარმე პეტრე დევრიშაძეს"

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

განცხადება
(ინფორმაცია)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამცხადებული იქნა ტენდერი ქალაქ ბათუმში, გრიბოედოვის/კომახიძის ქ. N119-ში მდებარე ხუთსართულიანი (მიწისქვეშა სართულით) შენობის კაპიტალური შეკეთებისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე. ინფორმაცია ტენდერის ჩატარების თაობაზე გამოქვეყნებული იქნა 2009 წლის 14 თებერვლის გაზეთში 24" საათი.

გაცნობებთ. რომ ტენდერში გაიმარჯვა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება გაუფორმდა შ.პ.ს. ჰოლდერს".

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახური 2009 წლის ასიგნებების ფრგლებში სასმელი წყლის ხარისხის კონტროლის მიზნით ლაბორატორიული კვლევა'' მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერთან დაკავშირებით:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახური 2009 წლის ასიგნებების ფრგლებში სასმელი წყლის ხარისხის კონტროლის მიზნით ლაბორატორიული კვლევა'' მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2009 წლის 16 იანვარს გაზეთ 24 საათში'' გამოქვეყნებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა ს.ს.ი.პ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია. ხელშეკრულება N01-26/16 გაფორმდა 2009 წლის 16 თებერვალს სახელშეკრულებო ღირებულებით 109 800 ლარი.

GT GROUP

ჩოლოყაშვილის 48 ბ
ტელ: 740 740
www.gtgroup.ge

Ford Transit
Ford-ის გლობალური იმპორტიორი GT Motors

გარანტია 2 წელი

16 950
ევროდან

iVan
"UKR AUTO"-ს ოფიციალური დილერი GT Group
iVan-ის წარმოების საქალაქო და საგარეუბნო ავტობუსი

25 500
ევროდან

MST
"SANKO"-ს ოფიციალური დილერი GT Group
MST-ს ბეკოლოუდერები

46 000
ევროდან

GT GROUP

ჯი-თი ჯგუფი - FordCargo -ს ოფიცილაური დილერი საქართველოში

ჩოლოყაშვილის 48 ბ, ტელ: 740 740, www.gtgroup.ge

გარანტია 2 წელი
(გარანტია ვრცელდება ყველა დეტალზე)

4 9 0 0 0
ევროდან

თქვენს საქმიანობაზე მორგებული სატვირთო ავტომობილი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო აცხადებს კონკურს ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის ვაკანტურ თანამდებობის დასაკავებლად ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 39-მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
2. ავტობიოგრაფია;
3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
4. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობის ასლი;
5. შრომის წიგნაკი ან სათანადო წესით დამოწმებული ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;
6. ორი ფოტოსურათი;
7. სამოქმედო პროგრამა.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები გამგებლის თანამდებობის დასაკავებლად:

-- უმაღლესი განათლება;
-- თვითმმართველობის საკანონმდებლო პრინციპების, თვითმმართველობის განხორციელებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების ცოდნა;
-- ეკონომიკური საკითხების ზოგადი ცოდნა;
-- საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 და მე-17
მუხლებით დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

განცახების მღება წარმოებს კონკურსის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში, ყოველდღე, შაბათ—კვირის ჩათვლით 10 სთ--დან 18 სთ--მდე.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე:
ქ. ბოლნისი ს.ს ორბელიანის ქ. N106, საკონტაქტო ტელ: 895 14 53 95

13 მარტი, 2009წ.
მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი"
DRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით
სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია თეონა ქუთათელაძის მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **4 477.54 ლარის** ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 20 მარტს 13:30 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, გამრეკელის (ყოფ.კუტუზოვის) ქ.N19-ში, მე-6 სართულზე.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე თეონა ქუთათელაძე, მცხ. ქ.თბილისი, ვარკეთილი 3, I მკრ., კორპ.N27, ბინაN9. ალტ. მის: ქ.ქუთაისი, წერეთლის ქ. მე-3 ჩ 2.

"საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2009 წლის 27 თებერვალს დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს "უნივერსიტეტ პატრიოტისთვის" უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს ვინაობა".

"საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2009 წლის 26 თებერვალს დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება შპს "შავნაბადას აკადემიის" სახელობო ცენტრისთვის" სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს ვინაობა".

ს/ს "ყაზტრანსგაზ-თბილისში" სპეციალური მმართველი დაინიშნა

საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ 16 მარტს გამართულ სხდომაზე ს/ს "ყაზტრანსგაზ-თბილისში" სპეციალური მმართველი დანიშნა. აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზი გახდა დიდი ოდენობით კრედიტორული დავალიანება, რომელიც ს/ს "ყაზტრანსგაზ-თბილისს" დაუგროვდა. კომპანიას 80 მილიონ ლარზე მეტი კრედიტორული დავალიანება ერიცხება, მათ შორის, 68 მილიონი ლარი მიღებული ბუნებრივი გაზისათვის საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მართებს.

აღნიშნული დავალიანების გადახდის შესახებ მოლაპარაკებები ყაზახურ მხარესთან რამდენიმეჯერ გაიმართა, თებერვალში ქ. ასტანაში იმყოფებოდნენ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი და ნავთობისა და გაზის კორპორაციის გენერალური დირექტორი.

შექმნილი მდგომარეობის გამო თბილისის მეწყვეტი გაზმომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ ს/ს "ყაზტრანსგაზ-თბილისში" სპეციალური მმართველი - თემურ კოპალიანი დანიშნა.

გურამ ჩალაგაშვილი, კომისიის თავმჯდომარე: სპეციალური მმართველი კომპანიაში ფინანსური მდგომარეობის გამოსწორებამდე და მიწოდებული გაზის საფასურის ანაზღაურებამდე იმუშაებს. იგი განახორციელებს კომპანიის მხოლოდ დროებით მენეჯმენტს. "ყაზტრანსგაზი-თბილისის" აქციათა პაკეტი და უძრავი აქტივები კომპანიის მფლობელის საკუთრებაში დარჩება.

"ეს არის დროებითი ღონისძიება თბილისის მოსახლეობის უწყვეტი გაზმომარაგების უზრუნველსაყოფად და კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად. ფინანსური ვალდებულებების სრულად დაფარვის შემთხვევაში სპეციალური მმართველი დაუყოვნებლივ შეწყვეტს საქმიანობას და კომპანიის მართვას გაიგრძელებს მისი მფლობელის მიერ დანიშნული მენეჯმენტი."- განაცხადა ჩალაგაშვილმა.

კომპანიაში სპეციალური მმართველის დანიშვნას ითვალისწინებს კანონი "ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ".

Назначение специального управляющего в АО «КазТрансГаз Тбилиси»

На заседании от 16 марта текущего года Национальная Комиссия Грузии по Регулированию Энергетики и Водоснабжения принала решение о назначении специального управляющего в АО «КазТрансГаз Тбилиси». Причиной тому стала накопленная компанией кредиторская задолженность, которая на сегодняшний день составляет более 80 млн. лари. Отсюда 68 млн. лари компания задолжала нефтегазовой Корпорацие Грузии в качестве стоимости закупленного газа.

Переговоры по вопросу покрытия указанной задолженности проводились неоднократно. В феврале в г. Астана находились Министр Энергетики Грузии и Генеральный Директор нефте-газовой Корпорации Грузии.

В результате сложившейся ситуации для обеспечения бесперебойного газоснабжения г. Тбилиси, Комиссия Грузии по Регулированию Энергетики и Водоснабжения принала решение о назначении специального управляющего - Темура Копалиани в АО «КазТрансГаз Тбилиси».

Гурам Чалагашвили, председатель НКРЭВ Грузии: специальный управляющий проработает в компание до улучшения ее финансового состояния и оплаты стоимости поставленного газа. Им будет осуществляться лишь временный менеджмент компании. Пакет акций АО «КазТрансГаз Тбилиси» и недвижемое имущество останутся в собственности владельца компании.

«Это временные меры, целью которых является обеспечение бесперебойного газоснабжения и улучшение финансового состояния компании. Специальный управляющий незамедлительно прекращает деятельность сразу после полного покрытия финансовых обязательств и компанией продолжает управлять менеджмент, назначенный ее владельцем»,-заявил Чалагашвили.

Назначение в компанию специального управляющего предусматривается Законом Грузии «О лицензировании и разрешениях».

ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე

2009 წლის 22 იანვარს სსიპ საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს" მიერ უძრავ-მოძრავი ქონების დაზღვევის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში სატენდერო კომისიამ I, II და III ლოტებში გამარჯვებულად გამოავლინა შესაბამისად შპს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია "ირაო", შპს სადაზღვევო კომპანია "ტაო" და სს სადაზღვევო კომპანია "ალდაგი ბისიაი", რომლებთანაც გაფორმდა სათანადო ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ: შპს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია "ირაოსთან" და შპს სადაზღვევო კომპანია "ტაოსთან" - 2009 წლის 2 მარტს, ხოლო სს სადაზღვევო კომპანია "ალდაგი ბისიაისთან" - ა/წლის 5 მარტს.

განცხადება განმეორებითი ტენდერის ჩატარების შესახებ

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო აცხადებს ტენდერს ავტოტექმომსახურების (სერვისი სათადარიგო ნაწილებით) შესყიდვაზე

ლოტი №	ავტომანქანის მარკა	ღაოდ-ენობა	ა/მანქანის მომსახურების გაწევის ადგილმდებ-არეობა
1	1. სუზუკი გრანდვიტარა	1	ქ. თბილისი
	2. მიცუბიში პაჯერო	1	
	3. ტოიოტა ლენდკრუიზერი	1	
	4. ნისან სანი	2	
	5. ლადა 21 214 (ნივა)	4	
	6. მიცუბიში პიკაპი ლ200	2	
2	1. ლადა 21 214 (ნივა)	4	ქ. ფოთი
	2. ჰუნდაი გალოპერი	1	
	3. ტოიოტა ჰაილექსი	1	
3	1. ლადა 21 214 (ნივა)	8	ქ. ბორჯომი
	2. ნისან პიკაპი	2	
	3. უაზი („ვილისი“)	9	
4	1. ვაზ 2107	1	ქ. ქუთაისი
	2. მიცუბიში პიკაპი ლ200	1	
	3. ლადა 21 214 (ნივა)	1	
	4. ვაზ 2107	1	
5	1. ლადა 21 214 (ნივა)	3	ქ. ბათუმი
	2. სგ პლუტუსი პიკაპი	1	
6	1. გაზ 66	1	ქ. ოქალაი
	2. ტოიოტა ლენდკრუიზერი	1	
	3. უაზი („ვილისი“)	6	
	4. ნისან პიკაპი	7	
	5. ლენდროვერ დეფენდერი	1	
	6. ლადა 21 214 (ნივა)	2	

შენიშვნა: ექსკუატორის გამოყენების შემთხვევაში სატენდერო წინადადების დანართში (ფასების ცხრილი) პრეტენდენტმა უნდა მიუთითოს ექსკუატორით მომსახურეობის დირებულება, ერთეულს (კილომეტრის) ფასი.

- ალტერნატიული წინადადება არ დაიშვება.
- მომსახურეობა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა 2009 წლის 20 დეკემბრის ნათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

1. სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე პრეტენდენტებს გადაეცემათ მოთხოვნისთანავე, სამუშაო დღეებში, მათ მიერ სატენდერო მოსაკრებელის 200 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარის წარმოდგენის შემდგომ, მისამართზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო, ქ. თბილისი გ. გულუას ქ. №6, მე-5 სართული, სატენდერო კომისიის აპარატში, სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 2009 წლის 17 მარტიდან 10 აპრილის ნათვლით 16 საათამდე.
2. სატენდერო მოსაკრებელის საბანკო რეკვიზიტებია:

ხაზინის ერთიანი ანგარიში სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი 220101222, ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 302005500 (სატენდერო მოსაკრებელი) 5508 – სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო.

3. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიის აპარატში უნდა წარმოადგინონ, ქართულ ენაზე, ერთ დახურულ კონვერტში 2009 წლის 10 აპრილს 16 საათამდე განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.
4. არარეზიდენტმა იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.
5. დაგვიანებით შემოსულ საკვალიფიკაციო მონაცემებს და სატენდერო წინადადებებს კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.
6. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების გახსნა და შერჩევა მოხდება 2009 წლის 10 აპრილს 16 საათზე. მისამართი თბილისი, გ. გულუას ქ.№6 მე-5 სართული.

7. **საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

იურიდიული პირებისათვის:

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ერიერნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
- ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის რეგისტრაციის შესახებ.

ფიზიკური პირებისათვის:

- გადასახადის გადამხდელის სარეგისტრაციო მოწმობა
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

როგორც ფიზიკურ ისე იურიდიულ პირებისათვის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს:

- პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონის ნომერს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე არარსებული დავალიანების შესახებ.

შენიშვნა: განცხადების მე-7 პუნქტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული არაუმეტეს სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

8. **მომსახურების გასაწევად სუბ კონტრაქტორების (ქვე-კონტრაქტორების) აყვანის შემთხვევაში ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს:**

ა. სუბ კონტრაქტორების (ქვე-კონტრაქტორების) ფიზიკური და/ან იურიდიული პირის შესაბამისი საკვალიფიკაციო მონაცემები: ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილებისა და განხორციელებული მსგავსი პროექტების შესახებ სუბ-კონტრაქტორების (ქვე-კონტრაქტორების) მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს სუბ-კონტრაქტის (ქვე-კონტრაქტის) ფარგლებში.
ბ. სუბ-კონტრაქტორთან (ქვე-კონტრაქტორთან) გაფორმებული ხელშეკრულება ან/და წერილობითი აქტი და/ან ხელშეკრულება სადაც იქნება დათქმა იმის შესახებ, რომ პრეტენდენტის სახელმწიფო შესყიდვაში გამარჯვების შემთხვევაში პრეტენდენტთან გაფორმებს ხელშეკრულებას სუბ-კონტარქტით გათვალისწინებული მომსახურებისათვის. (პრეტენდენტმა გამარჯვების შემდგომ ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს სუბ-კონტრაქტები, რომელიც შემდგომში შექმნის ერთ მთლიანობას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებასთან ერთად).

9. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-7 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.
10. საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.
11. ლოტში გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.
12. დაფინანსების წყარო სახელმწიფო ბიუჯეტი და გრანტი.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში შემდეგი პირებისაგან: ანა ჯაფარიძე, ბლატონ ფეიქრიშვილი ტელ: +995 752355; მისამართი: საქართველო, 0114 ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. №6 მე-5 სართული.

სატენდერო კომისია

17. 03.
.2009 თარიღი

ქ. თბილისის მერიის მიერ 2009 წლის 10 მარტს გამოქვეყნებულ ქ. თბილისში, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების (6 ლოტიანი) (ლოტი N1 - ქ. თბილისში, ჩარგლის ქუჩაზე სადრენაჟო ქსელის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ლოტი N2 - ქ. თბილისში, ვარკეთილი 3, N26-ე კორპუსის მიმდებარედ სადრენაჟო ქსელის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ლოტი N3 - ქ. თბილისში, გლდანის VII მ/რ-ში, ყოფილი რადიოქარხნის მიმდებარე ნაკვეთების ტერიტორიაზე სანიაღვრე ქსელის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ლოტი N4 - ქ. თბილისში, დაბა წყნეთში, ჭავჭავაძის ქ. N17 კორპუსთან სანიაღვრე ქსელის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ლოტი N5 - ქ. თბილისში, ი. აბაშიძის ქ. N42 კორპუსთან სანიაღვრე ქსელის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ლოტი N6 - ქ. თბილისში, III მასივის ზემო პლატოს N5 კორპუსთან სანიაღვრე ქსელის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა) შესყიდვის სატენდერო განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მერიის მიერ 2009 წლის 10 მარტს გამოქვეყნებულ ქ. თბილისში, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების (6 ლოტიანი) (ლოტი N1 - ქ. თბილისში, ჩარგლის ქუჩაზე სადრენაჟო ქსელის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ლოტი N2 - ქ. თბილისში, ვარკეთილი 3, N26-ე კორპუსის მიმდებარედ სადრენაჟო ქსელის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ლოტი N3 - ქ. თბილისში, გლდანის VII მ/რ-ში, ყოფილი რადიოქარხნის მიმდებარე ნაკვეთების ტერიტორიაზე სანიაღვრე ქსელის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ლოტი N4 - ქ. თბილისში, დაბა წყნეთში, ჭავჭავაძის ქ. N17 კორპუსთან სანიაღვრე ქსელის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ლოტი N5 - ქ. თბილისში, ი. აბაშიძის ქ. N42 კორპუსთან სანიაღვრე ქსელის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა; ლოტი N6 - ქ. თბილისში, III მასივის ზემო პლატოს N5 კორპუსთან სანიაღვრე ქსელის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა) შესყიდვის სატენდერო განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ სატენდერო განცხადებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

შეცვლილ იქნას შესყიდვის ობიექტი: ქ. თბილისში, სადრენაჟო ქსელის მოწყობის, სანიაღვრე ქსელის მოწყობის, დამცავი ჯებირების მოწყობის, საყრდენი კედლის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

შესყიდვის ობიექტს დაემატოს შემდეგი ლოტები:

ლოტი N7 - ქ. თბილისში, ბ. ხმელნიცკის ქ. N179-თან მდებარე (სასაკლაოს ხევი) სანიაღვრე კოლექტორის გამოსასვლელთან დამცავი ჯებირის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა;

ლოტი N8 - ქ. თბილისში, გარდაბნის გზატკეცილი N24ა-სთან მდებარე (ორხევის ხევი) სანიაღვრე კოლექტორის გამოსასვლელთან დამცავი ჯებირის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა;

ლოტი N9 - ქ. თბილისში, ჭრელაშვილის ჩიხის N7-თან საყრდენი კედლის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა;

საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების სავალდებულო ვადა - ლოტი N7, N8, N9 - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვე;

შეცვლილ იქნას გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ქ. თბილისში, სადრენაჟო ქსელის, სანიაღვრე ქსელის, დამცავი ჯებირების, საყრდენი კედლის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების (9 ლოტიანი) სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

სატენდერო კომისია

ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები ქალაქ თბილისის მერიის მიერ 2009 წლის 28 თებერვალს გაზეთ - "24 საათში" ქ. თბილისში, გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში და განცხადების პირველ პუნქტს დაემატოს 56-ე ლოტი:

ლოტი 56. - ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციული შენობის ეზოს, შენობის გვერდით, ავტოსადგომის მიმდებარე თარგების და წინამდებარე სკვერის მოვლა-პატრონობა.

სატენდერო კომისია

ცვლილება

შპს „თბილისის ავტობუსი"-ს მიერ 2009 წლის 12 მარტს გამოქვეყნებულ "საცხებ-საპოხი მასალების და ტექნიკური სითხეების საერთაშორისო ტენდერის სატენდერო განცხადებაში მოცემული ცხრილი შეიცვალოს შემდეგი ცხრილით:

ლოტების №	მოსაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება	სტანდარტი API	საჭიროებიდან რაოდენობა
1	ზეთი დიზელის ძრავისათვის SAE 15W40	CF-4	65000 ლიტრი
2	ზეთი დიზელის ძრავისათვის SAE 20W50	CD	50000 ლიტრი
3	ზეთი ავტომატური გადაცემათა კოლოფისათვის და საჭის მექანიზმისათვის ATF	DEXRON II D	1500 ლიტრი
4	ზეთი შეალა ხიდის SAE 85W90	GL-5	7000 ლიტრი
5	ზეთი შეალა ხიდის SAE 80W90	GL-5	1800 ლიტრი
6	საპოხი საცხი ზეთი LITOL-24	EP-2	3000 კგ
7	სამუხრუჭე სითხე DOT-3 ან DOT-4	-	1000 ლიტრი
8	ანტიფრიზი LIOOO3 (კონცენტრატი 78°C) BS-6580	-	15000 ლიტრი

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს „თბილისის ავტობუსი" „დაფი"-ს და „ბოგდანი"-ს მარკის ავტობუსებისათვის აკუმულატორების შესყიდვის მიზნით აცხადებს ტენდერს და მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტია „დაფი"-ს და „ბოგდანი"-ს მარკის ავტობუსებისათვის აკუმულატორები:

ლოტის №	დასახელება	ავტობუსის მარკა	რაოდენობა
1	6 CT 200 A	დაფი ბოგდანი A-144.5	260
2	6 CT 90 A	ბოგდანი A-092	250
	ჯამი		**510**

გამარჯვებული გამოვლინდება ლოტების მიხედვით.

დასაშვებია ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა.

2. მიწოდების საგალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 1 სექტემბრამდე. ეტაპობრივად, გრაფიკის შესაბამისად. ტენდერში გამარჯვებულმა აკუმულატორების მიწოდება უნდა უზრუნველყოს ქ. თბილისში შემდეგ მისამართზე: შპს „თბილისის ავტობუსი"-ს ცენტრალური საწყობი ჟორესის ქ. №7.

3. პრეტენდენტი სატენდერო საფასურის **200 ლარის** გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ (სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი, საინდეტიფიკაციო კოდი 202207307 კოდი №220101502 ანგარიშის №3407981640502574000) ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღებას შეძლებს 17 მარტის 11 საათიდან 26 მარტის 18 საათამდე. შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ცაბაძის ქ.№8 VI სართული, სატენდერო კომისიის აპარატი.

